ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 16 ნოემბერი 1999 №220 (993) | ფასი 50 თეთრი



# ლენოქსი! უდავო ჩემპიონი უქამროდ

*როგორც იქნა, დასრულდა ლენოქს ლუის-ევანდერ ჰოლიფილდის ჭიდილი მძიმე წონის უდავო ჩემპიონის (სამი ქამარი) ტიტულისთვის. მოგებული გამოდიოდა ასოციაციის (ვბა) საბჭოს (ვბკ) და ფედერაციის (იბფ) გამარჯვებული და საუკუნის ბოლო ჩემპიონი.*

*ლას ვეგასში ბრიტმა ლენოქს ლუისმა მსაჯთა ერთხმა გადაწყვეტილებით სძლია ამერიკელ ჰოლიფილდს და შეიქნა ამ საუკუნეში პირველი და უკანასკნელი ბრიტანელი უდავო ჩემპიონი მძიმე წონაში.*

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

# სკანდალებში გართული კვდება ფეხბურთი ქართული

ჩხიკვის ენა ჰქონია „ბათუმის“ იტალიელ თავკაც ჯანი კარნევალეს: ერთი იყვირა, სკანდალეო და დაებედა და დაებედა ჩვენს ფეხბურთს...

ამჯერად „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ თამაშს მოჰყვა „სკანდალე“, აჟიოტაჟი, საგანგებო სიტუაცია თუ რაღაც ამდაგვარი. სამი დღეა, თავს იმტვრევს სფფ-ს საგანგებო კომიტეტი, ვინძლო რამე უშველოს ამ საქმეს, ორ ცეცხლს შუაა და გამოსავალიც არ ჩანს.

— ასეთი ურთულესი საქმე ჯერ არ მომხდარა ქართულ ფეხბურთშიო — სამი დღის ფიქრმა ჯერჯერობით აქამდელა მიიყვანა საგანგებო კომიტეტი. მის შემადგენლობაში კი სფფ-ს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მდივანი შედიან.

სამი დღეა, ფიქრობს ეს ხალხი და იმის სააუგოდ, რომ გუშინ მთელი დღე ლოდინში დაგვალამებინეს ჟურნალისტებს (სტკ-ს განაჩენს ველოდით), ვის მოუბრუნდება ენა.

სადისციპლინო-ტექნიკური კომისიის სხდომა ორშაბათს პირველ საათზე უნდა გამართულიყო, მაგრამ იგი არ შედგა. სფფ-ს საგანგებო კომიტეტმა სტკ-ს სთხოვა, საგანგებო სიტუაციის გამო მისთვის გადაეცა „ლოკომოტივის“ საქმე“, რაზეც ეს უკანასკნელი დიდსულოვნად დათანხმდა, ოღონდ...

ოღონდ დამნაშავე ფეხბურთელები ჩვენ უნდა დავსაჯოთო — უთქვამთ სტკ-ელებს.

საგანგებო კომიტეტი კი, როგორც მოგახსენეთ, ორ ცეცხლშია...

არ გადაითამაშებენ „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩს და ჩემპიონატს მივატოვებთო, იმუქრებიან რკინიგზელები. გადაითამაშებენ და — „ვიტ ჯორჯიას“, თსუ-ს, „სიონს“ მოისაკლისებს მეთერთმეტე ეროვნული...

ნეტავ, შეხვედრის არბიტრ გურამ ასკაროლიზე შეიძლებოდეს ყველაფრის გადაბრალება...



გაგიკო ლომიძის ფოტო

ლოკომოტიველებთან საქმის გარკვევა გურამ ასკაროლის ძვირად დაუჯდა

მაშინ ხომ სფფ-ც ადვილად დაიბანდა ხელებს. მაგრამ აქ მხოლოდ ასკაროლიარაფერ შუაშია. მარტო მსაჯობის გამო არ უჭირს ქართულ ფეხბურთს.

თუმც ცუდი მსაჯობაც ერთ-ერთი ჭირია და აკი ამის გამო იმუქრება თბილისის „მერანი“ — ჩემპიონატს მივატოვებო.

როგორი საქმეა, ახალი სფფ პირველ ჩემპიონატს ატარებს და უკვე (უკვე!) ხუთი (ხუთი!) გუნდი იმუქრება ჩემპიონატის მიტოვებით.

საგანგებო სიტუაციაა და სფფ-მაც უეფას მიმართა დახმარებისთვის, კონსულტაციებისთვის, საშველისთვის...

დღეს, საღამოს ხუთი საათისთვის, საგანგებო კომიტეტი განაჩენს გამოიტანს.

განაჩენი და დანარჩენი ხვალის „სარბიელში“ იყოს.

კონსტანტინე გოგიშვილი

# სასწაულისა და ბრძოლის მოლოდინში

ბრიტანეთში ყველაფერი ნათელია. ინგლისის ნაკრების მწვრთნელის, კევინ კიგანის მწარე ნათქვამი, ახლა სქოთებს „უემბლიზე“ სამი გოლის გატანა სჭირდებათ და მძიმე მატჩი გველისო, ობიექტურ სურათს არ ცვლის: ინგლისმა შოტლანდიას გლაზგოში აჯობა, 2:0 და საპასუხო შეხვედრაში თუ სასწაული არ მოხდა, ალარაფერი შეიცვლება. ისრაელის ნაკრებს დანიაში სასწაულიც ვერ უშველის. პირველ მატჩში ძალთა სხვაობა მეტისმეტად დიდი გამოდგა — 0:5. დანარჩენი ორი წყვილის საქმე კი სათუოა. უკრაინამ სლოვენიაში 1:2 წააგო, ხოლო თურქეთმა ირლანდიაში 1:1 მოახერხა. ევროპული საზოგადოების ყურადღებაც, ხვალ, უფრო კიევსა და ბურსასკენ იქნება მიპყრობილი. ევროპის 2000 წლის ჩემპიონატი ოთხი მონაწილის ვინაობასლა ელის.

იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდები



REUTERS თელ ავივიდან

დანიელებმა ისრაელის ნაკრების 5:0 ძლევით ფაქტობრივად გაინაღდეს ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე თამაში

საქართველოს 1/1 ჩემპიონატი 12 ტური

# მარაზმი

## ტრაგიკომედია ორ მოქმედებად

თბილისი
13 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
2 000 (ტევადობა 75 000)

**ლოკომოტივი 1:2 დინამო**

1:0 ქებაძე (32), 1:1 აშვეთია (89პ), 1:2 ალექსიძე (90)
ქებაძემ ვერ გაიტანა პენალტი (90)
ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, მ. ქობულაძე, ლ. მიქაძე, ამაშუკელი, ბარნოვი, ქებაძე, რუსია, ჩომახიძე (კაციაშვილი 83), ნემსაძე, ბაქრაძე
*სათადარიგონი:* ივარდავა; გ. ჩიხრაძე, ვ. გველესიანი, იაგორაშვილი, შავგულიძე, კ. მელქაძე
დინამო: გრიშიკაშვილი, ხიზანეიშვილი, დიდავა (პ. ჯინჭარაძე 59), ალექსიძე, წიტაიშვილი (ვ. გიგიაძე 59), აშვეთია, სიჭინავა, ვაშაკიძე, გ. შენგელია, ანჩაბაძე, შაშიაშვილი (ი. გიგიაძე 83)
*სათადარიგონი:* ლომაია; კობიაშვილი
გაფრთხილება: აშვეთია (21), ვაშაკიძე (31), ანჩაბაძე (64), ხიზანეიშვილი (70)
გაძევება: მიქაძე (85)
მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი); ზ. დოლიძე, გ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: გ. ფირცხალავა

კონსტანტინე გოგიშვილი

მოქმედი პირნი და შემსრულებელნი: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი, ტრიბუნაზე მსხდომი 2000 მაყურებელი, ასამდე ქართველი პოლიციელი და დაახლოებით ამდენივე ჟურნალისტი და სფფ-ს მოხელე.

(მოქმედება ხდება ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე)

აუცილებელი განმარტება დამსწრეთათვის: მარაზმი (ბერძნული MARASMOS მოუძლურება, მოშვება) — (გადატ.) უილაჯობა, უუნარობა (მეცნიერებაში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში... ალბათ, ფეხბურთშიც)

### პირველი მოქმედება

(აქ ყველაფერი ისე ხდება, როგორც ფეხბურთს შვენის და უხდება).

პირველივე წუთებიდან აშკარა გახდა — „ლოკომოტივს" მოგების მეტი არაფერი აინტერესებდა. მახარაძეს და კომპანიას ერთი მნიშვნელოვანი ფეხბურთელიც შეემატათ გიორგი ნემსაძის სახით. ამდენად, ინტრიგული და დაძაბული მატჩის მომლოდინე მაყურებელს სრული უფლება ჰქონდა, სანახაობის გარდა არაფერზე ეფიქრა. დიდი ხნის უთამაშებელი ეროვნული ნაკრების კაპიტანი ცენტრში, საყრდენად განაწესა ლოკომოტიველთა მწვრთნელმა, გიორგის ბურთის ამოტანა და ქებაძე-რუსიას ტანდემის პასებით მომარაგება ევალებოდა. მარჯვენივ ჩომახიძე აქტიურობდა, დაცვაში კი ქობულაძე, მიქაძე და ბალაშვილი. ერთი სიტყვით, „ლოკომოტივს" უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა და ფეხბურთელებსაც ეტყობოდათ, რომ კარგად იცოდნენ ეს.

რაც შეეხება „დინამოს", მარადი ჩემპიონი, როგორც ყოველთვის, მეტოქის კარზე დაგეშილი თამაშობდა. პირველ ნახევარში მომენტები მათ მეტი შექმნეს (თუმცა კი ორიოდე). სამაგიეროდ, მატჩში მრავლად იყო პატარ-პატარა ორთაბრძოლები ძირითადად მინდვრის შუაგულში. უნდა ითქვას, ფეხბურთელები ნაკლებ ცერემონიულნი იყვნენ ერთმანეთის მიმართ და არბიტრ ასკაროლლისაც ოთხჯერ დასჭირდა დინამოელთა ყვითელი ბარათით დაშოშმინება.

„ლოკომოტივის" გოლი სამსვლიან კომბინაციას მოჰყვა — ორიოდ მოკლე პასის შემდეგ ბურთი ქებაძეს გაუჭრეს საჯარიმოში და ლევანმაც სუსტი, მაგრამ ზუსტი დარტყმით გრიშიკაშვილის მიღმა და კარის ბადეში გაგზავნა ბურთი.

„დინამო" უმალ დაიმუხტა. გაშვებულმა ბურთმა ცივი შხაპივით იმოქმედა მათზე და ჩემპიონის წინა ხაზმა ერთი-ორჯერ ასლანაძის კარის მიმართულებით მეტად სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ მეკარე ფხიზლობდა. „ლოკომოტივის" დაცვა საჯარიმოს ირგვლივ განლაგდა და ბურთის მალ-მალ, შორს მოგერიებით ცდილობდა ტაიმის ბოლომდე მიყვანას. ამან შედეგი გამოიღო და ტაიმიც 1:0 დასრულდა.

მეორე ნახევარი უფრო „დინამოსი" იყო. ჩემპიონი ფლანგებიდან ეძალებოდა რკინიგზელთა კარს. ოთარ კორღალიძემ შესვენებიდან ათიოდე წუთში გამოიყენა ორი შეცვლის უფლება — ვასილ გიგიაძითა და პაატა ჯინჭარაძით ახალი ძალა შთაბერა ჩემპიონს. და მაინც, ისე ჩანდა, „ლოკომოტივის" კარში გოლის გატანა გაუჭირდებოდათ ჩემპიონებს.

კორღალიძემ ერთი შეცვლაც გააკეთა. 83-ე წუთზე შაშიაშვილი მეორე გიგიაძემ, სოსომ შეცვალა. იმ წამსვე „დინამომ" ერთი შეტევაც წამოიწყო, რკინიგზელთა საჯარიმოში წაიქცა ჯერ ერთი, მერე მეორე დინამოელი და ასკაროლლიმ ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა.

აქ პირველი მოქმედება დასრულდა.



ქებაძის პენალტიდან დარტყმული ბურთი დინამოელთა კარის ნაცვლად ტრიბუნაზე აღმოჩნდა

### მეორე მოქმედება

(იმას, რაც მინდორზე და მის ირგვლივ ხდება, ძნელად უწოდებ კაცი ფეხბურთს. ეს უფრო აბსურდის თეატრი იყო. მინდორზეც და ტრიბუნებზეც უფრო მასობრივ-ბატალური სცენები ჭარბობს).

ასკაროლლის რამდენიმე რკინიგზელი ფეხბურთელი შემოეხვია და მუჯლუგუნების შემდეგ არბიტრს წიხლი ჩაზილეს დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ადამს ლეღვის ფოთოლი ეფარა. ასკაროლლი ერთხანს ნატკენ ადგილს იზელდა და ამის მერელა მოახერხა, რკინიგზელთა მეთხუთმეტე ნომერ ლევან მიქაძისთვის წითელი ბარათი ეჩვენებინა.

ამასობაში მინდორზე შესვლას სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ცდილობს, მაგრამ ქართული პოლიცია, როგორც ყოველთვის, ავტორიტეტებს არ ცნობს. თემურ მახარაძე შეგირდებს ამაოდ მოუწოდებს სიმშვიდისკენ. ლევან მიქაძეს საბოლოოდ უმტყუნა ნერვებმა და ასკაროლლისკენ გამოექანა. ბეწვზე გაერიდა ფეხბურთელს არბიტრი, თორემ ბრიუს ლის სტილში შესრულებული ნახტომის შემდეგ მისგან მხოლოდ მოგონება დარჩებოდა.

ამ დროს ოთარ კორღალიძე თავისთან იხმობს აშვეთიას და რაღაცას ეუბნება. მიქაძის გასახდელში გაყვანის შემდეგ აშვეთია პენალტს ურტყამს და გატანილი ბურთის შემხედვარე თავში ხელებს წაიშენს მეკარე ასლანაძისა და აშვეთიას წალაპარაკებას მსაჯის სასტვენი წყვეტს. 1:1 — ანგარიში თანაბარია და „ლოკომოტივმა" ცენტრიდან უნდა დაიწყოს. ფეხბურთელებს აშკარა დაბნეულობა ეტყობათ, არავინ ულოცავს აშვეთიას, ერთადერთი რატი ალექსიძე ყვირის რაღაცას.

ძირითადი დრო დიდი ხანია, ამოწურულია. მუშაობს მხოლოდ მსაჯის წამზომი. ორიოდ წუთია დარჩენილი და მაინც, ეს დროს ჰყოფნის ალექსიძის გატანილ გოლს (ტრიბუნები დამუნჯდა) და ქებაძის აცილებულ პენალტს, რომლის დანიშვნისთვის ასკაროლლის უდავოდ მიენიჭება ნობელის პრემია გამომგონებლის დარგში.

დამთავრდა მატჩი, მაგრამ დაიწყო ყველაფერი.

იყო გინება, იყო პროტესტი, იყო გაწევ-გამოწევა, მაგრამ ყველაზე მეტი ფურთხი იყო.

მერე პოლიციელები ხუმრობდნენ — მსაჯი „მოიკაში" გაატარესო. „მოიკისა" რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი ხანობა სერიოზულად ვიფიქრე, იცოდა თუ არა მსაჯმა ცურვა, რათა ამდენი კაცის ნერწყვში გაეტოპა.

მერე კი პრესკონფერენციაც იყო (მადლობა მის მომწყობ-მონაწილეებს მასმედიის დაფასებისთვის).

*ოთარ კორღალიძე („დინამოს" მწვრთნელი):* „დავიღალე. ყველგან, მათ შორის პრესაშიც, იმაზეა ლაპარაკი, რომ „დინამო" მსაჯებით იგებს. იწერება ათასგვარი აბდაუბდა. მე არ მსურს ასეთი მოგებები. მომხრე ვარ გადათამაშების. „დინამო" ძლიერი გუნდია და იგი დაამტკიცებს ამას. მე პენალტის დანიშვნისთანავე ვიცოდი, რაც მოხდებოდა და აშვეთიას ვთხოვე, არ გაეტანა. ასეა თუ ისე, მოვითხოვ, თამაში ხელახლა ჩატარდეს, რათა „დინამოს" მოძულეებს მორიგი კამპანიის საბაბი არ მიეცეთ".

*მურაზ რატიანი („დინამოს" დირექტორატის წევრი):* „შეურაცხყოფილი ვარ. „დინამოს" შესწევს ძალა, ორი-სამი ბურთის სხვაობით მოიგოს თამაშები და ეჭვის საფუძველი მოსპოს. მე ვიზრუნებ ამაზე, ორმაგ პრემიებს შევპირდები ბიჭებს და ამ მატჩს გადავითამაშებთ. ნურავის შევეშლებით „ბუფეტჩიკებში", ყიდვა-გაყიდვა, მსაჯებთან „ჩალიჩი" „დინამოს" არ ჩვევია".

*ტარიელ ლეპიძე („ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტი):* „მსაჯმა მატჩი ცუდად წარმართა. თუ გვსურს, ქართულ ფეხბურთს მომავალი ჰქონდეს, ეს შეხვედრა უნდა გადათამაშდეს, სფფ-მ კი მსაჯთა მიმართ ზომები უნდა მიიღოს. ასკაროლლი ამბობს, მართალი ვარო. პროტესტი კი დავწერე, მაგრამ როდემდე ვწეროთ? დავიღალეთ ამდენი უკანონობით. რაც შეეხება პენალტს, მასში არაა საქმე, მანამდე „დინამოს" თავდამსხმელმა ხელით გაისწორა ბურთი".

*აკაკი ჩხაიძე („ლოკომოტივის" პრეზიდენტი):* „შეხვედრა ან გადათამაშდება, ან „ლოკომოტივი" აღარ იარსებებს. თქვენი იყოს ფეხბურთიც და სტადიონიც. იყოს მარტო „დინამო"... „ლოკომოტივი" კი აღარ ითამაშებს".

ამის შემდეგ ფარდა... არა, უკუნი დაეშვა.

და ქართული ფეხბურთი უკუნმა შთანთქა.











ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძერო-ძერო მეექვსედ...

წყალტუბო
13 ნოემბერი
15 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 0:0 ბათუმი**

**სამგურალი:** ბოდოკია, ლ. ქობულაძე (ზურაბიანი 36), ფრანგიშვილი, ჭელიძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე, სუხიაშვილი, ჭყონია, ძოძუაშვილი, ი. ხაჭაპურიძე, ლონლაძე
*სათადარიგონი:* ო. ბობოხიძე; ფხაკაძე, კოხრეიძე, ნებიერიძე, ზ. ქუთათელაძე, სადილიანი
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე, მუჯირი, კობიძე, გელა ქორიძე, მაჭუტაძე (აფხაზავა 80), ტულუში (პაპიძე 68), რომანაძე (გადელია 77)
*სათადარიგონი:* ვარშანიძე; სიხარულიძე, ქაცარავა, თედორაძე
**გაფრთხილება:** ჭყონია (68), რომანაძე (76)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის დელეგატი:** მ. ლაცაბიძე

იუზა კაციტაძე წყალტუბოდან

საანგარიშო, მეთორმეტე ტურს „ა“ ზონელი „სამგურალი“ ყველაზე ცოტა, შვიდი ქულით დაუხვდა. ამ შვიდიდან ბოლო ქულა წყალტუბოელებმა თითქმის ორი თვის წინ მიითვალეს. დიახ, ძალიან გაუჭირდა თასის ფინალისტს, ზედიზედ ექვსჯერ დამარცხდა ჩემპიონატში. რომ იცოდეთ, თვით ყველაზე წარუმატებელ მეექვსე გათამაშებაშიც კი (გუნდი პირველ ჯგუფს გამოეთხოვა) „სამგურალს“ ამგვარი მძიმე ჩავარდნა არ ჰქონია. რას იზამ, ფინანსებია ახლა ყველაფრის თავიდათავი, წყალტუბოელებს კი უფულობასთან ერთად უილბლობაც დაებედათ და შედეგიც სახეზეა. ზონაში პირველ ოთხეულში ვერმოხვედრა რაღა სახსენებელია, გუნდი ისე მაჩანჩალობს, გაზაფხულზე ჯგუფის დატოვების საშიშროებას ძნელად თუ აიცილებს. არადა, „სამგურალს“ შესწევს ბრძოლის უნარი, თამაში შეუძლია, ექვსმარცხიანმა სერიამაც არ გატეხა საბოლოოდ ხელმოკლე გუნდი.

ეს რომ ასეა, „სამგურალმა“ წყალტუბოში მოსაგებად ჩასულ „ბათუმთან“ შეხვედრაში დაგვარწმუნა. ჯანი კარნევალეს ბიჭებმა ვერც ამჯერად გაუსინჯეს გემო სტუმრად გამარჯვებას, უფრო მეტიც, ზღვისპირელებს ქულის გადასარჩენადაც კი გვარიანი ოფლისღვრა მოუხდათ.

თამაში საკმაოდ დაძაბული, უკომპრომისო გამოდგა და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი დარტყმა კარისკენ მასპინძლებმა განახორციელეს. მე-9 წუთზე ირაკლი ხაჭაპურიძემ მარცხნიდან შეუტია და საჯარიმოში შესვლისთანავე ახლო დაბალ კუთხეში დაურტყა ტოგონიძეს. მეკარემაც იმარჯვა, ბურთს ადგილზე დაუხვდა. მე-17 წუთზე ბათუმელები გადავიდნენ იერიშზე და „სამგურალის“ საჯარიმოს სიახლოვეს ჯარიმის უფლება მოიპოვეს. სტუმრებმა დასარტყმელად შალვა ხუჯაძეს დაუგორეს და მანაც ტყიასავით გაისროლა. ბურთმა რაღაც სანტიმეტრებში გადაუქროლა ხარიხას. ამ ეპიზოდიდან წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ მასპინძლები ერთხელაც გადაურჩნენ აშკარა ხიფათს. ტულუშმა ააფორიაქა “სამგურალის“ დაცვა. ბათუმელი უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, თითქმის მეკარესთან პირისპირ დარჩა და დარტყმაც არ დაახანა, მაგრამ ხარიხას გაარტყა, გადმოვარდნილზე დამმატებელი კი არავინ აღმოჩნდა. სხვა საინტერესო შესვენებამდე არაფერი შექმნილა, თუ არ ჩავთვლით იმ ეპიზოდს, როდესაც ლონლაძე ძლიერი დარტყმით აგვირგვინებდა მასპინძელთა სწრაფ კომბინაციას, მაგრამ კარს ზემოთ გაგზავნა. და ერთ უსიამოვნო მომენტსაც გავიხსენებთ. მეტოქესთან ბრძოლაში წყალტუბოელთა მარჯვენა მცველი ქობულაძე მძიმედ დაშავდა, ლევანს კუნთი გაუწყდა, და ადრიანად მოუხდა მოედნის დატოვება.



„სამგურალის“ ეს შეტევაც უგოლოდ დასრულდა



თამაშის ხასიათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. გუნდები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, მძაფრი, ხისტი თამაში მიდიოდა, უმთავრესად მოედნის შუაგულში, ვინაიდან მცველები იშვიათად აკარებდნენ მოიერიშეებს საკუთარ საჯარიმოს, საოცრად დინჯად და ფხიზლად ირჯებოდნენ. და ეს უფრო წყალტუბოელებზე ითქმის. „სამგურალის“ დაცვამ ლაშა ფრანგიშვილის მეთაურობით გასაქანი არ მისცა ჯერ გამოცდილ მაჭუტაძესა და ტულუშს და მათი თამაშიდან გასვლის შემდეგ — გადელიას და აფხაზავას.

ამ თამაშის საბოლოო შედეგი, შესაძლოა, ლოგიკურადაც ჩაითვალოს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ გამარჯვებასთან უფრო ახლო „სამგურალი“ იყო. მასპინძლებმა გატანის ორი, რომ იტყვიან, ასპროცენტიანი შანსი გაუშვეს ხელიდან. 54-ე წუთზე, ძოძუაშვილი საჯარიმოს წინ უშიშრად შეებრძოლა სამ ბათუმელ მცველს, აჯობა კიდეც და მარცხნივ ჩინებულად გაუჭრა ხაჭაპურიძეს. ირაკლი, ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ გავიდა და თავისუფლად შეეძლო მისთვის ბურთის თავზე გადაგდება, მაგრამ ოდნავ დააგვიანა, ბოლოს კი დაარტყა, ოღონდ მის შესახვედრად კარიდან გამოსულ ტოგონიძეს ვეღარ ააცილა. 75-ე წუთზე კი სტუმრები ხარიხამ იხსნა. სუხიაშვილის მიერ ჯარიმიდან ჩაწოდებულზე ძოძუაშვილი გავიდა, მცველებს საჰაერო დუელში აჯობა, მაგრამ, როგორც ვთქვით, საქმეში ხარიხა ჩაერია და ბათუმელები გოლს გადაარჩინა. 85-ე წუთზე მუჯირის კუთხურიდან ჩაწოდებულიც გაეხახუნა წყალტუბოელთა კარის ხარიხას, მაგრამ ეს უფრო სპონტანურად შექმნილი მომენტი იყო.

ჯანი კარნევალეს გუნდმა მეშვიდე ფრე და მეექვსე ძერო-ძერო „გააგორა“. „სამგურალმა“ კი, როგორც იქნა, ნავსი გატეხა. ორი თვის თავზე ძველ შვიდს ერთი ქულაც მიამატა. საინტერესოა, რომ წინა, მეშვიდე ქულაც წყალტუბოელებს „ბათუმთან“ ჰქონდათ აღებული.

# აშვეთია გაიტანდაო

ქუთაისი
13 ნოემბერი
15 საათი
ტორპედო
2 000 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 3:0 თსუ**

1:0 კვეტენაძე (21), 2:0 ახვლედიანი (79), 3:0 იონანიძე (90)
**ტორპედო:** სტურუა, თურმანიძე, მაღლაკელიძე, ხვადაგიანი, შეყრილაძე, კვეტენაძე, ჩხეტიანი (მახვილაძე 85), გოგიაშვილი (იმედაძე 69), იონანიძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ახვლედიანი 65)
*სათადარიგონი:* აბულაძე; ვ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, ვაჩიბერაძე
**თსუ:** მერლანი, სვანაძე, ინწკირველი, ახალაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე, თ. ბოკერია (გ. გოცირიძე 64), მესხი, ადამია (გ. მიქაძე 51), წუწუნავა, გ. გვაზავა (დ. ხომერიკი 85)
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ჯობაძე, ფარქოსაძე
**გაფრთხილება:** კვიციანი (45)
**გაძევება:** ახალაძე (68)
**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ერქვანია (სოხუმი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. დურსუნიში

ხვიჩა სანიკიძე ქუთაისიდან

მატჩამდე „ტორპედოს“ ქომაგები ხშირად ეკითხებოდნენ ერთმანეთს — როგორ ფიქრობ, მისცემს „დინამო“ სამ ქულას „ლოკომოტივსო“.

ასეა. როცა ქუთაისში ტურის შეხვედრაა, „ტორპედოს“ გამარჯვებასთან ერთად მის გულშემატკივრებს დინამოელთა მატჩის პერიპეტიები, უფრო მეტად კი საბოლოო ანგარიში აინტერესებთ.

შაბათსაც ასე მოხდა. თუმცა, ვიდრე მასპინძლებმა მეორე გოლი არ გაიტანეს, ტრიბუნებიდან არავის წამოსცდენია, ხომ არ იცით, თბილისში რა ხდებაო?

სამისოდ მართლაც არავის ეცალა. ღელავდა „ტორპედოს“ სტადიონი. განგებამ არ დაგვსაჯოსო, ისმოდა შიშნარევი ხმა. ამდენი გამოუყენებელი მომენტის მერე საკუთარ კარში არ გავუშვათ, თორემ არ გინდა, ამ მეკარეს კიდევ გაუტანოო?! ეს მეორე ნახევარში ხდებოდა. ყველაფრის თავიდათავი კი მირზა მერლანი იყო. ახლოდან თუ შორიახლოდან, ფეხით თუ თავით დარტყმული ბურთები მიქროდა მისი კარისკენ, მაგრამ...

„უკვე გოლი მეგონა, ეს რა ბურთი ამიღოო — გაოცებას ვერ მალავდა შეხვედრის შემდეგ დავით ჯანაშია.

პირველი წუთიდან მოყოლებული თითქმის ყოველ ხუთ წუთში ქმნიდა „ტორპედო“ სახიფათო მომენტს. ზოგჯერ აცილებდნენ მიზანს, მეტწილად კი მერლანი აქვავებდა ბურთს. ამ დროს იტყვიან ხოლმე, თამაში წაუვიდაო. არა მგონია, მარტო ეგ ყოფილიყო...

21-ე წუთზე ის აუღებელი დარტყმული რომ არ გასულიყო, ნერვიულობა მერე გენახათ. კახა კვეტენაძემ მართლაც დაუვიწყარი წუთი აჩუქა გულშემატკივრებს. თავისი ნახევრიდან წაიღო ბურთი, ოთხი მეტოქე ჩამოიცილა გზიდან და მეგრელაძეს გადასცა, მან იონანიძე მონახა. ტორპედოელთა გოლეადორმა კი საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილ კვეტენაძეს დაუგორა და კახამ ჩინებულად წამოწყებული კომბინაცია ოსტატური დარტყმით დააგვირგვინა — საკმაოდ მახვილი კუთხიდან შორეული ცხრიანი შეაზანზარა — 1:0.

თსუ შეტევისას უძლური იყო. წინ ერთი გრიგოლ გვაზავა ჰყავდათ სტუდენტებს. იმასაც ხვადაგიანი დასდევდა ფეხდაფეხ და გასაქანს არ აძლევდა. ორივე ტაიმში თითოჯერ მოახერხეს სტუმრებმა მეტოქის საჯარიმოში ხიფათის შექმნა. პირველ შემთხვევაში ტორპედოელმა მცველებმა კინაღამ ავტოგოლს გამოჰკრეს ხელი, მეორეჯერ კი სტურუამ იმარჯვა და ქუთაისელთა მთავარი მეკარის, ჭანტურიას წამოწყებული კარის მშრალად შენახვის ექვსმატჩიანი (სათასო შეხვედრის ჩათვლით) სერია ღირსეულად გააგრძელა.

მასპინძელთა ყველა საგოლე მომენტის აღწერა წარმოუდგენელია. მერლანისგან მოჯადოებულ მინდორზე მყოფ ტორპედოელებს რომ არაფერი გამოუვიდოდათ, დროზე მიხვდა დავით ყიფიანი და შეცვლებს მიმართა. ამან ნაყოფი გამოიღო.

78-ე წუთზე კვეტენაძემ მარჯვენა ფლანგზე გადააწოდა ბურთი იმედაძეს, მან კი უკან დაუბრუნა. კვეტენაძემ ამჯერად ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი ახვლედიანი მონახა და პირისპირ დარჩენილმა ტორპედოელმა ამოსუნთქვის საშუალება მისცა მთელ სტადიონს — 2:0.

საბოლოო წერტილის დასმაც შეცვლებზე შემოსულებმა ითავეს. მარჯვენა ფლანგიდან ახვლედიანმა ჩააწოდა შორეული კუთხისკენ, მახვილაძემ თავი შეაგება ბურთს და ძელთან ახლოს მდგომ იონანიძეს დაუგდო.. ძლივს არ გაიტანაო — აღმოხდა რამდენიმე ქომაგს.

ასე მოიგო „ტორპედომ“ ზედიზედ მეათე შეხვედრა. 33 გოლი გაიტანა ისე, რომ ერთი პენალტიც არ დაურტყამს. თუ რატომ, ეს მსაჯებს ჰკითხეთ, ანაც შაბათის მატჩის მე-3 წუთი ნახეთ ვიდეოჩანაწერში. რაც შეეხება სტუდენტი ახალაძის გაძევებას, მსაჯისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვისო, ჩაიწერა შეხვედრის ოქმში.

— რა ქნა „დინამომ“ — გაისმა „ტორპედოზე“. როცა გაიგეს, აშვეთია გაიტანდაო, თქვეს...





მეგრელაძისა და მერლანის დუელი მეკარემ მოიგო

# შეუცვლელმა მოიგოს

რუსთავი
13 ნოემბერი
15 საათი
ფოლადი
500 (ტევადობა 10 700)

**გორდა 4:0 იბერია**

1:0 ინასარიძე (42), 2:0 ალადაშვილი (59), 3:0 კიტეიშვილი (86), 4:0 კილასონია (89)
**გორდა:** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბერიძე, ინასარიძე, გაბელაია, ვ. კილასონია, თელიაშვილი, მ. სახვაძე, ბაჩილავა, კიტეიშვილი, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; მიშველიძე, ჩიტაური, ბექაური
**იბერია:** გ. დოლიძე, კ. მეტრეველი (ხურციძე 88), სანიკიძე (ნ. გიორგაძე 63), გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე, მ. ჯინჭარაძე (დარსაძე 83), გ. ლურსმანაშვილი, ზ. მეტრეველი, ივეჩიანი, ხმალაძე
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; რ. ცომაია, ჟვანია, ბიწაძე
**გაფრთხილება:** ინასარიძე (63), კიტეიშვილი (81)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. ორდინიძე (ონი), ვ. ჩოჩიშვილი; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

პაატა კვანტალიანი რუსთავიდან

როგორც ჩანს, „გორდას“ მთავარმა მწვრთნელმა იასონ ალადაშვილმა გამარჯვების თავისებურ ხერხს მიაგნო. პრინციპი მარტივია — გაიმარჯვებ, თუ შეუცვლელად ითამაშებ. ზედიზედ მეორე მატჩია, „გორდას“ შემადგენლობაში ცვლილება არ მომხდარა, შედეგი კი შთამბეჭდავია — ორი მოგება, ექვსი ქულა და ოთხეულში შეღწევის მშვენიერი პერსპექტივა.

ხუმრობა იქით იყოს და სამტრედიელთა ძლევით რუსთაველებს მეორე ეტაპზე უფრო მაღალი ადგილებისთვის ბრძოლის კარგი შესაძლებლობა მიეცათ. შაბათს მასპინძლები მეტოქეზე ორი თავით მაღლა იდგნენ და უპრობლემოდაც დაამარცხეს იბერიელები.

საამ[illegible]ოდ სტუმრებსაც საკმაო მოტივაცია გააჩნდათ, რადგან მასპინძელთა მსგავსად „იბერიაც“ ოთხეულში შეღწევას ლამობს, მაგრამ გადაუჭარბებლად ვამბობ, ისეთი თამაშით, როგორიც „იბერიამ“ „ფოლადზე“ აჩვენა, სოსო ფრუიძის შეგირდებს არათუ ზედა ოთხეულში შეღწევა, არამედ პირველ ლიგაში დამკვიდრებაც გაუჭირდებათ.

სტუმართა ერთადერთი მომენტი, რომელიც რუსთაველთა კარისკენ დარტყმით დამთავრდა, 77-ე წუთზე შეიქმნა. შეცვლაზე შესული გიორგაძის საჯარიმოში ჩაწოდებულს ზურაბ მეტრეველი დაუხვდა და ახლო მანძილიდან ზემოდან გადააცილა კარს ბურთი. ეს იყო და ეს, დანარჩენ შემთხვევაში რუსთაველი მცველები და მეკარე ფაქტობრივად უსაქმოდ იყვნენ.

დიდი უპირატესობის მიუხედავად, „გორდამ“ პირველი ნახევრის მიწურულს გახსნა ანგარიში კილასონიას კუთხურს კიტეიშვილის თავური მოჰყვა, ხარიხიდან ასხლეტილ ბურთს კი ინასარიძე დაუხვდა და ბადეში მიუჩინა ადგილი.

შესვენების შემდეგ უფრო საგრძნობი გახდა რუსთაველთა უპირატესობა. 59-ე წუთზე სახვაძე ჩართო შეტევაზე მარჯვენა ფრთაზე და საჯარიმოს გარეთ კილასონიას გადააწოდა ბურთი, ვარლამმა ოდნავ დააყოვნა, ერთი მოძრაობით ორი მცველი ჩამოიშორა და გამიზნული პასით ალადაშვილი შეატოვა დოლიძეს. თავდამსხმელს მეკარის მოტყუება არ გასჭირვებია და ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით ერთხელაც დაამწუხრა სამტრედიელები. ამ გოლმა ისედაც მოვლემარე სტუმრები უფრო მიაძინა, „გორდამ“ კი გამარჯვების სიახლოვე იგრძნო და კიდევ უფრო გაილაღა.

მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კილასონია მარცხენა ფრთიდან შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში და წინ გამოსულ გუბაზ დოლიძეს ძლიერად დაურტყა ბურთი, მაგრამ მეკარე მომზადებული დაუხვდა. დოლიძემ ორი წუთის შემდეგაც ივარგა, როცა ახლო მანძილიდან ინასარიძეს აუღო ძნელი ბურთი. გუბაზი მართლაც საუკეთესო იყო თანაგუნდელთა შორის. ოთხი გაშვებული გოლიდან ერთიც არ იყო მისი ბრალი და კიდევ მეტი რომ არ გავიდა, სწორედ მას უნდა უმადლოდნენ იბერიელები.

86-ე წუთზე კილასონია პირისპირ შერჩა დოლიძეს, თუმცა ბურთი დიდსულოვნად დაუთმო გვერდით მყოფ კიტეიშვილს, მას კი ცარიელი კარის დალაშქვრა არ გასჭირვებია. რუსთაველთა მეოთხე გოლი კი მართლაც ლამაზი სანახავი გამოდგა. „გორდას“ კაპიტანმა კედელი გაითამაშა კიტეიშვილთან და საჯარიმოს მისადგომიდან ეფექტური მოჭრილი დარტყმით ბურთი კარის შორეულ კუთხეში მოათავსა.

# ბარათცვენა

ლანჩხუთი
13 ნოემბერი
15 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
100 (ტევადობა 12 000)

**ხობი 2:3 დილა**

1:0 თორია (44), 1:1 ხორგუაშვილი (51), 2:1 ვ. ჩიტაია (71), ლომიძე (78), ხორგუაშვილი (82)
ხობი: ნიქაბერიძე, ონიანი, ჯამბურია, ვ. ჩიტაია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, გოგიტაძე, ლ. გვაზავა, ლ. ბუკია, თორია, ზაზა აიანადი (დ. დანელია 84)
*სათადარიგონი:* ბაბუაძე; ქაშიბაძე, ვართაგავა, ტყებუჩავა, გედენიძე
დილა: სოლოლაშვილი, ფეხუაშვილი (აკოფიანი 63), რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, თაყაძე, ციცქიშვილი, სულთანიშვილი (ოლგაქაშვილი 90), ხორგუაშვილი (მარეხაშვილი 90), შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; არუთინიანი, მარლიშვილი, გ. ჩიტაია
გაფრთხილება: შატაკიშვილი (17), ონიანი (28), ვ. ჩიტაია (39), გაგნიძე (54), ფეხუაშვილი (69), თაყაძე (69), ნიქაბერიძე (76), გოჩაშვილი (78)
გაძევება: ონიანი (78), შატაკიშვილი (84)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

**თენგიზ ძოჩუა ლანჩხუთიდან**

ხობელთა სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო ეს შეხვედრა ლანჩხუთში ჩატარდა.

ძლიერ წვიმას ხელი არ შეუშლია მეტოქეთათვის, ლამაზი ფეხბურთი ეჩვენებინათ. სტადიონზე მყოფმა ძალიან მცირერიცხოვანმა მაყურებელმა საინტერესო თამაში იხილა.

„მასპინძლებმა“ თავიდანვე შეუტიეს და გორელთა დაცვაში სუსტი წერტილები იპოვეს. შეხვედრის დასაწყისში ზაზა აიანადი ორჯერ იყო მიზანთან ახლოს. ორჯერვე საჯარიმოს შიგნიდან ურტყამდა ხობელთა თავდამსხმელი, მაგრამ მისმა თავურმა ჯერ ძელთან ჩაიქროლა, ხოლო მეორე დარტყმას მეკარე დახვდა ადგილზე.

ხობელებმა შორიდანაც მოსინჯეს ძალები, მაგრამ უშედეგოდ.

სტუმრებმაც გამოაჩინეს ფხა და ხორგუაშვილს შეეძლო თავისიანების დაწინაურება, მაგრამ საჯარიმოში მარტოდმარტო მყოფმა ვერ ივარგა და ბურთი კარს ააცილა.

პირველი გოლი ტაიმის მიწურულს გავიდა. სტუმრებმა თავისუფალი დარტყმით შეიყვანეს ბურთი თამაშში, მაგრამ იგი აიჭრა და სრულიად მოულოდნელად თორიას მიუვიდა. მანაც არ დაახანა და საჯარიმოს ხაზიდან მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში აულებლად დაარტყა.

გორელებმა მეორე ტაიმი უფრო აქტიურად დაიწყეს. რამდენჯერმე ახლოს იყვნენ კიდეც მიზანთან და 51-ე წუთზე ანგარიშიც გაათანაბრეს. ჯარიმის გათამაშების შემდეგ ხობელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა. მასპინძლებმა ვერაფრით გამოიტანეს ბურთი სახიფათო ზონიდან ამ არეულობით ისარგებლა ხორგუაშვილმა და გოლის გატანა არ გასჭირვებია.

გაშვებულმა გოლმა მასპინძლები გამოაფხიზლა. მათ მწვავედ შეუტიეს და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. ყველაზე რეალური მომენტი ხურცილავას ჰქონდა. მეკარესთან პირისპირ გასულმა ვერ მოახერხა, რამაზ სოლოლაშვილისთვის ეჯობნა და პირდაპირ მას მოარტყა ბურთი.

მასპინძლებმა მაინც შეძლეს დაწინაურება. ონიანის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ყველას გადასცდა, იქ კი სრულიად მოულოდნელად ჩიტაია გაჩნდა და გაშლილი ფეხით ჩაუწვა ბურთს. სოლოლაშვილი უძლური აღმოჩნდა — 2:1.

თამაშში გარდატეხა 78-ე წუთზე მოხდა. სტუმარი გოჩაშვილი უხეშად ეთამაშა მეტოქეს და ამით ხობელთა აღშფოთება გამოიწვია. ყველაზე მეტად ონიანმა იაქტიურა და შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ყველანი რომ დამშვიდნენ, არბიტრმა გოჩაშვილი ყვითელი ბარათით დააჯილდოვა, ონიანს კი გასახდელისკენ მიუთითა, რადგან მისთვის ეს მეორე გაფრთხილება აღმოჩნდა.

ონიანი გააძევეს და ხობელთა დაცვაც მოიშალა. მასპინძელთა რიგებში შეცვლაც არ მომხდარა, მდგომარეობა რომ გამოესწორებინა და... ჯერ ლომიძემ გაათანაბრა ანგარიში. 10 მეტრიდან ძლიერად დაარტყა და ნიქაბერიძე დაამწუხრა.

თამაშის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე კი კვლავ ხორგუაშვილმა გამოიჩინა თავი, საჯარიმოში მარჯვენა ფრთიდან შეჭრილმა გაილაღა და ძლიერი დარტყმით სტუმრები დააწინაურა.

ერთი საინტერესო ფაქტის შესახებ. მატჩის ოქმს თუ ჩაუკვირდებით, თვალში გეცემათ გაფრთხილებების და გაძევების რაოდენობა. 9 ყვითელი და 2 წითელი ბარათი ერთ მატჩში, ისიც ისეთ შეხვედრაში, სადაც უხეშობა მაინცდამაინც თვალშისაცემი არ ყოფილა, ძალიან ბევრია. მიღებული გაფრთხილებების ნახევარზე მეტი უდისციპლინობით და არბიტრთან შელაპარაკებით უფრო იყო გამოწვეული. ეს განსაკუთრებით ხობელებს ეხებათ, რომლებმაც, თუ ასე გააგრძელეს, შეიძლება წითელ-ყვითელი ბარათების „მითვისებით“ ყველა რეკორდი მოხსნან.



ვიტელ ქორიძეს მეკარე ჩიხრაძემ დაასწრო

# სიონის დაჩაგვრას ვერ მოესწრებით

თბილისი
13 ნოემბერი
15 საათი
ისანი
2 500 (ტევადობა 3 000)

**არსენალი 0:1 სიონი**

0:1 შაკიაშვილი (50)
არსენალი: ჩლაიძე, ირემაშვილი, ასპინძელაშვილი, ამირიძე, ყოლბაია (კვირკველია 72), ვახტანგ გაგუა (რობაქიძე 85), ხოსროშვილი, თარგამაძე, გონჩაროვი, კაკაშვილი (გ. სულაძე 61), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე, გ. ჩალაძე, ცოტაძე, ყუფარაძე
სიონი: ვოლკოვი, ნ. მინდიაშვილი, შაკიაშვილი, სიდამონიძე, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, სოლოლაშვილი, მოსეშვილი, დათუაძე, დ. გოდერძიშვილი (დ. სვანიძე 90)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; მ. სამხარაძე, დ. ჯაფარიძე, ი. კაპანაძე, კ. გოდერძიშვილი, ლ. გაგუა
გაფრთხილება: ვახტანგ გაგუა (69)
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი; დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო

**გიორგი ვაშაკიძე**

ბოლნისელებმა სრულიად დამსახურებულად მოიგეს და „არსენალსაც“ ის დღე აყარეს, რაც თბილისში ორი სტუმრობისას „თბილისსა“ და „ლოკომოტივს“. ესე იგი, ბოლნისელებმა ზედიზედ მესამე საგარეო შეხვედრაში იმარჯვეს და სამჯერვე თბილისში. თამამად შეგვიძლია, სპარტაკ არჩვაძის შეგირდებს თბილისელთა რისხვა ვუწოდოთ.

შაბათს ერთბაშად ორი მატჩის შედეგი იწვევდა ინტერესს, როგორ ითამაშებდა „სიონი“ და რას იზამდა „ლოკომოტივი“ „დინამოსთან“. მატჩამდე არსებობდა ვარაუდი, რომ ჩემპიონი რკინიგზელებს თამაშს მისცემდა, ხოლო „არსენალი“ ბოლნისელებს თავს შეაკლავდა, არაფერს დაუთმობდა.

რა და როგორ მოხდა ეროვნულზე, დღევანდელ „სარბიელშივე“ გაეცნობით, ხოლო რაც შეეხება ავლაბრულ მატჩს, თავიდანვე აღვნიშნავ, „არსენალმა“ „სიონს“ ბევრიც ვერაფერი დააკლო, ბოლნისელებს — გოდერძიშვილს, დათუაძეს და განსაკუთრებით ბახვა მოსეშვილს უფრო რომ ეყოჩალათ, „ისანზე“ უთუოდ დიდი ანგარიში დაფიქსირდებოდა.

ბებერი ხარისა რქებიც ხნავენო, ნათქვამია. ჰოდა, „სიონის“ მესამე საგარეო და „ოქროს მოგება“ ბოლნისელთა ლიბერო არჩილ შაკიაშვილმა გამოჭედა. კაპიტანი 50-ე წუთზე, კუთხურის მოწოდებისას, მასპინძელთა საჯარიმოში ჩავიდა. გოდერძიშვილმა მოაწოდა და „შაკამაც“ მადლიანი თავურით გამარჯვების გოლი გაუტანა თემურ ჩლაიძეს.

„სიონი“ მოგებას იმსახურებდა. წარმოიდგინეთ, „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ მატჩის შედეგი რომ გაიგეს, როგორაც გაიხარებდა ორიათას ხუთასიოდე ბოლნისელი ქომაგი (ამდენი მაყურებელი დაესწრო ამ მატჩს და თამამად გეტყვით, თითქმის ყველანი ალას რაზმს წარმოადგენდნენ).

გაიხარა ბოლნისის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემაც. იუმორისტული ალავერდი ფედერაციის მისამართითაც იყო — ჰა, კიდევ გაგრძელდება „სიონის“ დაჩაგვრა? ვერა, ვერ მოესწრებითო, გუგუნებდნენ ბოლნისელები.

სიხარულისგან ანთებული ადგილს ვერ პოულობდა ამ ყველაფრის შემოქმედი, „სიონის“ მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე. არავის მიმართ პრეტენზია არ მაქვს, ხომ დავამტკიცეთ, რომ „სიონი“ ურიგო გუნდი არ არისო.

დამტკიცდა და თანაც როგორ. ახლა ბევრს ლაპარაკობენ, მოკვდა ქართული ფეხბურთი, აღარ არისო. იქნებ ასეცაა. მართლაც ძნელად შეხვდებით ჯიგრიანად, მთელი სულით და გულით მოთამაშე გუნდებს და თუ ასეთი რამ სადმე ნახეთ, იცოდეთ, ეს უთუოდ ბოლნისის „სიონი“ იქნება.

...შეხვედრის 42-ე წუთზე არბიტრმა ალექსანდრე მეშკოვმა ნაღდი პენალტი არ დანიშნა „არსენალის“ კარში გოდერძიშვილის წაქცევისთვის. მაყურებლისგანაც სამართლიანად მიიღო რეპლიკები, როგორი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

შეხვედრა რომ დამთავრდა, ალექსანდრე მეშკოვმა სამსაჯო ოთახში ეს მითხრა: „ვერ გავრისკე, როგორ არ დავინახე, რომ მაისურაზე დაქაჩეს, ოღონდ ოდნავ მოშორებით ვიდექი. ვიფიქრე, მაინც პირველი ტაიმის ბოლოა-მეთქი და თამაში არ გავაჩერე“. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ვაი და „სიონს“ ბურთი ვერ გაეტანა, მაშინაც ასე ადვილად გადაურჩებოდნენ მსაჯები გაავებულ მაყურებელს? ვაგლახ, რომ ქომაგი ამ შემთხვევაში მართალი იქნებოდა.


არსენალელი გაგუა (№6) სიონელ მინდიაშვილს გაურბის

# საკითხავია, ვინ მოიგო?

მცხეთა
14 ნოემბერი
15 საათი
არმაზი
1 500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:1 თბილისი**

1:0 ქორიძე (21) 1:1 გაგუა (37 პ)
ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, საჯაია, ჭანკოტაძე, ხართიშვილი, თორდუა, დილმელაშვილი, დ. ნოზაძე, დ. დოლიძე (კოტორაშვილი 65), ყიფიანი, რ. გოცირიძე (ვლ. გოჩაშვილი 81), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* ჭურაძე; ბარქაია, მაზიაშვილი, ზ. გვაზავა
თბილისი: ა. ჩიხრაძე, რუხაძე, მაჭავარიანი, აბრამიძე, ზამთარაძე, ო. გველესიანი, გ. კვარაცხელია (ლ. ბურდული 72), ქემოკლიძე, ზ. ხიზანიშვილი, ვალერი გაგუა, ლ. მელქაძე (გიორგი მიქაძე 54)
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; ტყებუჩავა, ი. შენგელია, ნორაკიძე, ისიანი
გაფრთხილება: დოლიძე (27), ყიფიანი (41), საჯაია (49), ქემოკლიძე (87)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ანიაშვილი (გორი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); გ. მაისურაძე (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

„ვიტ ჯორჯიამ“ „თბილისს“ საშინაო მატჩი ვერ მოუგო და ქართულ ფეხბურთში დატრიალებულ ამბებს თუ გავითვალისწინებთ, საქმეებიც ძლიერ გაირთულა.

„თბილისმა“ კი თავდადებით, ბოლომდე იბრძოლა. მათ დაამტკიცეს, რომ ბურთაობა არავისზე ნაკლებად შეუძლიათ. ცუდი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ახალგაზრდა თბილისელები ჟინსა და საბრძოლო უნარს ცალკეულ მატჩებში ავლენენ.

დიდი ხანია, „თბილისი“ უხელფასოდ თამაშობს, მაგრამ ვიღაცას (ვერ დავაზუსტეთ, ვის) სწორედ შაბათს დაურიგებია ფული. როგორც თქვეს, მოთამაშეებისთვის 500-500 ლარი გაუმეტებიათ. სტუმრებმაც ნათქვამი აასრულეს, მცხეთიდან ქულა წამოიღეს, ხოლო ვიტელებს ორი დააკარგვინეს.

თამამად შეიძლება ითქვას, კვირას მცხეთაში ქართული ფეხბურთის მომავალი არკვევდა ურთიერთობას. მძიმე, ხისტი თამაში თავიდანვე გაჩაღდა და ისე დასრულდა, რომ სერგო კვარაცხელიას სასტვენს წუთითაც არ დაუსვენია.

მატჩის საერთო მონახაზით თუ ვიმსჯელებთ, მოგება ორივე გუნდს შეეძლო, თუმცა ყველაზე კანონზომიერი შედეგი, ფრე, მაინც დაფიქსირდა.

მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს და საგოლე მომენტებიც შექმნეს, მაგრამ დასაწყისში მოპოვებული სათამაშო უპირატესობა გოლად ვერ აქციეს.

მერე სტუმრებმაც გამოიღეს ხელი და ხიზანიშვილის სახიფათო თავურის შემდეგ მამარდაშვილმა იხსნა ვეტერინარები.

საპასუხოდ მასპინძელთა სწრაფი კონტრშეტევა გოლით დაგვირგვინდა. გიორგი ყიფიანმა სეხნია ქორიძე გარღვევაზე გაიყვანა. თავდამსხმელმა ერთი მოძრაობით მცველი ჩამოიშორა და ცაციათი კარში დაარტყა. ბურთი თანაგუნდელის დასაზღვევად მოჩქარე მაჭავარიანს ფეხზე მოხვდა და კარის მარჯვენა დაბალ კუთხეში მოძებნა ადგილი.

მასპინძლებს თითქოს არსაიდან ელოდათ ხიფათი. ისინი ისევ ცდილობდნენ, შეეტიათ, მაგრამ მელქაძე სულ უფრო სახიფათოდ და მწვავედ თამაშობდა. სწორედ მის მონდომებას მოჰყვა ის თერთმეტმეტრიანი, გაგუამ რომ მოინადირა. საჯაიამ წამით დააგვიანა და ფეხით ბურთს კი არა, მომხვდურის ფეხს წამოედო.

გაგუამ მამარდაშვილი მოატყუა და თანაფარდობაც აღდგა.

პირველ ტაიმში მასპინძლებს დაწინაურება შეეძლოთ, მაგრამ ყიფიანს ჩიხრაძემ არ გაატანინა. ჯერ ახლოდან დარტყმული ძნელი ბურთი კუთხურზე გადააგდო თბილისელთა მეკარემ, მერე ყიფიანის მიერ კუთხურიდან ჩახვეულ ბურთს ბოლო წამს მიუსწრო და მოიგერია.

მეორე ტაიმში, მიუხედავად მასპინძელთა უპირატესობისა ვიტელებმა რეალური საგოლე მომენტები ვერ შექმნეს.

სულ ბოლოს მამარდაშვილმა ისევ გადაარჩინა — „ვიტ ჯორჯია“. გაგუას ძლიერად დარტყმულზე შესაშური რეაქცია გამოავლინა და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

„ვიტ ჯორჯიას“ სჭირდებოდა და ვერ მოიგო, „თბილისისთვის“ კი მოგება-წაგება სულერთი იყო და მაინც არ წააგო. იქნებ ეს ცუდი სულაც არ არის, ფეხბურთში ხომ ბევრი რამ ხდება. არსებულ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ ახლა საკითხავი ისაა, ქართულმა ფეხბურთმა თუ მოიგო? ძალიან საეჭვოა.

# მსაჯის ფაქტორი

| | |
|---|---|
| ფოთი | 13 ნოემბერი, 15 საათი |
| ფაზისი | 800 (ტევადობა 6 000) |

**კოლხეთი 1:0 მერანი**

1:0 ხუჭუა (1)
კოლხეთი: მ. გვასალია, ქუნთელია, ტორჩინავა, შალამბერიძე, გოროზია, კედელაშვილი, კიკლიაშვილი, ტრაპაიძე, ლალანიძე, ე. გვასალია (მელაძე 26), ხუჭუა
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; ბურკვაძე, პაპავა, ჭოხონელიძე, ანჯაფარიძე, ჯლარკავა
მერანი: ნაჭყეპია, ლ. ამბიძე, პ. ლურსმანაშვილი, ე. ალადაშვილი, ხარებავა (ბაჯელიძე 37), ჭინჭარაული (ლ. ჩხაიძე 85), როსტიაშვილი (კოშკაძე 73), ჯიშკარიანი, ბ. ამბიძე, დევიძე, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ჩანადირი, ცქიფურიშვილი
გაფრთხილება: ქუნთელია (24), როსტიაშვილი (70)
გაძევება: ქუნთელია (90)
მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კოკაჩეიშვილი; ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: კ. ყრუაშვილი

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

ვის უჭირს და ვის ულხინსო, სწორედ შაბათს „ფაზისზე" ჩატარებული თამაშის მონაწილეებზე ითქმის. ამათ შორის ვინ, ვინ არის, ეს კარგად მოგეხსენებათ. დალხინებულ „კოლხეთს", თავი ამ თამაშამდეც ისედაც ქუდში ჰქონდა. არა, ოთხეულში ვერმოხვედრის თეორიული შანსი ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ შანსსაც ხომ გაჭირვება. ამას სასწაულსაც ვერ უწოდებს კაცი. და მაინც, უეჭვო იყო, რომ კოლხები მორიგ გამარჯვებას ეცდებოდნენ ტრანსპორტელებთან. ამბიციები და ჩვეულთა შორის მოხვედრის მიზანსწრაფვა, იცოცხლე, ყოველთვის ჰქონდათ მათ და წლეულსაც, ალბათ, ასე იქნება. ამას კი ქულები სჭირდება და რაც მეტ ქულას დააგროვებენ ისინი, უფრო მეტ განახევრებულს გადაიყოლებენ იქ, ზემოურ რვა გუნდის კოჰორტაში.

ხავსმოჭიდებული „მერანის" საფიქრალი სულ სხვაა. ოთხეულში მოსახვედრად ჰაერივით სჭირდებოდათ სამი ქულა, მაგრამ როგორ, რა გზით? ამას ხომ თავსზემოთ ძალა უნდა, რომელიც დედაქალაქელებს ამ მატჩში არ აღმოაჩნდათ. არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი ერთადერთი, რაშიც ვერ გაამტყუნებთ მათ, ეს თავდაუზოგავი მონდომებაა. ოღონდ, ამ მონდომებას უდავოდ რაღაც აკლდა, ის რაღაც, რომელიც ალბათ „მერანის" შეტევის პოტენციალში უნდა ვეძიოთ.

შემტევი პოტენციალით დიდად ვერც კოლხები დაიკვეხნიდნენ. პირველივე წუთზე, პირველივე შეტევას გოლი რომ არ მოჰყოლოდა, ვინ იცის, იქნებ გოლი საერთოდ არც გასულიყო. ამას გარკვეულწილად თავისი მიზეზიც აქვს. ელდარ გვასალია თავიდანვე ტრავმით გავიდა სათამაშოდ და მხოლოდ 26 წუთი ითამაშა, თუ ამას თამაში ერქვა. ხუჭუას კი მარტოს მოუხდა ჭაპანის წევა და, ბუნებრივია, ვერ გასწვდა. თუმცა, გამარჯვების ერთადერთი გოლი მაინც გაიტანა.

მარტო კაცად იყო წინ, სულიკო დავითაშვილიც და მიუხედავად დიდი მცდელობისა, პარტნიორთა ნაცოდვილარს ღირებული გაგრძელება ვერა და ვერ მოუნახა. არადა, ეს ვერც მეორე ტაიმში მოხდა, როცა „მერანის" უპირატესობა თვალსაჩინო გახდა.

ახლა ზემოთ ნახსენებ ფაქტორზეც ვთქვათ, რომელსაც მსაჯთა კეთილგანწყობა ჰქვია. ამ ბოლოს ასეა, იქ, სადაც „მერანია", მსაჯობის საკითხიც უმალ ამოტივტივდება. ასე იყო შაბათსაც. მსაჯთა ნამოქმედარზე კვლავაც ნაწყენი დარჩნენ ტრანსპორტელები. ორი არდანიშნული პენალტი, რამდენიმე არასწორი ოფსაიდი და თამაშის ბოლოს წასამატებელი წუთების რაოდენობა. აი, რაში სდებდნენ ბრალს კახიანს და მის თანაშემწეებს.

პენალტებზე რა გითხრათ. პირველ შემთხვევაში ზედ საჯარიმოს ხაზთან ბახვა ამბიძე წაიქცა. ამის შემდეგ შეტევა გაგრძელდა და საჯარიმოში დავითაშვილი მოცელეს. კახიანს ამ ეპიზოდში ვაკვირდებოდი. ამბიძის წაქცევისთანავე მან ჯარიმის მანიშნებელი რეაგირება უმალ გააკეთა, დავითაშვილი კი მხოლოდ მას მერე წაიქცა. მეორე ეპიზოდში იგივე ბახვა ამბიძემ, მსაჯის აზრით, ხელით გაისწორა ბურთი და ისე შეაღწია საჯარიმოში, სადაც მართლაც წააქციეს კიდეც. ასე რომ, ორივე ეპიზოდზე ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა. აი, წამატებული წუთების ბრალდება სხვა ამბავია. ჯერ ერთი, კახიანმა ორი წუთის მანიშნებელი ააწევინა რუსიშვილს მაშინ, როცა რეალურად წუთზე ნაკლები დაამატა. საერთოდ მეორე ტაიმში ორი შეცვლა მოხდა (ესეც ერთი წუთი), ამას რამდენჯერმე თამაშის შეჩერება და ორ-სამჯერ სათადარიგო ბურთის მოედანზე გამოჩენა დაუმატეთ. ჰოდა, 3-4 წუთის დამატება უფრო უპრიანი იქნებოდა.

ფედერაციას თბილისური კლუბები ებევრება და შეგნებულად ცდილობს მათ ჩაძირვას. სწორედ ამიტომაც დაგვინიშნეს წარმოშობით სამტრედიელი კახიანი სამსაჯოდ — აცხადებენ ტრანსპორტელები და ჩემპიონატის მიტოვებით იმუქრებიან.

საქართველოს ჩემპიონატი

## 12 ტური

«ა» ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 12 | 9 | 1 | 2 | 28:10 | 28 |
| სიონი | 12 | 6 | 3 | 3 | 12:12 | 21 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 5 | 4 | 3 | 15:11 | 19 |
| ბათუმი | 12 | 4 | 7 | 1 | 10:4 | 19 |
| ლოკომოტივი | 12 | 4 | 2 | 6 | 16:18 | 14 |
| თბილისი | 12 | 3 | 4 | 5 | 21:26 | 13 |
| არსენალი | 12 | 2 | 3 | 7 | 10:18 | 9 |
| სამგურალი | 12 | 2 | 2 | 8 | 7:20 | 8 |

«ბ» ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 12 | 11 | 1 | 0 | 33:5 | 34 |
| კოლხეთი | 12 | 8 | 0 | 4 | 17:12 | 24 |
| დილა | 12 | 5 | 2 | 5 | 15:20 | 17 |
| გორდა | 12 | 4 | 1 | 7 | 13:15 | 13 |
| თსუ | 12 | 3 | 4 | 5 | 9:13 | 13 |
| იბერია | 12 | 3 | 3 | 6 | 6:19 | 12 |
| მერანი | 12 | 2 | 6 | 4 | 10:11 | 12 |
| ხობი | 12 | 2 | 3 | 7 | 15:23 | 9 |

# კიევის დინამო ალექსიძეს და აშვეთიას აკვირდება

სააგენტო „უკრაინ სოკერის" ცნობით, კიევის „დინამოს" სელექციონერები დაესწრნენ თბილისის „დინამოს" ბოლო ორ შეხვედრას საქართველოს ჩემპიონატში („ვიტ ჯორჯიასთან" და „ლოკომოტივთან").

კიევის „დინამო" სერიოზულად აკვირდება თბილისური კლუბის ორ ლიდერს — გასულ სეზონში საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს, 21 წლის რატი ალექსიძეს და წლევანდელი პირველობის ბომბარდირს, 22 წლის მიხეილ აშვეთიას.

ორივე მათგანმა უკვე მოასწრო საზღვარგარეთ თამაში. რატი ალექსიძე „ჩელსის" ჭაბუკთა გუნდში თამაშობდა, მიხეილ აშვეთია კი ვლადიკავკაზის „ალანიის" ღირსებას იცავდა.

კიევის „დინამოს" გარდა ალექსიძეს მოსკოვის „სპარტაკიც" აკვირდებოდა. დორტმუნდის „ბორუსიამ" კი იგი გასასინჯად მიიწვია.

წლეულს ერთი მიწვევა ჰქონდა აშვეთიას. იგი ვოლგოგრადის „როტორს" სურდა, თუმცა ეს ტრანსფერი არ შედგა.

თუ ჩვენებურები კიევში ნამდვილად გადავლენ, მაშინ გვეყოლება ოთხი ქართველი ფეხბურთელი, რომლებსაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კიევის „დინამოში უთამაშიათ. კიევს ახლაც ჰყავს კახი კალაძე, ადრე კი უკრაინის მთავარ გუნდში სოხუმელი მიხეილ ჯიშკარიანი გამოდიოდა.

სიმონ მენაბდე

გურამ მურაჩაშვილის ფოტო



ნუგზარ ნავაძე

# მერანი გვტოვებს!

## ნუგზარ ნავაძეს ფედერაციის მაქინაციები მობეზრდა

მწუხარება სუფევდა გუშინ „სინათლის" სტადიონზე. თბილისის „მერანის" ფეხბურთელები სტადიონის ადმინისტრაციული შენობის ერთ-ერთ ოთახში შეკრებილიყვნენ და ხმაამოუღებლად, მოწყენილი სახეებით უსმენდნენ კლუბის პრეზიდენტ ნუგზარ ნავაძესა და სხვა ხელმძღვანელებს...

ნავაძემ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და ფეხბურთელებს სწორედ ამის შესახებ განუცხადა, — თბილისის „მერანი 91" საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ტოვებს, „მერანი" ჩემპიონატში აღარ ითამაშებს. ეს გადაწყვეტილება, ალბათ, აღარ შეიცვლება.

რაც ყველაზე სამწუხაროა, კლუბი უსახსრობის გამო კი არ გადის ჩემპიონატიდან, არამედ... „მე ამ სიბინძურეში ყოფნა აღარ მინდა" — თქვა გუშინ პრეზიდენტმა.

„მერანის" ხელმძღვანელობის მუქარა პირველად მეცხრე ტურის წინ გაისმა. ან უდანაშაულოდ გაძევებულ პაატა ლურსმანაშვილს თამაშის ნებას მისცემთ, ანაც ეროვნულ ჩემპიონატს მივატოვებთო, ულტიმატუმი წაუყენეს ტრანსპორტელებმა ფედერაციას. ქართული ფეხბურთის მამებმა მართებული გადაწყვეტილება მიიღეს — ლურსმანაშვილმა „ხობთან" ითამაშა. მერანელებს შაბათს ფოთში „კოლხეთთან" თამაშის შემდეგ ულტიმატუმი აღარ წაუყენებიათ. ერთი ის თქვეს, ორშაბათს კლუბის ხელმძღვანელები და ფეხბურთელები შევიკრიბებით და ყველაფერს მაშინ გადავწყვეტთო.

გუშინ 15 საათზე „მერანის" უფროსობამ მცირე თათბირი გამართა, შემდეგ კი ფეხბურთელებსაც შეხვდა. დასწრების უფლება „სარბიელსაც" დართეს, დასამალი არაფერი გვაქვსო.

„ბოლო დღეებში ბევრი ვიფიქრე, არ ავჩქარებულვარ, გადაწყვეტილებაც ცივი გონებით მივიღე, თუმცა ჯერ ანზორ მამალაძეს მოუსმინეთ" — თქვა პრეზიდენტმა, რომელსაც მღელვარება აშკარად ეტყობოდა.

კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა ანზორ მამალაძემაც ფეხბურთელებს ყველა ის თამაში (ფაქტებითურთ) შეახსენა, რომელშიც გუნდმა არაობიექტური, გნებავთ მიკერძოებული, მსაჯობის გამო ქულები დაკარგა. მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მსაჯებისგან ძალიან დიდ ზეწოლას განვიცდით, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებაო, დასძინა ბოლოს მამალაძემ.

მერე ისევ ნუგზარ ნავაძემ აიღო სიტყვა და სამსჯავროზე ქართული ფეხბურთის სამზარეულოს ამბები გამოიტანა, თუმცა თავიდან დავიწყოთ:

— მოკლედ, საბოლოო გადაწყვეტილება მივიღეთ. „მერანი" ეროვნულ ჩემპიონატში აღარ ითამაშებს. ბუნებრივია, მიზეზიც გაინტერესებთ. მე უფრო დავაკონკრეტებ. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა შორის არიან პიროვნებები, რომლებიც ამა თუ იმ გუნდს უდგანან მხარში. მაგალითად, სამტრედიის „იბერია" ავიღოთ. ფედერაცია ყველაფერს აკეთებს, რათა „იბერია" ოთხეულში მოხვდეს. დანამდვილებით ვიცი, სამტრედიელთა გამარჯვება მეთერთმეტე ტურში ფოთის „კოლხეთთან" წინასწარვე იყო დაგეგმილი. იმ მატჩის დელეგატმა ბადრი ქარქაშიძემ ყველაფერი იღონა, რათა „იბერიას" მოეგო. მიზანს მიაღწია და კმაყოფილიც დარჩა. იმ მარცხის სანაცვლოდ კი სამტრედიაში ფოთელთა უსაქციელობით მომხდარი ინციდენტებიც მიჩქმალა, ამასთანავე ფოთელებს ჩვენთან დახმარებას დაჰპირდა, საამისოდ ამ მატჩის დელეგატადაც დაინიშნა, თუმცა ჩვენ გავაპროტესტეთ და გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ იგი შეცვალა. სამაგიეროდ, ფოთში გადარეკა ვიღაცამ და „კოლხეთი" გააფრთხილა, „მერანს" უეჭველად მოუგეთო. ეს თავად „კოლხეთის" წარმომადგენელმა გვითხრა.

ისიც ვიცოდით, გორის „დილა" შაბათს „ხობს" რომ დაამარცხებდა. ფედერაციას ასე აძლევდა ხელს. სამაგიეროდ, მომავალ ტურში „დილა" „იბერიას" დაუთმობს მატჩს, „ხობთან" ვერმოგების შემთხვევაში კი ამას აღარ იზამდა, მერე შეიძლება ოთხეულში ველარ მოხვედრილიყო.

ქუთაისის „ტორპედოსთან" წინა ტურის მატჩში არბიტრად სერგო კვარაცხელია დაგვინიშნეს. მას „მერანის" წინააღმდეგ ადრეც უმსაჯია, ოღონდ მიკერძოებით. ამიტომ ფედერაციის ხელმძღვანელობას მაშინვე ვთხოვეთ, იგი ჩვენს თამაშზე აღარ მოევლინა. თუმცა „ტორპედოსთან" მაინც დაგვინიშნეს. როცა დავინტერესდით, ვინ დანიშნაო, გვიპასუხეს ანატოლი მილჩენკომო. ეს ინფორმაცია სრულიად შემთხვევით გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ იგი პირიქით, წინააღმდეგი ყოფილა, მაგრამ მას არავინ უგდო ყური. მართალია, ანატოლი მილჩენკო სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეა, მაგრამ იგი ვერ მართავს სიტუაციას.

ჩვენ ფედერაციას მხოლოდ ობიექტურ მსაჯობას ვთხოვდით, ფეხბურთის თამაში გვსურდა, ფოთის მერე კი ხელი საბოლოოდ ჩავიქნიე. იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩემი და ჩემი მეგობრების ქართულ ფეხბურთში მუშაობას აზრი აღარ აქვს. თუ არ მეთანხმებით, თქვით და დავრჩები. ბოლომდე ჩავიძიროთ.

ვიცი, დღეს ნათქვამი გეწყინათ, მაგრამ ჩემზე მეტად არავის სწყდება გული. „მერანი" იმ დროს დავაარსე, როცა ქვეყანაში ომი იყო. ბევრს ჩემი საქციელი არასწორად მიაჩნდა, მაგრამ ეს საქმე მაინც გავაკეთე. გუნდი პირველ ჯგუფში გადმოვიყვანე, ინტერტოტოს თასზეც ვითამაშეთ, დიდი შრომა ჩავდე, ბევრი კარგიც მახსოვს... ახლა კი ზოგიერთების გამო წასვლა მიწევს. ვიცი, ამით ჩირქი მომეცხება. ბევრი იტყვის, ხალხის გულისთვის მაინც არ უნდა გაეკეთებინა ესო, მაგრამ ამდენ ჩაგვრას და ამდენ სიბინძურეს ვეღარ ავიტან. თუმცა უმუშევარი არცერთი თქვენგანი დარჩება. ყველას პატრონი ვიქნები. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატში აღარ ვითამაშებთ, კონტრაქტის პირობები ყველას შეგისრულდებათ — განაცხადა ბატონმა ნუგზარმა.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა ფეხბურთელებს სთხოვა აზრის გამოთქმა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ბახვა ამბიძემ თქვა, თუ ნებას მოგვცემთ, დღეს ბიჭები ერთმანეთში მოვითათბირებთ და ჩვენს აზრს ხვალ გაგაცნობთო. ნავაძეც დათანხმდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ დღეს დილით ფეხბურთელები და პრეზიდენტი კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს, შემდეგ კი ნუგზარ ნავაძე კლუბის დამფუძნებლებთან ატარებს კრებას, რათა თავისი გადაწყვეტილება მათაც შეატყობინოს.

ასეა. ნუგზარ ნავაძე გუშინ ისეთ ხასიათზე გახლდათ, სასწაული უნდა მოხდეს, რომ გადაწყვეტილება შეცვალოს. სასწაული თუ არ მოხდა, მაშინ კი მორიგი (ვინ მოსთვლის, მერამდენე) სკანდალი დაბეჩავებულ, დაუძლურებულ ქართულ ფეხბურთს არ ასცდება.

ეროვნული ჩემპიონატიდან თბილისის „მერანის" გამოთიშვა მართლაც დიდი დანაკლისი იქნება ქართული ფეხბურთისთვის. „მერანი" ერთადერთი კლუბია, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ევროტურნირზე ითამაშა და ქართული ფეხბურთი არ შეარცხვინა. მისი დაშლა არ შეიძლება.

ეს თუ მოხდა, ძალიან ცუდი იქნება. ქართული ფეხბურთი აქამდე არასდროს მისულა.

ვანო ოქროპირიძე

# გიორგი ქინქლაძემ 3,5 კილო დაიკლო

## მანჩესტერ იუნაიტედთან მისი დებიუტი კვლავაც სათუოა



დერბელი გიორგი ქინქლაძე

კვლავაც სათუოა „აიაქსიდან" „დერბი ქაუნთიში" გადაბარგებული გიორგი ქინქლაძის დებიუტი „მანჩესტერ იუნაიტედთან" შაბათს, 20 ნოემბერს, დერბის „პრაიდ პარკზე".

„სამუშაო ვიზის მოსაპოვებლად ძალ-ღონეს არ ვიშურებთ. იმედი გვაქვს, რომ ქინქლაძე „იუნაიტედთან" გვეყოლება" — ფარ-ხმალს არ ჰყრის „დერბის" მენეჯერი ჯიმ სმიტი.

მანამდე ქინქლაძე გულმოდგინედ ვარჯიშობს „პრაიდ პარკზე" და „დერბის" პრესატაშეს ცნობით, უკვე 3,5 კილოგრამი დაიკლო. „ოპტიმალური წონის მისაღწევად მას კიდევ 3 კილოგრამის დაკლება მოუწევს" — განაცხადა მან.

„სპორტინგ ლაიფისთვის" მიცემულ ინტერვიუში ქინქლაძემ განაცხადა, რომ „მანჩესტერ სიტიში" ყოფნისას „მანჩესტერ იუნაიტედს" 2-3-ჯერ შეხვდა და მისი გუნდი ყოველთვის ბოლო მომენტში დამარცხდა.

გიორგიმ იმედი გამოთქვა, რომ „მანჩესტერთან" შეხვედრისას „დერბის" „მანჩესტერ სიტის" ფანებიც უქომაგებენ.

ქინქლაძე ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, რათა ჰოლანდიური ფეხბურთი გააკრიტიკოს. „ყველაფერი მორტენ ოლსენის წასვლის შემდეგ ამერია, მანამდე კიდევ არა უშავდა. ვოუტერსმა უარესი დამმართა, სად მათამაშებდა და რას მავალებდა, ახლაც არ მესმის. ინგლისური ფეხბურთი სულ სხვაა. ჰოლანდიაში „აიაქსმა" 17 თამაში უნდა მოიგოს 20-დან, ჩემპიონი რომ გახდეს. იქ სულ 2-3 სერიოზული კლუბია. ძალიან სულელურად მოვიქეცი, როცა „სიტიდან" ჰოლანდიაში წავედი. მაშინ ორი ვარიანტი მქონდა — ამსტერდამის „აიაქსი" ან ლივერპულის „ევერტონი".

20 ნოემბერს მთელი დერბი მოუთმენლად ელის. პირველად ამ სეზონში „პრაიდ პარკის" სალაროებში ბილეთი აღარ დარჩა.

გუშინ კი ჯიმ სმიტმა კიდევ ერთი სარფიანი შენაძენი გააკეთა. „პრაიდ პარკის" ბალახი მოსინჯა შოტლანდიის ნაკრების უბერებელმა ფეხბურთელმა კოლინ ჰენდრიმ. სქოთი „დერბის" სავარაუდოდ, ქინქლაძის დარად, სეზონის ბოლომდე დაეხმარება.

სიმონ მენაბდე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ევროპის ჩემპიონატი. პლეი ოფი



REUTERS

შოტლანდია — ინგლისი 0:2. ამ მატჩში ინგლისელთა ნახევარმცველის პოლ სქოულზის (№8) ორმა გოლმა მწვრთნელი კევინ კიგანი ორჯერ გაახარა...

### შოტლანდია 0:2 ინგლისი

0:1, 0:2 სქოულზი (21, 41)
შოტლანდია: სალივანი, ვეირი, რიჩი, დეილი, ჰენდრი, ბ. ფერგიუსონი, დოდსი, ბარლი, გალაჰერი (ბერჩილი 82), ჰათჩისონი, კოლინზი
ინგლისი: სიმენი, ფ. ნევილი, კემპბელი, ინსი, ადამსი, კიოუნი, ბექემი, სქოულზი, შირერი, ოუენი (კოული 67), რედნაპი
გაფრთხილება: ჰენდრი, გალაჰერი, სქოულზი, დეილი, ნევილი, რედნაპი, ფერგიუსონი, ადამსი, ინსი, ჰათჩისონი
მსაჯი: მ. დიას ვეგა (ესპანეთი)

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანებს ასეთი სიმღერა აქვთ: „პოლ სქოულზი, მას გოლები გააქვს“. ინგლისურად რითმა გამოდის. და აი, გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ წითურმა მანჩესტერელმა ორჯერ, 21-ე და 41-ე წუთებზე დაამტკიცა, რომ მისი ქომაგები არ ცდებიან.

სქოულზმა განსხვავებული გოლები გაიტანა. პირველად ასისტენტობა სოლ კემპბელმა გაუწია, ხოლო წითურმა ბურთი მკერდით მიიღო და მარჯვენა ფეხით ნილ სალივანის კარში გაგზავნა.

ერთ წუთში სქოთებს გათანაბრება შეეძლოთ: მარტინ კიოუნისა და პოლ ინსის დაბნეულობამ კევინ გალაჰერის წისქვილზე დაასხა წყალი, მაგრამ იმ ეპიზოდში სტუმართა მეკარემ, დეივიდ სიმენმა გამოიჩინა თავი.

სქოულზმა — გეხსომებათ, იგი მარტში პოლონეთის ნაკრებთან, „უემბლიზე“ თამაშის დროს სამი გოლის ავტორი გახდა — შესვენებამდე ოთხი წუთით ადრე ერთხელაც მიაღწია მიზანს. ამჯერად მეტოქის საჯარიმოში, ახლო ძელთან მდგომს, საჯარიმოდან ჩაწოდებათა დიდოსტატმა, დეივიდ ბექემმა ჩაუკიდა ბურთი. ნახევარმცველს ახტომაც არ დასჭირვებია, უზადო თავურით თამაშის მეორე, თავისი კი მეცხრე სანაკრებო გოლი შეაგდო.

და ისევ ერთ წუთში შეეძლოთ მასპინძლებს გაქვითვა: ბილი დოდსმა სიმენს ბრწყინვალედ გადაუგდო ბურთი თავს ზემოთ, მაგრამ იგი ხარიხას მოხვდა.

ანგარიში შოტლანდიელთათვის კიდევ უარესი იქნებოდა, შესვენების შემდეგ იმავე სქოულზის წაქცევისთვის მსაჯს პენალტი რომ დაენიშნა. ორი გოლის ავტორი საჯარიმოში დეივიდ უეირმა მოცელა, მაგრამ არბიტრმა თერთმეტმეტრიანის დანიშვნა უმართებულოდ მიიჩნია. მასპინძელთა ვაების ბოლო აკორდი კი გალაჰერის გაფრთხილება გახლდათ. იგი საპასუხო მატჩს გამოტოვებს.

ყვითელი ბარათი სქოულზმაც მიიღო, მაგრამ მას დისკვალიფიკაცია არ ემუქრება. საქმე ის გახლავთ, რომ მართალია პოლონეთთან ზემოხსენებულ შეხვედრაში იგი გააფრთხილეს კიდეც, მაგრამ შემდეგ, სექტემბერში შვედეთთან თამაშის დროს გააძევეს და ამ გაძევებამ „პოლონური ყვითელი“ შეყლაპა.



REUTERS

...შოტლანდიელი გულშემატკივარი კი უზომოდ დაამწუხრა

„დღეს პირველი გოლის ზეიმის გამო დავისაჯე, სისულელე მომივიდა. მერე ჭკუა ვისწავლე და მეორე გოლი რომ შევაგდე, მხოლოდ და მხოლოდ ხელები აღვმართე“ — მოიბოდიშა სქოულზმა. მერე კი თამაშზე თქვა — „მწვრთნელმა მითხრა, შეძლებისდაგვარად შეუტიე ხოლმეო, მაგრამ მაინცდამაინც გოლების გატანაზე არ მიფიქრია. შოტლანდიელებსაც ჰქონდათ დიდებული მომენტები. კიდევ კარგი, დეივიდ სიმენმა საუცხოოდ ითამაშა. ჩვენ მისი მადლიერი ვართ. საპასუხო შეხვედრაში „უემბლიზე“ კვლავ გოლების გატანას შევეცდებით. დაცვაში ჩაკეტვას ნამდვილად არ ვაპირებთ“.

ინგლისელთა მწვრთნელმა კევინ კიგანმა სქოულზისთვის ქების სიტყვები არ დაინანა: „ის ძალიან შთამბეჭდავი მოთამაშეა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, მაგრამ საქმე თავისას ამბობს. თავდადებით ითამაშა ყველამ, სოლ კემპბელმა, მარტინ კიოუნმა, ტონი ადამსმა, ფილ ნევილმა... ამიტომაც გამოდგა შეხვედრა ასე კარგი. დღევანდელ მატჩში, ლოგიკის თანახმად, მესამე გოლიც უნდა შეგვეგდო, მაგრამ, ალბათ, ეს ძალიან დიდი სიხარბე იქნებოდა. თუმცა, ჯერ არაფერი დასრულებულა. მათ „უემბლიზე“ სამი გოლის გატანა სჭირდებათ და ამიტომ ძალიან ძნელი შეხვედრა გველის“.

შოტლანდიელთა თავკაცმა, კრეიგ ბრაუნმა კი იხტიბარი არ გაიტეხა. ინგლისელები, ალბათ, არ დაგვეთანხმებიან, მაგრამ, ვგონებ, „უემბლიზე“ შეხვედრის დასაწყისშივე რომ გავიტანოთ ერთი გოლი, მერე ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დღეს დაცვაში დაშვებული ორი შეცდომის გამო წავაგეთ. სქოულზმა ორივე დარტყმა ჩინებულად შეასრულა, არადა ამის გარდა ბევრი არაფერი გაუკეთებია. კიდევ, დაუფიქრებლად ვჯარიმდებოდით. მოკლედ, ინგლისმა თავისი შანსები გამოიყენა, ჩვენ — ვერა“.

### სლოვენია 2:1 უკრაინა

0:1 შევჩენკო (34), 1:1 ზაჰოვიჩი (54), 2:1 აჩიმოვიჩი (84)
სლოვენია: დაბანოვიჩი, კარიჩი, რუდონია, მილანიჩი (ოსტერცი 74), მილინოვიჩი, კნავსი, ნოვაკი, ჩეჰი, უდოვიჩი (აჩიმოვიჩი 46), ზაჰოვიჩი, პავლინი
უკრაინა: შოვკოვსკი, პარფიონოვი, გუსინი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, კანდაუროვი (კარდაში 58), პოპოვი, კოსოვსკი, შევჩენკო, რებროვი
გაფრთხილება: კნავსი, კოსოვსკი, კანდაუროვი, პარფიონოვი, რუდონია, გუსინი
გაძევება: პარფიონოვი (60), გუსინი (90)
მსაჯი: უ. მაიერი (შვეიცარია)

ფავორიტად უკრაინა ითვლებოდა, მაგრამ შეცვლაზე შესული მილენკო აჩიმოვიჩის 50 მეტრიდან გატანილმა გოლმა სლოვენებს მოაგებინა.

თამაშის დამთავრებამდე ექვსი



REUTERS

შოტლანდია — ინგლისი 0:2. ინგლისელ პოლ ინსს შოტლანდიელი ჯონ კოლინზი ფეხებში ჩაუვარდა

### EURO 2000 — პლეი ოფი

UNDER-21 Championship

#### ახალგაზრდული ნაკრებები

**პორტუგალია 2:0 ხორვატია**
1:0, 2:0 ბოა მორტე (35, 80)

**საფრანგეთი 1:1 იტალია**
0:1 ვენტოლა (49), 1:1 მაულიდა (61)

**ჩეხეთი 3:0 საბერძნეთი**
1:0, 2:0 სიონკო (45, 71), 3:0 ბაროსი (82)

**ნორვეგია 1:3 ესპანეთი**
1:0 კარეუ (45პ), 1:1 ხავი ერნანდესი (59), 1:2 ფარინოსი (80პ), 1:3 ხერარდი (83)

**რუსეთი 0:1 სლოვაკეთი**
0:1 ჩეინეგა (66)

**პოლონეთი 2:1 თურქეთი**
1:0 ვიშნიარეკი (31), 2:0 გლოვაკი (71პ), 2:1 ერჰანი (82პ)

**ჰოლანდია 2:2 ბელგია**
ჰოლანდიიდან ბურთები გაიტანეს: ვან კნოპერი, ბოუვმა
ბელგიიდან: რუსელი, ვან ჰენდენჰოვენი

**იუგოსლავია — ინგლისი**
გადაიდო

## ევროპის ჩემპიონატი. პლეი ოფი

UEFA EURO 2000

წუთი რჩებოდა, როდესაც აჩიმოვიჩმა აუტისკენ გასული სტუმართა მეკარის, ალექსანდრ შოვკოვსკის დარტყმული ბურთი დაახლოებით ცენტრალურ ხაზთან, ოდნავ უკრაინელთა ნახევარზე იგდო ხელთ და პირდაპირ დაარტყა. შოვკოვსკი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა კარისკენ და გადახტა, მაგრამ...

ანგარიში კი „მილანის" თავდამსხმელმა, ანდრეი შევჩენკომ გახსნა. ეს იყო 34-ე წუთზე. ზლატკო ზაჰოვიჩმა 20 წუთში გაათანაბრა.

უკრაინელებმა თამაში ცხრა კაცით დაასრულეს. ჯერ იყო და მე-60 წუთზე მეორე ყვითელი ბარათის გამო დმიტრი პარფიონოვი გააძევეს, ბოლო წუთზე კი მის გზას ანდრეი გუსინიც გაუყენეს.

„ასეთი გოლი ცხოვრებაში არ გამიტანია. ახლაც არ მჯერა" — თქვა მატჩის შემდეგ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ნახევარმცველმა, რომელმაც შესვენებისას საშრ უდოვიჩი შეცვალა — „ეჭვი არ მეპარება, რომ საპასუხო შეხვედრაშიც გამოვიჩენთ თავს და ფინალურ ეტაპზე სწორედ ჩვენ მოვხვდებით".

შევჩენკომ მარცხენა ფეხით მაღალ კუთხეში გაიტანა პირველი გოლი, ზაჰოვიჩმა კი პასუხი ვიტალი კოსოვსკის შეცდომის შემდეგ დაბალი დარტყმით გასცა. ეს გახლდათ ზაჰოვიჩის მე-20 გოლი 41-ე შეხვედრაში.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ სლოვენიელებს შეტევა არ შეუნელებიათ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათი საგანგებო გააქტიურება პირველმა წითელმა ბარათმა გამოიწვია და საბოლოოდ დაქინება აჩიმოვიჩის წარმოუდგენელი გოლით დაუფასდათ კიდეც.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ უკრაინა, რომელმაც ჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონის, საფრანგეთის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო პრინციპულ მეტოქეს, რუსეთს გაასწრო, ფავორიტად იყო აღიარებული. 2:1 ისეთი ანგარიში გახლავთ, რომ, ბუნებრივია, ეს გუნდი საპასუხო შეხვედრის წინაც ინარჩუნებს ფავორიტის სახელს. მისმა მწვრთნელმა, იოჟეფ საბომ თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„სლოვენიამ აბსოლუტურად დამსახურებულად გაიმარჯვა. რაც შეეხება მის მეორე გოლს, კომენტარს ვერ გავუკეთებ. ასეთი რამ ათასში ერთხელ ხდება. ჩვენ როგორც შეგვიძლია, ისე ვერ ვითამაშეთ. ამის მიზეზი ტრავმები გახლდათ და ამიტომაც მაქვს იმედი, რომ კიევში გაცილებით უკეთ გამოვალთ. ერთი სული გვაქვს, როდის დადგება მეორე შეხვედრის დაწყების წუთი".

სლოვენიის ნაკრების თავკაცი სრეჩკო კატანეცი: „ძალიან კარგად ვიცი, რა მცირე სხვაობითაც გავიმარჯვეთ. ეს, მხოლოდ და მხოლოდ, პირველი რაუნდი გახლდათ და მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ, ოთხშაბათამდე აბსოლუტურ რეალისტებად უნდა დავრჩეთ".

### ისრაელი 0:5 დანია

0:1, 0:2 დალ ტომასონი (5, 35), 0:3 ტოფტინგი (64), 0:4 იორგენსენი (65), 0:5 სტენ ნილსენი (71)

ისრაელი: ავატი, ა. ხარაზი, ამსალემი, ბენადო, ბენ-შიმონი (ბენაიონი 37), ჰასანი, ბანინი (ტალასნიკოვი 74), რევივო, ბერკოვიჩი, აბუქსისი (ტალი 37), ტურჯემანი

დანია: შმაიხელი, ტოფტინგი (გოლდბეკი 74), ჰენრიკსენი, ჰოგი, ჰაინცე, ჰელვეგი, სტენ ნილსენი, გრონკიაერი, დალ ტომასონი (ანდერსენი 74), იორგენსენი (შონბერგი 81), სანდი

გაფრთხილება: ბანინი, ხარაზი, ჰასანი, ბენადო, გრონკიაერი

გაძევება: რევივო (58)

მსაჯი: დ. ელერეი (ინგლისი)

დანიამ, მისი მწვრთნელის, ბო იოჰანსონის შეფასებით, ჩინებულად ითამაშა — ისრაელთან 5:0 გაიმარჯვა და, ბუნებრივია, ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე უკვე დაიბევა ადგილი. საპასუხო შეხვედრა ფორმალობადღა რჩება.

„ხშირად კაცმა არ იცის, ფეხბურთში რა მოხდება. დღეს ჩემმა ბიჭებმა იდეალურად ითამაშეს. ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ აეწყო და ისეთ შედეგს მივაღწიეთ, ადრე რომ არც ვოცნებობდით" — განაცხადა მატჩის შემდეგ იოჰანსონმა.

დანიელები იონ დალ ტომასონის მიერ მეხუთე წუთზე გატანილმა გოლმა დააწინაურა. იმთავითვე იგრძნობოდა, რომ ისრაელს ბევრის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

ტომასონი ებე სანდმა გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე. მისი დაბალი დარტყმა მასპინძელთა მეკარის, დუდუ ავატისთვის მიუწვდომელი გამოდგა.

„ანგარიშის იმთავითვე, ფაქტობრივად პირველი შეტევისთანავე გახსნა საუცხოო გახლდათ" — თქვა მოგვიანებით ტომასონმა, რომელმაც 35-ე წუთზე მეორეც გაიტანა. მან ამჯერადაც დიდი სივრცე იგდო ხელთ მეტოქის საჯარიმოში და ზუსტი დარტყმის შესასრულებლად საკმაო დროც დარჩა.

ისრაელის ნაკრების მწვრთნელმა, შლომო შარფმა მდგომარეობის გამოცვლა ორმაგი ცვლილებით სცადა: იოსი აბუქსისი იოსი ბენაიონით შეცვალა, ხოლო რან ბენ-შიმონი იდან ტალით, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ამას დიდი შედეგი არ მოჰყოლია.

მასპინძელთა მცდელობებს ბოლო, 58-ე წუთზე, ჰაიმ რევივოს გაძევებამ მოუღო. ებრაული ფეხბურთის ერთ-ერთმა ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა „ჩელსის" მცველი, იეს ჰოგი უკნიდან მოცელა, რისთვისაც ინგლისელმა მსაჯმა დევიდ ელერეიმ უყოყმანოდ აღმართა წითელი ბარათი.

შემდეგ, გამოჯანმრთელება სტიგ ტოფტინგმა აღნიშნა: 18 მეტრიდან ოსტატურად შესრულებული საჯარიმო დარტყმით მესამე გოლი გაუტანა მასპინძლებს, ხოლო კიდევ ერთი წუთის შემდეგ 45 ათასმა გულშემატკივარმა მარტინ იორგენსენის თავური იხილა. იორგენსენი მაღლა ჩაკიდებულ ბურთს შესწვდა და წინ გასულ ავატს ზუსტად გადაუგდო.

ბოლო წერტილი ბრაიან სტენ ნილსენმა დასვა. 71-ე წუთზე მარჯვნიდან ლონიერი დარტყმით მეხუთედ დალაშქრა ისრაელის ეროვნული გუნდის კარი.

პრესკონფერენციაზე შლომო შარფმა განაცხადა: „თავს საძაგლად ვგრძნობ. ფეხბურთელებიც დაილალნენ. ჩემი ხელმძღვანელობით მათ ასე საშინლად არასდროს უთამაშიათ. დღევანდელმა შეხვედრამ გვაჩვენა, რომ ისრაელის ნაკრები კონტინენტის 16 უძლიერესს შორის მოსახვედრად ჯერ მზად არ არის. მინდა ისიც ვთქვა, რომ მომხდარზე მარტო მე არ ვარ პასუხისმგებელი, ამიტომაც თანამდებობის დატოვებას არ ვაპირებ".

შარფის კონტრაქტს ივნისში გაუდის ვადა.

### ირლანდია 1:1 თურქეთი

1:0 რობი კინი (79), 1:1 ტაიფური (83პ)

ირლანდია: ა. კელი (დ. კელი 60), კარი, ირვინი, ბრინი, კანინგემი, როი კინი, დელაპი (დაფი 54), კარსლი, კასკარინო (კონოლი 75), რობი კინი, კილბეინი

თურქეთი: რუშთუ, ბესერლერი, ოგიუნი, ტაიფური, ალფაი, აბდულა, ტაიფუნი, დავალა უმითი (არიფი 46), ჰაქან შუქური, სერგენი (კორკმაზი 85), ჰაქან უნსალი (ოუგაი 66)

გაფრთხილება: რობი კინი

მსაჯი: ა. ფრისკი (შვედეთი)

ირლანდიელთა თავდადება და გოლი თურქეთის ნაკრების სასარგებლოდ დანიშნულმა აბსოლუტურად უსაგნო პენალტმა გააბათილა.

მანამდე ისე ჩანდა, რომ რობი კინის მიერ 79-ე წუთზე გატანილი ჩინებული გოლი სრულიად საკმარისი იყო სამხრეთელ სტუმრებთან ღირსეული გამარჯვების მოსაპოვებლად. საპასუხო მატჩის წინ, რომელსაც ბურსას სტადიონმა უნდა უმასპინძლოს, 1:0 მართლაც ერთგვარი უპირატესობა იქნებოდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე იგი ქარმა წაიღო.

ასე მოხდა: „ბლექბერნის" ნახევარმცველი ლი კარსლი საკუთარ საჯარიმოში ორთაბრძოლის შედეგად წაიქცა. ბურთმა არემარე მიმოიარა და საბოლოოდ წაქცეულის ხელს მოხვდა, რის დანახვაზეც შვედმა მსაჯმა, ანდერს ფრისკმა უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი დარტყმა.

პენალტი თურქმა მცველმა ტაიფურ ჰავუტჩუმ შეასრულა. ირლანდიელთა სათადარიგო გოლკიპერი, დინ კელი, რომელიც ძელებს შორის მეორე ნახევარში ჩადგა, ვერაფერს გახდა და შესაბამისად თურქეთი, მესამე შესარჩევი ჯგუფის ვიცე-ჩემპიონი, ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე გასვლის ფავორიტად იქცა.

ირლანდიელები, რომლებიც მერვე შესარჩევ ჯგუფში, სადაც იუგოსლავია და ხორვატიაც იბრძოდნენ, მეორე ადგილზე გავიდნენ, კინაღამ პირველსავე წუთზე დაწინაურდნენ: კევინ კილბეინის 20 მეტრიდან დარტყმული რუშთუ რექბერმა მოიგერია. შემდეგ, 37-ე წუთზე, ვეტერანმა ტონი კასკარინომ — იგი შემადგენლობაში ნილ ქუინის ნაცვლად ბოლოწამს მოხვდა — დაჰკრა თავური, რომელიც ასევე გოლკიპერმა უკუაგდო, ხოლო სულ რაღაც წამების შემდეგ თურქმა კარის მცველმა იმავე კასკარინოს კვლავ, ამჯერად ფანტასტიკური რეაქციით, აჯობა.

„ვერ გეტყვით ამაზე ცუდი რა უნდა მომხდარიყო" — ხელები გაასავსავა მატჩის შემდეგ ირლანდიელთა მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ. მას თვალწინ ჩვენს მიერ აღწერილი და აღუწერელი მომენტები უტრიალებდა — „რობი კინი ახლა უკვე დისკვალიფიცირებულია (ყვითელი ბარათი მიიღო), ალან კელი დაშავდა და რაც მთავარია, ყველას გული გაუტყდა. შედეგი ძალიან დამამწუხრებელი გამოდგა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მეტად ძლიერ გუნდს ვეთამაშეთ".

შემდეგ მაკარტიმ დასძინა: „კინი ისეთი საქციელის გამო გააფრთხილეს, ჩვეულებრივ არავის რომ აფრთხილებენ ხოლმე, მეტადრე მათ, ვისაც უკვე აქვს ყვითელი ბარათი მიღებული. ახლა ჩვენ გოლის გატანა გვჭირდება".

თურქეთის ეროვნული გუნდის ტექნიკური ხელმძღვანელი ქან ქობანოღლუ: „ჩვენი მოთამაშეები ბოლო მიწისძვრაზე ფიქრობდნენ და გონების მოედანზე გადმორთვა ვერ შეძლეს. მათ თავიანთი ოჯახების ბედი აღელვებდათ. გარდა ამისა, ირლანდიაში მინდვრის საფარმაც შეგვიქმნა სირთულეები და პლუს, ადგილობრივთა დაახლოებით 15 კაციანი ჯგუფი ჩვენს სასტუმროსთან დილამდე ხმაურობდა".

REUTERS დუბლინიდან



ირლანდია — თურქეთი 1:1. ირლანდიელებმა როი კინმა (მარცხნივ) და სტივენ კარმა (№2) თურქი ტაიფური მოიმწყვდიეს

REUTERS თელ ავივიდან



ისრაელი — დანია 0:5. დანიელი იესპერ გრონქიაერის (№8) ჩაწოდებულს ებრაელი ალონ ხარაზი გადაეღობა

გუშინ უეფამ იმ მსაჯების ვინაობა გამოაცხადა, ვინც პლეი ოფის საპასუხო მატჩებს მოემსახურებიან: ინგლის—შოტლანდიის მატჩის რეფერი იტალიელი პიერლუიჯი კოლინა, უკრაინა—სლოვენიისა — გერმანელი ბერნდ ჰაინემანი, დანია—ისრაელისა — პორტუგალიელი მელო პერეირა, ხოლო თურქეთი—ირლანდიისა ფრანგი ჟილ ვესიე იქნებიან.

### ესპანეთი 0:0 ბრაზილია

ესპანეთი: მოლინა, მიჩელ სალგადო, პაკო ხემესი, აბელარდო, სერხი, გვარდიოლა, ხ. ეჩებერია (ურსაისი 67), ლუის ენრიკე (მენდიეტა 80), ვალერონი (მუნიტისი 67), რაული (ალფონსო 86), მორიენტესი (ენგონგა 67)
ბრაზილია: მარკოსი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, რობერტო კარლოსი, ზე რობერტო (ჟოვანი 70), მარკოს ასუნსაო, რივალდო (ზე ელიასი 88), ემერსონი, ანდერსონი (ჟარდელი 65), ელბერი
მსაჯი: რ. ტემინკი (ჰოლანდია)

ბრაზილიის ეროვნული გუნდი ესპანეთს ეწვია და ამ ქვეყნის ნაკრებს ამხანაგურ მატჩში გაეჯიბრა. სტუმრები მხოლოდ ლეგიონერებით იყვნენ წარმოდგენილნი. მათ არ ჰყავდათ რონალდო, ხოლო ვანდერლეი ლუქსემბურგო ავსტრალიაში ოლიმპიურ ნაკრებს გაჰყვა.

ესპანელებს დიდი ამბიციები ჰქონდათ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მათ რვიდან შვიდი შეხვედრა მოიგეს, რომლებშიც 40 ბურთი გაიტანეს. გოლებით განებივრებული გულშემატკივრები ამ მატჩშიც დიდ ანგარიშს ელოდნენ. იმედი გაუცრუვდათ. თამაში 0:0 დასრულდა. სანახაობრივად კი თამაში ცუდი არ ყოფილა. ვიგოს სტადიონზე შეკრებილმა მაყურებლებმა რამდენიმე სახიფათო შეტევა იხილეს. ორჯერ ფერნანდო მორიენტესმა ვერ გამოიყენა კარგი შანსი. „რეალში" მისმა თანაგუნდელმა რაულმა კი ძელის სიმაგრე შეამოწმა. სტუმრები ნაკლებად მოწადინებულნი იყვნენ. რივალდო საკმაოდ წყნარად ირჯებოდა. ბრაზილიელთაგან საუკეთესო მომენტები მარკოს ასუნსაოს და კაფუს ჰქონდათ.

### იტალია 1:3 ბელგია

0:1 დე ბილდე (6), 1:1 ვანოლი (26), 1:2 ვილმოტსი (70), 1:3 ბარტ გოორი (85)
იტალია: ბუფონი, პანუჩი (იულიანო 46), ფერარა, კანავარო, ფუზერი (პესოტო 74), ალბერტინი, დ. ბაჯო, ვანოლი, დელ პიერო, ტოტი (ლოკატელი 78), ფ. ინძაგი (მონტელა 68)
ბელგია: გასპერჩიჩი, ქენო, პეეტერსი, სტალენსი, ვან კერკჰოვენი, მ. მპენზა (ვერჰეიენი 71), ვანდერჰააგი (კლემენტი 88), ვილმოტსი (ვალემი 86), ბარტ გოორი, შტრუპარი (ბრონო 81), დე ბილდე
მსაჯი: ე. სტეინბორნი (გერმანია)

სენსაციურად შეიძლება მოინათლოს შედეგი, რომელიც იტალიის ქალაქ ლეჩეში მასპინძელი „სკუადრა აძურასა" და ბელგიის ეროვნული ნაკრების ამხანაგურ შეხვედრაში დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ამხანაგური და თითქმის ყველანაირ ინტრიგას მოკლებული იყო, იტალიელთა მარცხს, ალბათ, ცოტა თუ მოელოდა.

მე-6 წუთზე სტუმრები უკვე 1:0 იგებდნენ: მარკ ვილმოტსის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ბრანკო შტრუპარმა პოზიცია კარგად შეურჩია და თავით ჟილ დე ბილდეს მიაწოდა. ამ უკანასკნელმაც არ დააზანა და თავისიანები დააწინაურა. 26-ე წუთზე იტალიელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება „პარმაში" მოთამაშე ვანოლიმ დაახლოებით 20 მეტრიდან გაისროლა და ბელგიელთა მეკარე რონალდ გასპერჩიჩს შანსი არ დაუტოვა. ბოლო ოც წუთში კი ბელგიელებმა ორი უპასუხო გოლი გაიტანეს. 70-ე წუთზე მარკ ვილმოტსმა საუცხოოდ დაარტყა თავით, ხოლო დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ბარტ გოორმა სულაც ორბურთიანი უპირატესობა მოუტანა თავის გუნდს. 1:3 — ასე დასრულდა შეხვედრა. იტალიელებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დანიელებთან განცდილი მარცხის შემდეგ კიდევ ერთხელ წააგეს.

### ჰოლანდია 1:1 ჩეხეთი

1:0 სტამი (60), 1:1 კოლერი (67)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, რ. დე ბური (რაიციგერი 75), სტამი, ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი (ვან ჰინტუმი 46), ვინტერი, კოკუ (ზეედორფი 87), დავიდსი, კლუივერტი (ვან ნისტელროოი 41), ბერხკამპი, ოვერმარსი
ჩეხეთი: სრნიჩეკი, რეპკა, რადა, ნედვედი, ლატალი (ლოკვენცი 58), გაბრიელი, ნემეცი (ჩიჟეკი 52), პობორსკი, კოლერი (კუკა 76), ჰორვატი (ფუკალი 90), ბეიბლი (ულიხი 65)
მსაჯი: დ. კორენი (ისრაელი)

ეს შეხვედრაც ამხანაგური იყო და სრულიად არაა გასაკვირი, რომ ფრედ 1:1 დასრულდა, თუმცა ერთი რამ უნდა ითქვას — მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელთა თავკაცად წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, ფრანკ რაიკარდი დაინიშნა, გუნდმა ზედიზედ მე-11 მატჩი ვერ მოიგო.

მასპინძლებმა გოლი მეორე ნახევარში გაიტანეს: „მანჩესტერ იუნაიტედში" მოასპარეზე იაპ სტამმა ბარსელონელი რონალდ დე ბურის საჯარიმო დარტყმიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი დაუხვედრა და კარში გაგზავნა. ეს მე-60 წუთზე მოხდა. სულ შვიდ წუთში კი ანგარიში გათანაბრდა. პორტუგალიურ „ბენფიკაში" მოთამაშე კარელ პობორსკიმ ანდერლეხტელ იან კოლერს პასი მიაწოდა და ამანაც გოლკიპერი ვან დერ სარი იოლად მოატყუა.

ამის შემდეგ ჰოლანდიელებს მინიმუმ სამი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ ვერც ერთი შანსი ვერ გამოიყენეს.

### ესპანიოლი 2:0 არგენტინა

1:0 მარტინ პოსე (17), 2:0 როხერ გარსია (61)

კვირას კატალონიაში მეტად საინტერესო შეხვედრა გაიმართა. იქაურმა „ესპანიოლმა" არგენტინის ეროვნულ



REUTERS ოსლოდან

ნორვეგია — გერმანია 0:1. ლოთარ მათეუსმა (№10) ნაკრებში 143-ედ ითამაშა

ნაკრებს უმასპინძლა. მატჩი კატალონიური გუნდის ას წლისთავს მიეძღვნა და იუბილარებმაც არ გააწბილეს მაყურებელი — 2:0 დაამარცხეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები.

მაყურებელი კი მრავლად მივიდა ბარსელონას „მონჟუიკის" ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც „ესპანიოლი" თავის საშინაო შეხვედრებს ატარებს. 53 ათას გულშემატკივარს შორის წარსულში ცნობილ ფეხბურთელებსაც მოჰკრავდით თვალს. იუბილარს გამარჯვება მარტინ პოსემ და როხერ გარსიამ მოაპოვებინეს — 2:0.

მეორე გოლი ძალიან ლამაზი იყო: როხერ გარსიამ, რომელიც ადრე მეორე კატალონიური გუნდის, „ბარსელონას" ღირსებას იცავდა, დაახლოებით 15 მეტრიდან გაუტანა არგენტინელ მეკარე ხერმან ბურგოსს. ეს უკანასკნელი „მალიორკაში" თამაშობს.

ოთხშაბათს კი არგენტინელებს გაცილებით სერიოზული მატჩი ელით სევილიაში. ისინი ესპანელთა ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

### საფრანგეთი 3:0 ხორვატია

1:0 პირესი (46), 2:0 მორისი (67), 3:0 ვერელი (73)
საფრანგეთი: პორატო, ტურამი, ლებეფი, დესაი, კანდელა, მიკუ (დეშამპი 85), ვიეირა, ბოგოსიანი (დეუ 73), ზიდანი (ჟორკაეფი 46), გივარში (მორისი 46), პირესი (ვერელი 60)
ხორვატია: პავლოვიჩი, ტომაში, სტიმაჩი (ჟივკოვიჩი 62), სოლდო, რუკავინა (სარიჩი 78), სტანიჩი, ბობანი (რ. კოვაჩი 85), ასანოვიჩი, იარნი, შუკერი, ბოკშიჩი
მსაჯი: ლ. მიხელი (სლოვაკეთი)

ფრანგებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და ბენილუქსის საგზურიც გაინაღდეს. თუმცა მათი თამაშის ხარისხი ისეთი არ ყოფილა, მსოფლიოს ჩემპიონებს რომ ეკადრებათ. შაბათს ხორვატთა წინააღმდეგ გამართული ამხანაგური მატჩის შემდეგ მასპინძლებმა განაცხადეს, მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ ევროპის უძლიერესი გუნდის ტიტულის მოპოვება გვსურსო. ხორვატებს თავისი ანგარიში ჰქონდათ. 16 თვის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში განცდილი მარცხი მათ არ დავიწყებიათ. ისინი რევანშისთვის ემზადებოდნენ. მაგრამ ფრანგები სრულ უპირატესობას ფლობდნენ და დამსახურებულადაც მოიგეს. მსოფლიოს ჩემპიონთაგან გოლები რობერ პირესმა, ფლორიან მორისმა და ტონი ვერელმა შეაგდეს. ერთი კაციც არ უნდა დაგვავიწყდეს. ბორდოელმა ნახევარმცველმა იოან მიკუმ გატანილ გოლებში თავისი წვლილი შეიტანა. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ფეხბურთელმა ნაკრებში მხოლოდ მეორე მატჩი ჩაატარა. შემდეგ ფრანგთა მწვრთნელი როჟე ლემერი იტყვის: „ეს ხალხი იმიტომ მოვიწვიე, რომ მათი მაღალი კლასი დავინახე. შედეგმა ამგვარი გადაწყვეტილების სისწორე დაამტკიცა".

მარსელელმა მსოფლიოს ჩემპიონმა რობერ პირესმა ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობა ცუდად დაიწყო. შედეგად მას გუნდიდან წასვლა დაემუქრა. მაგრამ, როგორც ჩანს, პირესი ჯერ ჩამოსაწერი არაა. მიკუმ მარცხნიდან ჩააწოდა. ზიდანის ნაცვლად მოედანზე შესულმა ჟორკაეფმა ნახტომში ბურთს მიმართულება შეუცვალა. ყველას პირესმა დაასწრო და მეკარისგან მარჯვენა კუთხეში პირველი გოლი შეაგდო. შემდეგ მორისმა და ვერელმა იხეირეს. ყველაფერი მეორე ტაიმის 6-წუთიან მონაკვეთში მოხდა. ლილიან ტურამმა მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა. მიკუმ შენიშნა, რომ მორისი უკეთეს პოზიციაზე იმყოფებოდა და ბურთი გაატარა. ამ უკანასკნელმაც მეორედ დაამწუხრა ხორვატები. ტურამმა ეს მატჩი კარგად ჩაატარა. სხვანაირად არც შეეძლო — მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ხომ სწორედ მან გაუტანა ორივე გოლი ხორვატიის ნაკრებს. სტუმართა განადგურება, როგორც ვთქვით, კიდევ ერთმა ოლიმპკელმა, ოღონდ ლიონელმა — ვერელმა დაასრულა. მან გოლი პატრიკ ვიეირას პასის შემდეგ შეაგდო. ანგარიშის გაზრდა ჟორკაეფსაც შეეძლო. მან ჯერ მიკუს ბრწყინვალე გადაცემა ვერ გამოიყენა, შემდეგ საჯარიმოც სახიფათოდ დაარტყა. საგოლე შანსი გივარშსაც ჰქონდა — მისი საჯარიმო მეკარემ მოიგერია.

საბოლოოდ ფრანგებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ხორვატთაგან თავდასხმაში დავორ შუკერი და ალენ ბოკშიჩი იყვნენ გამწესებულნი. მაგრამ მათ პორატოს კართან ვერც ერთი სახიფათო მომენტი ვერ შექმნეს.

ამ შეხვედრას როჟე ლემერისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონად. მან პირველად გაბედა ემე ჟაკეს მიერ შექმნილ გუნდში სერიოზული ცვლილებების შეტანა. გაუმართლა კიდეც. როგორც ზემოთ ვთქვით, ფრანგები ევროპის ჩემპიონობას უმიზნებენ.

### ნორვეგია 0:1 გერმანია

0:1 შოლი (90)
ნორვეგია: ოლსენი, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ანდერსენი, ჰეგემი, ივერსენი (სოლსკიაერი 32), მიუკლანდი (სტრანდი 74), ლეონარდსენი (სოლბაკენი 74), ფლო, სორენსენი (ლუნდი 74), სკამელსრუდი (რეკდალი 74)
გერმანია: ლემანი, ბაბელი (ბაუმანი 68), ციგე, ვიორნსი, ბოდე (ვოში 46), იერემისი, შოლი, კირსტენი (ჰამანი 46), ბირჰოფი (იანკერი 83), მათეუსი, ნოივილი (ლინკე 32)
მსაჯი: დ. იოლი (ჰოლანდია)

კვირას ოსლოში ერთმანეთს ნორვეგიის და გერმანიის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ამხანაგური იყო. ორივე გუნდი გაისად ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. ეს მატჩიც მზადების მორიგ ეტაპს წარმოადგენდა.

თამაში რთულ მეტეოპირობებში ჩატარდა — ყინავდა. ალბათ ამიტომაც სტადიონზე მხოლოდ 14 ათასი ყინვაგამძლე გულშემატკივარი შეიკრიბა. შინ დარჩენილები არც შემცდარან — მატჩი ულიმღამო სანახავი გამოდგა.

პირველ ტაიმში სტუმრებს ერთადერთი კარგი საგოლე მომენტი ჰქონდათ. 44-ე წუთზე კრისტიან ციგემ მეტოქის კარს ოდნავ ააცილა. ნორვეგიელები ცოტა უკეთ გამოიყურებოდნენ. ოლე გუნარ სოლსკიაერმა სტეფენ ივერსენის თავური ჩაწოდება ვერ გამოიყენა. გოლის გატანის საუკეთესო შანსი კი მასპინძლებს 38-ე წუთზე მიეცათ. ლივერპულელმა ვეგარდ ჰეგემმა ბრწყინვალედ დაარტყა, მაგრამ იენს ლემანმა იყოჩაღა.

გერმანელებს მეორე ტაიმშიც შეეძლოთ გატანა. შეცვლაზე შესულმა დიტმარ ჰამანმა თავით დაარტყა, მაგრამ მეკარე ფროდე ოლსენი ბურთს ადგილზე დახვდა.

74-ე წუთზე ნილს სემბიმ ერთდროულად ოთხი ცვლილება გააკეთა. მინდორზე ახალი ძალების გამოყვანამ ნორვეგიელებს არაფერი მისცა.

90 წუთი მიილია და მასპინძელთა საჯარიმოს მისადგომებთან ჯარიმა დაინიშნა. თურქული წარმოშობის გერმანელმა მეჰმეთ შოლმა უკანასკნელი შანსი გამოიყენა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

თამაში განსაკუთრებით საინტერესო სტატისტიკის მოყვარულთათვის აღმოჩნდა. გერმანია და ნორვეგია ერთმანეთს უკანასკნელად 17 წლის წინ შეხვდნენ. ხანგრძლივი დროის შემდეგ მათ ერთმანეთის ძალების მოსინჯვის შესაძლებლობა მიეცათ. მასპინძლებს აქამდე 14 თვე არ წაეგოთ. შეწყდა მათი დაუმარცხებელი თამაშების სერია. და მთავარი, ლოთარ მათეუსმა ეროვნული გუნდის მაისურა 143-ედ მოირგო. ამ შედეგით ის შვედ მეკარეს, თომას რაველის დაეწია, რომელიც უკვე გამოეთხოვა ფეხბურთს. მათეუსი კი წასვლას არ აპირებს. ერიხ რიბეკი მასზე ისე ლაპარაკობს, რომ 38 წლის ვეტერანი რეკორდს 150-მდე მაინც გაზრდის. რამდენიმე დღის წინ გაუწყეთ, მათეუსი ამერიკაში მიდისო. დღეს კი ნიუ იორკში გადაბარგებაზე ფეხბურთელი ნაკლებად დამაჯერებლად საუბრობს. საქმე ისაა, რომ ბეკენბაუერს მისთვის უთხოვია, იქნებ „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგაში დაეხმაროო. მათეუსისთვის გერმანიაში დარჩენას ერთი უპირატესობაც აქვს — რიბეკთან ახლოს იქნება. ეს კი მის ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსს ერთიორად ზრდის. გერმანელთა მწვრთნელმა თქვა: „ლოთარის სანაკრებო კარიერის საკითხს რამდენიმე დღის შემდეგ გადავწყვეტთ. მანამდე შემიძლია ვთქვა, თებერვალში ჰოლანდიელების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში ის ჩვენთან ერთად იქნება".

ისევ ამ შეხვედრას მივუბრუნდეთ. თამაშით არც ერთი მწვრთნელი კმაყოფილი არ დარჩენილა.

ერიხ რიბეკი: „ძლიერი პრესის ქვეშ ვიყავით და რამდენიმე კარგი მომენტი გავაცუდეთ. ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო თამაში".

ნილს იოჰან სემბი: „შესარჩევი ციკლის დროს უკეთესად გამოვიყურებოდით, თუმცა გერმანელებთან თანაბარი დონის ფეხბურთი ვითამაშეთ. რა თქმა უნდა, სირცხვილია ბოლო წამებზე წაგება, თუმცა, საბედნიეროდ, ამ შეხვედრაში ქულების აღებას მნიშვნელობა არ ჰქონდა"

### საბერძნეთი 2:0 ნიგერია

1:0, 2:0 მახლასი (24, 61)
საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, ბასინასი, ვენეტიდისი (დერმიცაკისი 59), დაბიზასი, უზუნიდისი, გუმასი, გეორგიადისი (კუცისი 72), ფრანცესკოსი (ზაგორაკისი 82), მახლასი (კიპარისისი 68), ლიბეროპულოსი (პაპადიმიტრიუ 84), სტოლტიდისი (კონსტანტინიდისი 62)
ნიგერია: აკანცი, ვესტი, ოლისე, იკმე-



REUTERS ვიგოდან

ესპანეთი — ბრაზილია 0:0. ესპანელი სერხი (№3) ბრაზილიელ ჟარდელს აკრძალული ხერხით აჩერებს

## ამხანაგური მატჩები

REUTERS ბარის ფოტო



საფრანგეთი — ხორვატია 3:0. ფრანგმა ლილიან ტურამმა ხორვატ ალიოშა ასანოვიჩს (№7) ფეხდაფეხ სდია

მბა, ბაბაკინტა, იფეტციაგუა, ენუაგუანა, აკინბიგი, ამუკო, ავარა (ჯონსონი 66), იდაპორი (სემინო 66)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩავარდნის შემდეგ ბერძნები, როგორც ჩანს, გონს მოვიდნენ. გასულ უქმეებზე მათ ნიგერიის ნაკრებს უმასპინძლეს. ბერძენთა მწვრთნელმა, ვასილის დანიელმა აეკ-ის და „ოლიმპიაკოსის" მოთამაშეთა მიწვევაზე უარი თქვა და ბევრი ახალი ფეხბურთელი გამოცადა. ცვლილებებმა გაამართლა — სახეშეცვლილ საბერძნეთის ნაკრებს ნიგერიელთა ძლევა არ გასჭირვებია.

დანილმა მინდორზე ფეხბურთელები ასეთნაირად განალაგა: კარს ნიკოპოლიდისი იცავდა. ბასინასი და ვენეტიდისი დაცვის ფლანგებზე გაამწესა. ცენტრიდან შეტევებს დაბიზასი, გუმასი და უზუნიდისი იგერიებდნენ. ნახევარდაცვაში გეორგიადისი, სტოლტიდისი და ფრანცესკოსი განაწილდნენ. შეტევების განხორციელება მახლასს დაევალა, რომელსაც ლიბეროპულოსი უნდა დახმარებოდა.

დაცვითი ტაქტიკის მიუხედავად, ბერძნებმა სტუმართა კართან უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს.

მე-8 წუთზე ფრაცესკოსმა მახლასს ჩააწოდა. ამ უკანასკნელმა შემობრუნებით დაარტყა და კარის ძელი შეაზანზარა. კარგი მომენტები ჰქონდათ გეორგიადისს და იმავე ფრანცესკოსს. პირველი გოლი მისი პასით მახლასმა 24-ე წუთზე შეაგდო. ამის შემდეგ ბერძნები ცოტა დამშვიდდნენ და ნიგერიელებს შეტევების განხორციელების საშუალება მისცეს. თუმცა სტუმრებმა, რომლებსაც კანუ, ოკოჩა და ბაბაიარო არ ჰყავდათ, ვერაფრით იხეირეს.

51-ე წუთზე მახლასი მეკარესთან პირისპირ გავიდა, დარტყმა კი ვერ გამოუვიდა — ნიგერიელთა მეკარე ბურთს გადაეფარა. ათი წუთის შემდეგ მახლასს კიდევ ერთი მომენტი შეექმნა და ამჯერად შეცდომა არ დაუშვია. მეორე გოლის შემდეგ დანილმა მახლასი დაასვენა. აიაქსელი ბომბარდირის გარეშე კი მასპინძლებმა ანგარიშის გაზრდა ველარ შეძლეს.

**ავსტრალია 0:2 ბრაზილია** ოლიმპ.
0:1 ალვარო (32), 0:2 ალექსი (39)

ავსტრალიის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ბრაზილიელ ოლიმპიელებს უმასპინძლა. შეხვედრა კვირას, სიდნეიში ჩატარდა. სტუმრებმა 2:0 მოიგეს. მეორე თამაში ოთხშაბათს მელბურნის „კრიკეტ გრაუნდზე" შედგება. ავსტრალიაში ბრაზილიელთა ტურნესადმი ინტერესი კი დღითი დღე კლებულობს. შეგახსენებთ, ორგანიზატორები მაყურებელთა მოზიდვას რონალდოს თამაშით იმედოვნებდნენ. რაც მოხდა, ვიცით — „ინტერმა" ბრაზილიელს შეუთვალა, პირველი მატჩის შემდეგ ნაკრებში თამაშების ლიმიტი ამოგეწურება და სასწრაფოდ მილანში უნდა დაბრუნდეო. ბრაზილიელთა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ ეს ამბავი იწყინა — რონალდოს ორივე შეხვედრაში გამოყვანა მსურდა. რადგან ულტიმატუმი წაგვიყენეს, საერთოდ არ ვათამაშებთო. რონალდოც სასწრაფოდ მეორე თვითმფრინავში გადაჯდა და იტალიას მიაშურა. ამის შემდეგ გულშემატკივრებმა ნაყიდი ბილეთების უკან დაბრუნება მოითხოვეს. ორგანიზატორებსაც რაღა დარჩენოდათ, თამაშებზე უფასო დასწრება დააწესეს. უსიამოვნებები ამით არ დასრულებულა. ავსტრალიელებს ორი ისეთი ფეხბურთელი ჰყავთ, რომლებიც მაღალი კლასის გუნდებში თამაშობენ. რონალდოს წასვლის შემდეგ შეხვედრებისადმი ინტერესი მათ უნდა გაემლიერებინათ. ლიდსელ ჰარი კიუელზე და მანჩესტერელ მარკ ბოსნიჩზე მოგახსენებთ.

კიუელი დაშავდა და სამშობლოში არც ჩასულა. „მანჩესტერის" მეკარე ბოსნიჩმა, რომელიც ავსტრალიელთა კაპიტანიც არის, ორგანიზატორებს იმედი გაუმართლა, მაგრამ დროებით. პირველი შეხვედრის მეორე ტაიმში მას ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და მინდორი დატოვა. მეორე მატჩის წინ კი არავინ დარჩა ისეთი, ვისი თამაშიც განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევდა.

ალექს ფერგიუსონს შეუძლია, მშვიდად იყოს — ბოსნიჩის ტრავმა სერიოზული არაა. ავსტრალიელთა მენეჯერმა ფრენკ ფარინამ განაცხადა, შესაშფოთებელი არაფერია. თუმცა ექიმები ოთხშაბათამდე ბოსნიჩის სრულ მზადყოფნას არ იმედოვნებენ. რისკის გაწევა არ ღირს. ამიტომაც მარკს არ ვათამაშებთო.

ავსტრალიელთა კაპიტანი ორშაბათს ინგლისში დაბრუნდა.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ბრაზილიამ 2:0 მოიგო. ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. 32-ე წუთზე სტუმართა ახალწვეულმა ალვარომ ბოსნიჩს ბურთი თავურით შეუგდო. შვიდი წუთის შემდეგ დენილსონის გარღვევა ალექსმა ზუსტი დარტყმით დაასრულა. ახალგაზრდა ბრაზილიელებს ავსტრალიის ეროვნული ნაკრების ძლევა არ გასჭირვებიათ. ავსტრალიელთა ხოკერუს მათ ნამდვილი ბრაზილიური ფეხბურთი დაუპირისპირეს.

## ესპანეთი

### მეორე დივიზიონი
XIV ტური

**ლოგრონიესი 1:0 ლეიდა**
1:0 კიკო (47)

**ლეგანესი 3:1 ეიბარი**
1:0, 2:0, 3:0 ბარბარინი (29, 35, 51), 3:1 ლენისი (86)

**უელვა 2:0 ტენერიფე**
1:0 ანხელი (67), 2:0 რებიოლო (86)

**ლას პალმასი 0:2 სალამანკა**
0:1 მუნტეანუ (32), 0:2 ზეგარა (77)

**ატლეტიკო B 3:0 ელჩე**
1:0 ჩენკი (14), 2:0 ლუკე (29), 3:0 პეპე დომინგო (67)

**კორდობა 3:2 ალბასეტე**
0:1 მელხარი (9), 1:1 არნაუ (11), 2:1, 3:1 დიეგო რიბერა (14პ, 38), 3:2 როკი (48)

**კომპოსტელა 1:2 ბადახოსი**
0:1 სანდრო (46), 0:2 საბინო (61პ), 1:2 გუდელი (63)

**ოსასუნა 0:1 ხეტაფე**
0:1 პინედა (69)

**მერიდა 1:1 ვილიარეალი**
1:0 პრიეტო (30), 1:1 მოიზესი (55პ)

**ტოლედო 0:1 ლევანტე**
0:1 სალილიასი (85)

**სპორტინგი 1:0 ესტრემადურა**
1:0 ლედიახოვი (37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 14 | 9 | 4 | 1 | 24:11 | 31 |
| ესტრემადურა | 14 | 8 | 3 | 3 | 17:13 | 27 |
| ლას პალმასი | 14 | 8 | 1 | 5 | 24:16 | 25 |
| ლევანტე | 14 | 7 | 4 | 3 | 22:19 | 25 |
| სპორტინგი | 14 | 7 | 1 | 6 | 21:18 | 22 |
| ალბასეტე | 14 | 6 | 4 | 4 | 16:15 | 22 |
| ტენერიფე | 14 | 6 | 3 | 5 | 20:17 | 21 |
| ვილიარეალი | 14 | 5 | 5 | 4 | 22:16 | 20 |
| ლეიდა | 14 | 6 | 2 | 6 | 23:18 | 20 |
| ეიბარი | 14 | 5 | 5 | 4 | 21:18 | 20 |
| ბადახოსი | 14 | 4 | 8 | 2 | 13:11 | 20 |
| ოსასუნა | 14 | 6 | 1 | 7 | 14:14 | 19 |
| მერიდა | 14 | 4 | 6 | 4 | 15:13 | 18 |
| ელჩე | 14 | 4 | 5 | 5 | 16:19 | 17 |
| კომპოსტელა | 14 | 4 | 4 | 6 | 19:21 | 16 |
| კორდობა | 14 | 4 | 4 | 6 | 16:20 | 16 |
| ხეტაფე | 14 | 4 | 4 | 6 | 11:15 | 16 |
| ლოგრონიესი | 14 | 3 | 6 | 5 | 19:21 | 15 |
| უელვა | 14 | 4 | 3 | 7 | 11:20 | 15 |
| ლეგანესი | 14 | 3 | 5 | 6 | 12:21 | 14 |
| ატლეტიკო B | 14 | 3 | 3 | 8 | 14:21 | 12 |
| ტოლედო | 14 | 2 | 3 | 9 | 9:22 | 9 |

## ავსტრია

XX ტური. ტიროლი — ლინცერი 1:0; ლუსტენაუ — გრაცერი 0:0; რიდი — რაპიდი 1:0; შტურმი — ბრეგენცი 3:1; აუსტრია — ზალცბურგი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 20 | 13 | 3 | 4 | 32:16 | 42 |
| რაპიდი | 20 | 11 | 4 | 5 | 30:16 | 37 |
| შტურმი | 20 | 10 | 5 | 5 | 34:16 | 35 |
| რიდი | 20 | 9 | 5 | 6 | 30:19 | 32 |
| აუსტრია | 20 | 8 | 5 | 7 | 26:25 | 29 |
| გრაცერი | 20 | 8 | 4 | 8 | 24:24 | 28 |
| ზალცბურგი | 20 | 6 | 8 | 6 | 17:18 | 26 |
| ლინცერი | 20 | 5 | 4 | 11 | 21:30 | 19 |
| ლუსტენაუ | 19 | 4 | 3 | 12 | 14:33 | 15 |
| ბრეგენცი | 19 | 3 | 3 | 13 | 12:43 | 12 |

## ალბანეთი

VIII ტური. ელბასანი — ბილიში 3:1; შკიპონია — აპოლონია 0:0; დინამო — ლუშნია 2:0; ტირანა — შკუმბინი 3:0; ფლამურტარი — პარტიზანი 1:2,ვლაჟნია — ტომორი 1:0; შკენდერბო — ტეუტა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტეუტა | 8 | 5 | 1 | 2 | 10:4 | 16 |
| ტირანა | 8 | 4 | 3 | 1 | 8:2 | 15 |
| ტომორი | 8 | 4 | 3 | 1 | 9:5 | 15 |
| ბილიში | 8 | 3 | 4 | 2 | 14:11 | 13 |
| ელბასანი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:9 | 13 |
| შკიპონია | 8 | 3 | 3 | 2 | 6:4 | 12 |
| ლუშნია | 8 | 3 | 2 | 3 | 9:9 | 11 |
| ვლაჟნია | 8 | 3 | 1 | 4 | 7:9 | 10 |
| პარტიზანი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:9 | 9 |
| დინამო | 8 | 2 | 3 | 3 | 8:9 | 9 |
| შკუმბინი | 8 | 1 | 5 | 2 | 8:10 | 8 |
| შკენდერბო | 8 | 2 | 2 | 4 | 7:9 | 8 |
| ფლამურტარი | 8 | 2 | 1 | 5 | 10:15 | 7 |
| აპოლონია | 8 | 0 | 4 | 4 | 3:12 | 4 |

## ჩეხეთი

### თასის მერვედფინალი
ლიბერეცი — ბრნო 3:1; სიგმა — ოპავა 1:0; რატიშკოვიცე — ბლშანი 1:0; ზლინი — იაბლონეცი 0:2; ბენეშოვი — ვიტკოვიცე 1:1 (1:3პ); პლზენი — სპარტა და ჩელაკოვიცე — სლავია გადაიდო

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი
XVIII ტური

**კრ. პალასი 3:0 ქუინზ პარკი**
1:0 მაკკენზი (1), 2:0 სვენსონი (75), 3:0 მულინსი (90პ)

**ნოტინგემი 1:3 ჰადერსფილდი**
0:1 უინპარდი (22), 0:2 გრეი (34), 1:2 როჯერსი (45), 1:3 უინპარდი (63)

**შეფილდ იუნ. 1:2 ბოლტონი**
0:1 ფარელი (2), 1:1 ბენტი (34), 1:2 ჰანსენი (36)

**ვესტ ბრომვიჩი 3:2 პორტსმუთი**
1:0 მარესკა (14), 1:1 უითინგამი (20), 1:2 აუფორდი (29), 2:2 ვან ბლერკი (59), 3:2 ევანსი (89)

**ფულემი 1:3 ბარნსლი**
1:0 რიდლი (24), 1:1 საიმონსი (34ს.კ.), 1:2 დაიერი (59), 1:3 ვან დერ ლაანი (66)

**გრიმსბი 2:5 ჩარლტონი**
0:1 რუფუსი (13), 1:1 აშკროფტი (25პ), 1:2 რუფუსი (36), 2:2 დონოვანი (46), 2:3 მენდონკა (62), 2:4 ჰანტი (67), 2:5 პაუელი (76)

**იფსვიჩი 0:0 ტრანმერი**

**სუინდონი 0:0 ნორვიჩი**

**უოლსოლი 0:0 პორტვეილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 17 | 11 | 3 | 3 | 26:11 | 36 |
| ჩარლტონი | 16 | 11 | 2 | 3 | 32:17 | 35 |
| ჰადერსფილდი | 18 | 10 | 4 | 4 | 36:20 | 34 |
| ბარნსლი | 17 | 10 | 1 | 6 | 33:26 | 31 |
| იფსვიჩი | 17 | 8 | 4 | 5 | 31:22 | 28 |
| ფულემი | 17 | 7 | 7 | 3 | 20:14 | 28 |
| ბირმინგემი | 17 | 7 | 6 | 4 | 27:19 | 27 |
| სტოკპორტი | 17 | 7 | 6 | 4 | 22:23 | 27 |
| ბოლტონი | 17 | 7 | 5 | 5 | 26:19 | 26 |
| ქუინზ პარკი | 17 | 6 | 7 | 4 | 24:21 | 25 |
| ვულვზი | 16 | 6 | 7 | 3 | 18:15 | 25 |
| ნორვიჩი | 17 | 6 | 6 | 5 | 16:15 | 24 |
| ვესტ ბრომვიჩი | 16 | 4 | 9 | 3 | 16:16 | 21 |
| ტრანმერი | 18 | 5 | 5 | 8 | 23:27 | 20 |
| პორტსმუთი | 18 | 5 | 5 | 8 | 25:31 | 20 |
| გრიმსბი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:28 | 19 |
| ნოტინგემი | 17 | 4 | 6 | 7 | 21:21 | 18 |
| პორტვეილი | 18 | 4 | 4 | 10 | 21:27 | 16 |
| კრ. პალასი | 16 | 4 | 4 | 8 | 22:29 | 16 |
| შეფილდ იუნ. | 17 | 4 | 4 | 9 | 19:29 | 16 |
| ბლექბერნი | 14 | 3 | 6 | 5 | 16:17 | 15 |
| უოლსოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 14:28 | 15 |
| სუინდონი | 18 | 3 | 5 | 10 | 12:29 | 14 |
| ქრიუ | 16 | 3 | 4 | 9 | 16:29 | 13 |

### მეორე დივიზიონი
XVIII ტური. ბარნლი — ბლექპული 1:0; ოლდემი — კოლჩესტერი 1:2; სტოკი — ბრისტოლი 1:1; ოქსფორდი — ბერი 1:1; ბრენტფორდი — სკანთორპი 4:3; კემბრიჯი — ლუთონი 3:1; კარდიფი — ჩესტერფილდი 2:1; ჯილინგემი — ბორნმუთი 4:1; მილუოლი — რექსემი 0:0; პრესტონი — ნოტსი 2:0; უიგანი — უიკომბი 2:1

### მესამე დივიზიონი
XVIII ტური. მაკლსფილდი — ბრაიტონი 1:1; პლიმუთი — ბარნეტი 4:1; როჩდეილი — მენსფილდი 2:1; ჰარტლპული — ჩესტერი 1:0; კარლაისლი — პიტერბრო 1:1; დარლინგტონი — ტორკი 1:1; ჰალიფაქსი — ექსეტერი 1:0; ლინკოლნი — იორკი 4:2; ნორთჰემპტონი — ჩელტენემი 3:2; როტერჰემი — ლეიტონი 0:1; შრიუსბერი — სუონსი 1:1; საუთენდი — ჰალი 1:2

## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი
XIX ტური. ნიორი — ვასკეალი 0:0; კაენი — ლუანი 6:1; კანი — შატორუ 0:1; ვალანსი — აიაჩო 1:2; ლორიანი — ნიცა 0:1; გენიონი — ნიმი 3:1; სოშო — ლავალი 0:2; ლილი — გენგამი 2:0; კრეტეი — ამიენი 2:0; ლე მანი — ტულუზი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 19 | 14 | 2 | 3 | 27:9 | 44 |
| გენგამი | 19 | 9 | 6 | 4 | 32:24 | 33 |
| ტულუზი | 19 | 9 | 5 | 5 | 27:14 | 32 |
| კაენი | 19 | 8 | 8 | 3 | 27:14 | 32 |
| ლე მანი | 19 | 8 | 8 | 3 | 22:19 | 32 |
| გენიონი | 19 | 7 | 7 | 5 | 25:19 | 28 |
| ლავალი | 19 | 7 | 7 | 5 | 21:17 | 28 |
| სოშო | 19 | 8 | 4 | 7 | 22:20 | 28 |
| ნიმი | 19 | 8 | 4 | 7 | 22:20 | 28 |
| ლორიანი | 19 | 7 | 4 | 8 | 16:18 | 25 |
| ნიცა | 19 | 4 | 12 | 3 | 13:12 | 24 |
| კრეტეი | 19 | 6 | 6 | 7 | 17:20 | 24 |
| აიაჩო | 19 | 7 | 3 | 9 | 20:24 | 24 |
| კანი | 19 | 6 | 5 | 8 | 14:18 | 23 |
| ამიენი | 19 | 4 | 9 | 6 | 19:23 | 21 |
| შატორუ | 19 | 5 | 6 | 8 | 17:25 | 21 |
| ნიორი | 19 | 3 | 9 | 7 | 13:21 | 18 |
| ვასკეალი | 19 | 3 | 7 | 9 | 12:21 | 16 |
| ვალანსი | 19 | 2 | 8 | 9 | 16:26 | 14 |
| ლუანი | 19 | 3 | 4 | 12 | 13:31 | 13 |

## იტალია

XI ტური

**[illegible] 0:0 [illegible]**

**რავენა 0:0 ბრეშა**

**კოზენცა 1:1 ტერნანა**
0:1 ფაბრისი (7), 1:1 დავერსა (36)

**ატალანტა 2:0 სალერნიტანა**
1:0 კაჩა (23), 2:0 დ. ბოლიჩი (36ს.კ.)

**ემპოლი 1:0 ტრევიზო**
1:0 მინანი (17)

**ფერმანა 0:1 ალძანო**
0:1 ჯორჯონე (17)

**პისტოიეზე 2:1 ჯენოა**
1:0 ბელინი (47), 2:0 ფერარეზე (75), 2:1 ფრანკიოზო (90პ)

**სამპდორია 1:1 ჩეზენა**
0:1 კამპედელი (34), 1:1 ესპოზიტო (36)

**სავოია 0:1 ნაპოლი**
0:1 შვოხი (83)

**პესკარა — ვიჩენცა**
წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშა | 11 | 6 | 5 | 0 | 15:4 | 23 |
| ატალანტა | 11 | 7 | 2 | 2 | 17:8 | 23 |
| ვიჩენცა | 10 | 6 | 1 | 3 | 19:9 | 19 |
| სამპდორია | 11 | 4 | 6 | 1 | 11:8 | 18 |
| ალძანო | 11 | 5 | 3 | 3 | 14:12 | 18 |
| ნაპოლი | 11 | 4 | 5 | 2 | 16:14 | 17 |
| ტრევიზო | 11 | 4 | 3 | 4 | 18:13 | 15 |
| ჩეზენა | 11 | 3 | 6 | 2 | 11:9 | 15 |
| ემპოლი | 11 | 4 | 3 | 4 | 7:13 | 15 |
| პესკარა | 10 | 3 | 5 | 2 | 15:14 | 14 |
| ტერნანა | 11 | 3 | 5 | 3 | 12:16 | 14 |
| რავენა | 11 | 2 | 7 | 2 | 11:9 | 13 |
| კიევო | 11 | 3 | 3 | 5 | 12:13 | 12 |
| მონცა | 11 | 2 | 6 | 3 | 9:11 | 12 |
| კოზენცა | 11 | 2 | 6 | 3 | 8:10 | 12 |
| სავოია | 11 | 2 | 5 | 4 | 10:15 | 11 |
| ჯენოა | 11 | 2 | 3 | 6 | 11:13 | 9 |
| პისტოიეზე | 11 | 4 | 1 | 6 | 10:15 | 9 |
| სალერნიტანა | 11 | 1 | 5 | 5 | 10:19 | 8 |
| ფერმანა | 11 | 1 | 2 | 8 | 8:19 | 5 |

### სერია C1/A
X ტური. ლეკო — კომო 0:1; ლუკეზე — მოდენა 2:0; ლუმეცანე — ლივორნო 1:2; პიზა — კარარეზე 2:0; რეჯანა — კრემონეზე 2:1; სანდონა — ალბინოლეფე 0:1; სიენა — ბრეშელო 3:1; სპალ — მონტევარკი 2:1; ვარეზე — ჩიტადელა 1:1

### სერია C1/B
X ლოდიჯანი — ასკოლი 1:1; არეცო — პალერმო 2:0; ატლეტიკო — ანკონა 1:1; დი სანგრო — ვიტერბეზე 1:2; კროტონე — კატანია 1:1; გუალდო — ბენევენტო 0:0; სტაბია — ფ. ანდრია 2:1; მარსალა — ჯულიანოვა 3:3; აველინო — ნოჩერინა წუხელ გვიან გაიმართა

## პორტუგალია

### თასი. IV ეტაპი
ბრაგა 2:1 მარიტიმუ; ფარენსე 3:1 ბელენენსეში; ჟილ ვისენტე 3:2 ლეცა (II); პორტიმონენსე (II) 1:4 რიუ ავე; რიბეირა ბრავა (II) 0:4 პორტუ; ფამალიკაუ (II) 1:2 სანტა კლარა; ეშტრელა ამადორა 2:0 კამარა ლობოში (II); კანელას გაია (II) 0:1 სპორტინგი; სალგეირუში 1:0 ლუსიტანია აკორეში (II); სეტუბალი 2:1 დ.დ (2:1) ვილაფრანკენშე (II); ლეირია 3:0 ანადია (III); კამპომაიორენსე 2:0 კასტელო ბრანკო (III); იმორტალი (II) 1:0 ბეირა მარი (II); პენაფიელი (II) 0:1 დ.დ (0:1) ნავალი (II); ვარზიმი (II) 1:1 კოვილია (II); ფელგეირუში (II) 2:1 ლეიშოესი (II); ფრიმანდი (II) 1:2 ინფესტა (II); ბარირენსე (II) 2:2 დ.დ. (1:1) მორეირენსე (II); აკადემიკა (II) 6:1 ალკაინსი (III); პასუშ ფერეირა 0:1 დრაგოეშ სანდინენსეში (III); ფაპე (II) 2:1 მადეირა; ვიზელა (II) 3:1 გუარდა (II); ვილიანოვენსე (II) 2:1 ლულეტანო (II); კასა პია (III) 1:1 დ.დ. (2:1) ეშტორილი (II); ამორა (II) 0:0 დ.დ. (1:1) პორტომოსენსე; პარედესი (III) 1:1 (3:1 დ.დ) ვენდას ნოვასი (III); ბენფიკა 1:0 ტორეს ნოვასი (II); გიმარაეში — მაია (II) გაიმართება 24 ნოემბერს; ალვერკა — ბოავიშტა გაიმართება 8 დეკემბერს.

## რუსეთი

### თასის მერვედფინალი
დინამო (მოსკოვი) 1:0 დ.დ (0:0) სპარტაკი (ნალჩიკი); ცსკა 3:0 სპარტაკი ჩუკოტკა (მოსკოვი); ურალანი (ელისტა) 3:0 ფაკელი (ვორონეჟი); ანჟი (მახაჩკალა) 2:0 გაზოვიკ გაზპრომი (იჟევსკი); მეტალურგი (ლიპეცკი) 4:0 დინამო (სტავროპოლი); ლოკომოტივი (მოსკოვი) 2:0 ბალტიკა (კალინინგრადი); სოკოლი (სარატოვი) — სპარტაკი (მოსკოვი), როტორი (ვოლგოგრადი) — სატურნი (რამენსკოე) *გაიმართება 2000 წლის აპრილში*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა მოელის დელე ალპის?

იტალიური ფეხბურთის გრანდ ტურინის „იუვენტუსს" მშობლიური სტადიონის — „დელე ალპის" და მეტიც, თავად ტურინის დატოვება ემუქრება. ეს საკმაოდ სენსაციური ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც ქალაქის მერმა უარყო „ბებერი ქალბატონის" გეგმა, სტადიონი დაენგრიათ და მის ადგილას ახალი აეშენებინათ. შეგახსენებთ, რომ 71-ათასიანი ტევადობის არენა, რომელსაც მიმდინარე სეზონში სერია A-ში მოასპარეზე ორი ტურინული გუნდი — „იუვენტუსი" და „ტორინო" იყოფს, მხოლოდ ათი წლის წინ აშენდა საგანგებოდ იტალიაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატისთვის და მაშინ ეს პროექტი დაახლოებით 200 მილიარდი ლირა დაჯდა.

თუმც კრიტიკოსთა და თავად ტურინულ კლუბთა გულშემატკივრების აზრით, „დელე ალპი" ნამდვილად არ გახლავთ საუკეთესო სარბიელი მსოფლიოში. მიზეზი ბევრია. ერთ-ერთი კი ის გახლავთ, რომ სტადიონის ირგვლივ განლაგებულია სარბენი ბილიკები, რის გამოც ტრიბუნები საკმაოდ მოშორებულია მწვანე გაზონს. ეს სტადიონზე არასაფეხბურთო ატმოსფეროს ქმნის.

მსოფლიოს ერთ-ერთმა მდიდარმა კლუბმაც გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და არენის დანგრევა, მის ადგილს კი ახლის აშენება განიზრახა. „იუვენტუსის" ხელმძღვანელობამ ქალაქის მერიას თხოვნითაც მიმართა, კონტინასას უბანში, სადაც ამჟამად სტადიონი მდებარეობს, მიწის ნაკვეთი გამოეყო, მინიმუმ ასი წლით განკარგულების ნებით. გუნდის თავკაცები უახლოეს მომავალში თურმე აპირებდნენ ახალი არენის აგებას, რომლის გარშემოც განლაგდება სხვადასხვა სპორტული კომპლექსები, კლუბის საფირმო მაღაზიები, რესტორნები, კინოთეატრები, სხვა შესაბამისი ნაგებობები.

თანახმა იყო ტურინის მერი ვალენტინო კასტელანიც, თუმც მერე გაირკვა, რომ ოპოზიციური პარტიები წინააღმდეგობას უწევდნენ „იუვენტუსს" ამ პროექტის განხორციელებაში და კენჭისყრის დროსაც არ დაუჭირეს მხარი კლუბის წინადადებას. დებატების შემდეგ კასტელანიმ განაცხადა, რომ საკითხს უახლოეს მომავალში ქალაქის რეგიონალურ სამმართველოებს გადასცემს შესასწავლად, რათა მათ უფრო გულდასმით განიხილონ პროექტი და შესაბამისი რეკომენდაციები გამოიტანონ.

უეჭველია, ამან ძლიერ ალაშფოთა „იუვენტუსის" შეფები. გუნდის პრესატაშემ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ კლუბმა შესაძლოა საერთოდ დატოვოს „დელე ალპი" და ქალაქ ბორგაროში დაიდოს ბინა. ეს დასახლება მხოლოდ 3 კილომეტრითაა დაშორებული სტადიონიდან, მაგრამ ტურინის ტერიტორია აღარ არის.

„თუ ჩვენ კონტინასას არ დაგვიბრუნებენ, „დელე ალპის" დავტოვებთ და სადმე სხვაგან წავალთ. ტურინის გარეთ თამაში სულაც არ გვაშინებს, რადგან მთელ იტალიაში გვყავს მხურვალე გულშემატკივარი. ძალიან დასანანია ყოველივე, მაგრამ ვერაფერს გავაწყობთ" — თქვა პრესატაშემ. იგი კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს შეეხო. ბოლო ხანს გავრცელდა ხმები, თითქოს „იუვენტუსი" უეფას თასის მომავალი მატჩის გასამართად მილანის „სან სიროს" სტადიონის კანდიდატურას განიხილავდა და სწორედ იქ აპირებდა ბერძნული „ოლიმპიაკოსის" მასპინძლობას. კონკრეტული და გადამწყვეტი პასუხი ამის შესახებ პრესატაშეს არ გაუცია, თუმცა თქვა, რომ არაფერია გამორიცხული და ამის თაობაზე კლუბი ოფიციალურ განცხადებას უახლოეს მომავალში გააკეთებს.

მეორე ტურინული კლუბი „ტორინო", რომელიც ასევე „დელე ალპის" ბინადარია, უკვე აცხადებს, რომ განიხილავს წინადადებას სტადიონის დატოვების შესახებ. გუნდის ხელმძღვანელობა ამჟამად შესაბამის თანხებს ეძებს, რათა კლუბის ყოფილი არენა „ფილადელფია" აღადგინოს და იქ გადაბარგდეს.

ცნობისათვის: სწორედ ამ სტადიონზე მართავდა „ტორინო" თავის საშინაო შეხვედრებს, ვიდრე „დელე ალპის" „იუვენტუსთან" გაიზიარებდა.

„ტორინოს", „ბებერი ქალბატონისაგან" განსხვავებით, მიწის ნაკვეთის პრობლემა არ აწუხებს. ჯერჯერობით მხოლოდ ის ადარდებს, რომ საკმაო ფინანსები არა აქვს, რათა „ფილადელფია" ყველა სტანდარტების შესაბამის არენად აქციოს.

ამის თაობაზე იმავე „იუვენტუსის" პრესატაშემ განაცხადა: „ტორინოს" შეუძლია სტადიონის ტურინში აგება და ამისათვის საჭირო სახსრები არ გააჩნია. ჩვენ კი პირიქით — ფული საკმაოდ გვაქვს, მაგრამ მიწის ნაკვეთის ფლობის უფლება ვერ მიგვიღია".

**ვაჟა ლომიძე**

# კაიზერ ფრანცი გერმანიის საუკუნის ფეხბურთელი



ორშაბათს გერმანიაში საუკუნის ფეხბურთელი დასახელდა. რეფერენდუმმა, რომელიც ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ და ჟურნალმა „კიკერმა" მოაწყვეს, ეს ტიტული 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონსა და 1990 წლის ამავე ტიტულის მფლობელს უკვე მთავარი მწვრთნელის რანგში, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას, მიუნხენის „ბაიერნის" ლიბეროს, ფრანც ბეკენბაუერს მიანიჭა. გამოკითხვაში მან 2500 ხმა მიიღო. ბეკენბაუერი ამჟამადაც დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ფეხბურთში — იგი მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტი და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტია.

მეორე ადგილი 135 ხმით 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ფრიც ვალტერს ერგო, ხოლო მესამეზე აგრეთვე წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, მიუნხენის „ბაიერნის" ფორვარდი გერდ მიულერი გავიდა. მისდამი სიმპათია 67 რესპოდენტმა გამოხატა.

გერმანიის ასწეულის საუკეთესო გუნდად 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, იმდროინდელი ეროვნული ნაკრები დასახელდა, ხოლო საუკეთესო მწვრთნელად ზეპ ჰერბერგერი მიიჩნიეს.

# ქუვეითი, კორეა და იაპონია

ქუვეითმა სიდნეი 2000-ის ოლიმპიადის აზრიის შესარჩევ A ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და მასზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა მას შემდეგ, რაც კვირას კატარის ნაკრები 2:1 დაამარცხა. გუნდმა ჯგუფში კატარისა და საუდის არაბეთის ნაკრებები უკან მოიტოვა და დამსახურებულად დამკვიდრდა პირველ პოზიციაზე. ხსენებული მატჩი ქუვეთსა და კატარის გუნდებს შორის სწორედ ჯგუფის ლიდერს არკვევდა. კატარს მეტოქისათვის მინიმუმ ხუთბურთიანი უპირატესობით უნდა მოეგო, რათა 1984 წლის შემდეგ კვლავ დასწრებოდა ოლიმპიადას, მაგრამ ქუვეითელი ალ ტაიარის ორმა გოლმა კატარელთა ისედაც მცირე იმედს ცივი წყალი გადაასხა. ქუვეითი ოლიმპიურ თამაშებზე მესამედ იასპარეზებს. ამ ქვეყანას 1980 და 1992 წლებში უკვე რგებია მსოფლიოს სპორტის ფორუმზე მონაწილეობის პატივი.

B ჯგუფში კორეას განაღდებული ჰქონდა ოლიმპიადის საგზური მას შემდეგ, რაც მათმა უშუალო კონკურენტმა ჩინეთმა ბაჰრეინთან დათმო შეხვედრა, მაგრამ კორეელებმა მაინც მოინდომეს და საკუთარ კედლებში, სეულში 2:1 დაამარცხეს ბაჰრეინი. ამით მათ უდიდესი სიხარული მოჰგვარეს საკუთარ გულშემატკივარს და ჯგუფური ეტაპიც დაუმარცხებლად დაასრულეს.

C ჯგუფში თითქმის ანალოგიური სიტუაცია იყო. იაპონიამ, რომელმაც ოლიმპიადის საგზური გასულ უქმეებზე დაიბევა, მას შემდეგ რაც ყაზახეთი 3:1 დაამარცხა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჯგუფის ლიდერობას ნამდვილად იმსახურებდა, ახლა ტაილანდი გაანადგურა — 6:0. ორი გოლი ტამოიუკი ჰირასემ გაიტანა.

# ურუგვაიში პირველი ისევ პენიაროლია

ურუგვაიში ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა. სხვა სამხრეთამერიკული ქვეყნების მსგავსად, ჩემპიონატი აქაც ორ ეტაპად მიმდინარეობს. პირველი „ნასიონალმა" მოიგო. მეორეში „პენიაროლი" იყო საუკეთესო. ამ უკანასკნელმა რეკორდიც დაამყარა — საშემოდგომო ჩემპიონატი ისე დაასრულა, თამაში არ წაუგია. ქვეყნის უძლიერესი კლუბის ტიტულის მოსაპოვებლად ფინალში ეს ორი გუნდი შეხვდა. წლევანდელ გათამაშებაში გამარჯვებულის გამოსავლენად ორი შეხვედრა საკმარისი არ აღმოჩნდა. ჯამში გუნდებმა 2:2 ითამაშეს. ურუგვაიში მეტოქის მინდორზე გატანილ გოლს უპირატესობა არა აქვს, არც დამატებითი დრო და პენალტების სერიაა მიღებული. ამიტომაც გადათამაშება შედგა.

მე-15 წუთზე გაბრიელ ალვესმა „ნასიონალი" დააწინაურა. პირველივე ტაიმში პენიაროლელმა დარიო როდრიგესმა და ვალტერ პანდიანიმ ორი საპასუხო ბურთი გაიტანეს. მეორე ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა. „პენიაროლი" ურუგვაის ჩემპიონი გახდა.

ურუგვაიში ჩემპიონის ტიტულს, როგორც წესი, ეს ორი გუნდი ეცილება ერთმანეთს. ისინი თანაქალაქელებიც არიან. ამიტომ მათი შეხვედრები თამაშზე მეტად ბრძოლას ჰგავს-ხოლმე. ერთი კვირის წინანდელ დერბიში 5 ფეხბურთელი გააძევეს. გადათამაშებაც დრამატული გამოდგა. პირველ ტაიმში ნასიონალელ დიეგო სკოტის და პენიაროლელ მარჩელო რომეროს უჩვენეს წითელი ბარათები. შესვენების შემდეგ მათ ფედერიკო ბერგარა და გოლის გამტანი დიეგო როდრიგესი შეუერთდნენ. მატჩიც გუნდებმა ცხრა-ცხრა კაცით ჩაამთავრეს.

ამ გამარჯვებით „პენიაროლმა" ჩემპიონობა დაიბრუნა. წინა სეზონში ეს ტიტული „ნასიონალს" ერგო.




„პენიაროლის" კაპიტანი პაბლო ბენგოეჩეა ჩემპიონობას ზეიმობს

## მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი

### A ჯგუფი

**ურუგვაი 5:0 ახალი ზელანდია**

1:0 ლაპოლა (42), 2:0 პერალტა (46), 3:0 სერხიო ლეალი (63), 4:0 მარტინესი (71), 5:0 ალვარო მენესესი (77)

**აშშ 1:1 პოლონეთი**

0:1 მადეი (43), 1:1 დონოვანი (89პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| აშშ | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ახ. ზელანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |

*16 ნოემბერი. პოლონეთი — ახალი ზელანდია, აშშ — ურუგვაი*

### B ჯგუფი

**ესპანეთი 6:0 ტაილანდი**

1:0 აიტორი (35), 2:0 ალბერტი (42), 3:0 აიტორი (44), 4:0 ერნესტო (46), 5:0 ჯონათანი (80), 6:0 აიტორი (90)

**განა 4:0 მექსიკა**

1:0 ლამპტეი (38), 2:0 ატიკუ (71), 3:0 ლამპტეი (75), 4:0 ატიკუ (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 4 |
| განა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| მექსიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ტაილანდი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:10 | 0 |

*16 ნოემბერი. ტაილანდი — განა, ესპანეთი — მექსიკა*

### C ჯგუფი

**ავსტრალია 2:1 გერმანია**

0:1 ჰაასი (9), 1:1 ჰიცლშპერგერი (65 ს.კ.), 2:0 ბირნესი (70)

**ბრაზილია 0:0 მალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ავსტრალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| მალი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| გერმანია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

*17 ნოემბერი. გერმანია — ბრაზილია, ავსტრალია — მალი*

### D ჯგუფი

**ბურკინა ფასო 1:2 ყატარი**

0:1, 0:2 უოლედი (16პ, 37), 1:2 კაბორე (57)

**იამაიკა 0:5 პარაგვაი**

0:1 ფერეირა (11), 0:2 და სილვა (15), 0:3 კარბერა (30), 0:4 ფიგურედო (43), 0:5 და სილვა (80პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:0 | 6 |
| ბურკინა ფასო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ყატარი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| იამაიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

*17 ნოემბერი. ყატარი — იამაიკა, ბურკინა ფასო — პარაგვაი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენოქსი!

# უდავო ჩემპიონი უქამროდ

დასაწყისი პირველ გვერდზე

სამმა დამთვლელმა, ჩაკ გამპამ (116-112), ბილ გრეჰმმა (117-112) და ჯერი როთმა (115-113) ლუისის უპირატესობა დაადასტურა და რეფერი მიჩ ჰალპერნმა ლენოქსს ხელი ააწევინა.

ბრიტის გამარჯვებამ, რაღა თქმა უნდა, გუნება გაუფუჭა იანკებს. თანაც, შედეგის გამოცხადებამდე ჰოლიფილდი როკვას მოჰყვა: აჰა, მოვიგე თუ არაო. მაგრამ ქამრები მის ცხვირწინ გადასცეს ლუისს. ამ გადაცემისას გაირკვა, რომ ლუისი სულაც არ არის სამი ქამრის მფლობელი, ანუ უდავო ჩემპიონი. ყველასთვის მოულოდნელად, ფედერაციის ქამარი, რომელიც ჰოლიფილდს ეკუთვნოდა, ზედ ბრძოლის წინ მოუხსნიათ გათამაშებიდან იმ მიზეზით, რომ ამ დაწესებულების პრეზიდენტს ბობ ლის სამასი ათასი დოლარი არ ჩაურიცხავს მატჩის ორგანიზატორთა ანგარიშზე, რაიც სავალდებულო თანხა ყოფილა. ასე რომ, ლენოქსს მაინც გამოსდეს კვანტი: იურიდიულად ის ვერ არის სამი ქამრის მფლობელი, მაგრამ მორალურად სამიც ერგება და ოცდასამიც.

შაბათის ბრძოლა ჰგავდა კიდეც ლუის-ჰოლიფილდის მარტის შეხვედრას და განსხვავდებოდა კიდეც მისგან. პირველ რიგში იმით, რომ ჰოლიფილდი აშკარად უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე გაზაფხულზე. არ იქნება, არ მოიხიბლო ამ კაცის საკრივო ოსტატობით. თუმც კი ლუისი ბევრი რამით სჯობდა მოწინააღმდეგეს. პირველ რიგში, ტექნიკით, წვდომითა და სწრაფი გამოფხიზლების უნარით. გრძელი ხელებისა და მეტი ჯანის წყალობით ლუისი მოქმედებაში სჯაბნიდა მეტოქეს.

ჩხუბის პირველი ნახევარი უფრო ბლარძუნს ჰგავდა, ანუ ტაქტიკურ სიფრთხილეს განასახიერებდა.

სანახაობრივად კი ყველაზე საინტერესო გახლდათ მეშვიდე რაუნდი, როცა ჰოლიფილდს ბრძოლა წაუვიდა და ზედიზედ ორი დარტყმით ლუისი დააბარბაცა. თუმც კი, ჯანი და ნიკაპის გამძლეობა ბრიტს შესაშური გამოაჩნდა და თავადაც გაალმასებით შეუტია. როგორც გაირკვა, ეს იყო ჰოლიფილდის ბოლო მძლავრი გაბრძოლება. მერვე რაუნდიდან ლუისი ბრძოლის წამყვანი შეიქნა და ზედიზედ ჩაუწერეს ქულები.

ჰოლიფილდმა არ უღალატა თავის მზაკვრულ ფანდს — მოწინააღმდეგისთვის თავის ძგერებას. თავის დროზე, ამ ხერხმა მაიკ ტაისონი ჭკუიდან გადაიყვანა და მისი ყურები აჭამა. ლუის სამჯერ მოხვდა ცხვირ-პირში ჰოლიფილდის თავი, წარბიც გაუხეთქა, მაგრამ ლენოქსს კბენა არ დაუწყია. რეფერიმ კი სამჯერ გააფრთხილა ამერიკელი.

გონგმა შერკინებაში მოუსწრო მოწინააღმდეგეებს.

სწორედ ამ დროს მოჰყვა ჰოლიფილდი როკვას და „მოვიგე, მოვიგე"-ს ყვირილს. თუმც კი, იგივეს ყვიროდა ლუისის მენეჯერი ფრენკ მელოუნი, რომელსაც კვლავ ჩაეცვა ბრიტანეთის დროშისგან შეკერილი პიჯაკი. დარბაზში მრავლად იყვნენ ბრიტები — 17 ათასი მაყურებლიდან 6 ათასს ოკეანე გადმოესერა ლუისის მხარდასაჭერად. „იუნიონ ჯეკ"-ები მთელი ბრძოლის განმავლობაში ფრიალებდა.

მიმომხილველებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ გაზაფხულის შერკინება უფრო თავზეხელაღებული იყო, ვიდრე გუშინწინდელი. ბევრ ამერიკელ კრივზე მწერალს კი ლუისის გამარჯვება სათუოდ მოეჩვენა, თუმცა, ამგვარი ვარაუდი ძნელად გაუძლებს კრიტიკას.

„ტომას ენდ მაკ სენთერში", სადაც ბრძოლა ჩატარდა, ცხელ გულზე გაიმართა პრესკონფერენცია, რომლის მსვლელობისასაც ჰოლიფილდი მეტად ღირსეულად გაისარჯა და ლუისს ძმურად გადაეხვია.

„გადაწყვეტილება გადაწყვეტილებაა. მსაჯთა კრიტიკას ვერ დავიწყებ," — თქვა მან. ჰოლიფილდი ისე ჯენტლმენურად და ალალად ლაპარაკობდა, რომ არავის შეუხსენებია, ღმერთი რომ გამარჯვებას გპირდებოდა, რატომ წააგეო.

ლუისის აზრით კი:

„ეს ბრძოლა ოდნავ უფრო მკაცრი მეჩვენა, ვიდრე წინა. დავატყვე, რომ პირველი ექვსი რაუნდის განმავლობაში ერთი ხეირიანიც კი ვერ მომდო. ამიტომ, თამაშ-თამაშ გადავწყვიტე ბრძოლა. ამით სიფრთხილე შევინარჩუნე და თავიც შევინახე ბოლოსთვის. როცა ჯებით შევუტევდი, თავით მოდიოდა და სიფრთხილე იყო საჭირო".

საერთოდ, ჰოლიფილდმა მეტად უჭკუოდ მოიხმარა თავი. თავწაზრილი რომ ეძგერებოდა ლუისს, მერელა ცდილობდა გრძელი ჯების გაზერხებას, რაც ლუისისნაირ კაცთან ძნელად რომ გაგივიდეს.

წინასწარი შეთანხმებით, მოკრივეებს 15-15 მილიონი დოლარი უნდა მიეღოთ. ახლა კი აგორდა ჭორი, რომ ჰოლიფილდს მეტი ჰქონია გამოწერილი. თუმცა, ეგებ ეს მხოლოდ ჭორი იყოს.

ყველაზე დასანანი კი მაინც ის არის, რომ ფედერაციის ქამარი ტექნიკურად ვაკანტური რჩება. აქა-იქ კი გაისმის ხმები, რომ ჰოლიფილდი და ლუისი კიდევ ერთ მატჩში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. აქ ისიც საფიქრებელია, რად უნდა ჰოლიფილდს მესამე მატჩი, იგი ხომ პირველი ორის ტყუპისცალი იქნება.

ბრიტები კი ამაყად დააბიჯებენ ლას ვეგასში.

ფრენკ მელოუნიმ და ლუისმა უკვე გადაუხადეს ერთგვარი „სამაგიერო" ამერიკულ მედიას, რომელიც ღიად ქომაგობდა თანამემამულეს, ახლა კი ჩემპიონის აპარტამენტის კართან ატუზულა ინტერვიუს მოლოდინში.

საქმე ისაა, რომ ამერიკაში წესად არის, შაბათს ჩემპიონად გამოცხადებული მოკრივე, კვირასვე ხვდება იქაურ მედიას. ლუისმა კი მხოლოდ ბრიტანელ ჟურნალისტებთან გადაწყვიტა გასაუბრება.

„ჩვენ მხოლოდ ბრიტანელებს ვხვდებით" — განმარტა მელოუნიმ — „ეს არის მადლიერების ჟესტი. თუ გნებავთ, ვალის მოხდა. ისინი ალალად გვედგნენ მხარში. რაც შეეხებათ ამერიკელებს, გამოიარეთ იმ კვირაში, ეგებ გამოვნახოთ ცოტა დრო".

საუკუნე სრულდება, ჩემპიონი ღირსეულია.

ის ერთი ქამარი... მაგრამ მისი ბედი ეგებ სათათბირო ოთახებში გაირკვეს და არა რინგზე.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

## ლენოქს ლუისის ბრძოლები

35 მოგება, 1 წაგება, 1 ფრე, 27 ნოკაუტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1989 | ელ მალკოლმი | ლონდონი | ნოკ. II რ. |
| | ბრუს ჯონსონი | ატლანტიკ სიტი | აშკარა უპ. IV რ. |
| | ენდი ჯერარდი | ლონდონი | ნოკ. II რ. |
| | სტივ გარბერი | ჰალი | ნოკ. II რ. |
| | მელვინ იპსი | კენსინგტონი | დისკვ. II რ. |
| | გრეგ გორელი | ონტარიო | აშკარა უპ. V რ. |
| 1990 | ნოელ კარლესი | ლონდონი | ნოკ. II რ. |
| | კელვინ ჯონსი | გატერბედი | ნოკ. I რ. |
| | მაიკ სიმველუ | ლონდონი | ნოკ. I რ. |
| | დან მერფი | შეფილდი | აშკარა უპ. VI რ. |
| | ოზი ოკასიო | კენსინგტონი | ქ. |
| | მაიკ ეისი | ონტარიო | აშკარა უპ. II რ. |
| | ჟან შანე | ლონდონი | აშკარა უპ. VI რ. |
| 1991 | გარი მეისონი | ლონდონი | აშკარა უპ. VI რ. |
| | მაიკ ვივერი | სტეიტლაინი | ნოკ. VI რ. |
| | გლენ მაკკრორი | კენსინგტონი | ნოკ. II რ. |
| | ტაისელ ბიგსი | ატლანტა | აშკარა უპ. III რ. |
| 1992 | ლევაი ბილაპსი | ლას ვეგასი | ქ. |
| | დერეკ უილიამსი | ლონდონი | ნოკ. III რ. |
| | მაიკ დიქსონი | ატლანტიკ სიტი | აშკარა უპ. IV რ. |
| | რუზორ რადოკი | ლონდონი | ნოკ. II რ. |
| | *ამ ბრძოლით გამოცხადდა საბჭოს (ვბკ) ჩემპიონად, რახან ჩემპიონმა რიდიკ ბოუმ უარი თქვა მასთან, როგორც პრეტენდენტთან შებმაზე* | | |
| 1993 | ტონი ტაკერი | ლას ვეგასი | ქ. |
| | *დაიცვა საბჭოს ტიტული* | | |
| | ფრენკ ბრუნო | კარდიფი | აშკარა უპ. VII რ. |
| | *დაიცვა საჭოს ტიტული* | | |
| 1994 | ფილ ჯეკსონი | ატლანტიკ სიტი | ნოკ. VIII რ. |
| | *დაიცვა საბჭოს ტიტული* | | |
| | ოლივერ მაკკოლი | ლონდონი | წაიქცა II რ. |
| | *დაკარგა საბჭოს ტიტული* | | |
| 1995 | ლაიონელ ბატლერი | საკრამენტო | ნოკ. V რ. |
| | ჯასტინ ფორჩუნი | დუბლინი | აშკარა უპ. IV რ. |
| | ტომი მორისონი | ატლანტიკ სიტი | აშკარა უპ. VI რ. |
| 1996 | რეი მერსერი | ნიუ იორკი | ქ. |
| 1997 | ოლივერ მაკკოლი | ლას ვეგასი | აშკარა უპ. V რ. |
| | *დაიბრუნა საბჭოს ტიტული* | | |
| | ჰენრი აკინკანდე | ლეიკ ტაჰო | დისკვ. V რ. |
| | *დაიცვა საბჭოს ტიტული* | | |
| | ანჯეი გოლოტა | ატლანტიკ სიტი | ნოკ. I რ. |
| | *დაიცვა საბჭოს ტიტული* | | |
| 1998 | შენონ ბრიგსი | ატლანტიკ სიტი | აშკარა უპირ. V რ. |
| | *დაიცვა საბჭოს ტიტული* | | |
| | ჟელკო მავროვიჩი | ანკესვილი | ქ. |
| | *დაიცვა საბჭოს ტიტული* | | |
| 1999 | ევანდერ ჰოლიფილდი | ნიუ იორკი | ფ. |
| | *დაიცვა საბჭოს ტიტული* | | |
| | ევანდერ ჰოლიფილდი | ლას ვეგასი | ქ. |
| | *მოიგო ასოციაციის (ვბა) ტიტულიც და გამოცხადდა უდავო ჩემპიონად* | | |

*შემოკლებანი: ნოკ. — ნოკაუტი, აშკარა უპირ. — აშკარა უპირატესობა, დისკვ. — დისკვალიფიკაცია, ქ. — ქულებით გამარჯვება, ფ. — ფრე, რ. რაუნდი*



REUTERS ლას ვეგასიდან

ლენოქს ლუისმა ევანდერ ჰოლიფილდს ყბა მოუსინჯა



REUTERS ლას ვეგასიდან

მეხუთე რაუნდში ორივე მეტოქე კინაღამ რინგიდან გადაცვივდა



REUTERS ლას ვეგასიდან

ლუისის ყველაზე მხურვალე ქომაგი — დედა ვიოლეტი



REUTERS ლას ვეგასიდან

თავისი წილი ბრძოლა ამ კაცმაც მოიგო: ლუისის მენეჯერმა ფრენკ მელოუნმა თვით დონ კინგს აჯობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუ: რა დროს სეირია, როცა ხეირია

**საქართველოს ჩემპიონატი 7 ტური**

ვერის ბაღი. 14 ნოემბერი

**გორი 74:98 სდასუ**

I ტაიმი 34:53
**გორი:** ნინოშვილი (7), იაშვილი (16), ფსუტური (11), კურტანიძე (5), მანველიშვილი (20); ცაცებაშვილი (5), აბრამაშვილი (21), ლოლიშვილი (8)
**სდასუ:** ნ. ნოზაძე (28), ხოშტარია (16), უძილაური (13), ლ. აბულაძე (11), ნაცვლიშვილი (2); მაჭარაძე (16), ანდღულაძე (10), ჭინჭარაძე (2)
**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**საქართველოს ჩემპიონატი 7 ტური**

ვერის ბაღი. 14 ნოემბერი

**სტუ 105:86 თსუ**

I ტაიმი 58:40
**სტუ:** თორთლაძე (15), მიქაძე (6), ლოსაბერიძე (15), ორმოცაძე (11), მინაშვილი (38); ტუღუში (3), კორძაძე (4), მოისწრაფიშვილი, მდივანი (3), სულაძე (6), ოთიურიძე (4)
**თსუ:** ვეფხვაძე, ხეცურიანი (22), წოწელია (22), გელაშვილი (2), გ. ბერუაშვილი (8); მგალობლიშვილი (7), არსიაშვილი (21), მშვილდაძე, ნათობაძე (2), სანიკიძე (2)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** მურმან ქურიძე

**გიორგი ბიკაშვილი**

ტურის ცენტრალური მატჩი სტუდენტური ჯახი, სტუ-თსუ გახლდათ და რაღა გასაკვირია, რომ გულშემატკივართა ყურადღებაც სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. წინა სეზონში ბრინჯაოსთვის მებრძოლი ამ გუნდებისგან ქომაგობა მაშინ გასრულებული რაუნდის განახლება-გაგრძელებას ელოდა და ეგეც რომ არა, უნივერსიტეტელთა და ტექნიკოსთა დაპირისპირება ხომ ყოველთვის გამორჩეულად საინტერესო და მიმზიდველია-ხოლმე.

ეგ კი ეგრეა, მაგრამ სტუ-თსუ-ს გუშინწინდელი თამაშის შემხედვარე ძნელად იფიქრებდით, რომ ამ ოთხი-ხუთი თვის წინ მეტოქეები ტოლ-სწორად ბურთაობდნენ და ბრინჯაოს დასაუფლებელი შანსიც თანაბარი ჰქონდათ.

კვირას მოედანზე სულ სხვა სურათი დაიხატა. ცხადი იყო, ერთი გუნდი სჯობდა მეორეს. სჯობდა სტუ თსუ-ს როგორც ტაქტიკური მონახაზით, ასევე სათამაშო კლასითა და საშემსრულებლო ოსტატობით, თანაც იმდენად აშკარად და გამოკვეთილად, რომ მოსეირეთა უმრავლესობას ნამატჩევს თავი სინანულით გადააქნევინა, მოლოდინი არ გაგვიმართლა, სულ სხვა ბრძოლას ველოდითო...

ბოლოს და ბოლოს, სტუ-ც ისეთი სახით წარმოჩნდა, როგორსაც მისგან დიდი ხანია, ელოდნენ. საჩემპიონო ამბიციით გამსჭვალული ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი თავის მიზნებს არც არასდროს მალავდა, მაგრამ ფაქტია, რომ სტუ აქამდე ვერაფრით ამართლებდა გაცემულ ავანსებს.

გუნდის სათამაშო რგოლებს შორის არსებული ნაპრალები ამ მოკლე ხანში საიმედოდ ამოუქოლავთ მწვრთნელებს, კვირას სტუ-ს სახით მწყობრი, ჰარმონიული და მიზანმიმართული გუნდი ვიხილეთ. მოთამაშეები წინასწარ გათვლილი სქემის მიხედვით მოქმედებდნენ, აშკარად იგრძნობოდა მწვრთნელთა ნამუშევარიც.

მოედანს დაუბრუნდა ტექნიკოსთა გამთამაშებელი, ორი მატჩით დისკვალიფიცირებული დავით თორთლაძე. მისი პირველივე ნასროლი სამიანი თსუ-ს კალათში ჩაეშვა და სტუ დაწინაურდა. ორმოცაძემ უმალ ორი ქულაც შემატა თავისიანებს, მაგრამ უნივერსიტეტელთა საპასუხო შეტევისას ჯერ ბერუაშვილმა იმარჯვა ფარქვეშ, შემდეგ კი ხეცურიანმა ორი ქულაც გაქვითა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

თსუ თავს ზონურად იცავდა, ფარზე ჭარმაგი გიორგი ბერუაშვილის იმედად მყოფი ნოდარ ქორქიას გუნდი ამგვარი მეთოდით ცდილობდა სტუ-ს შეტევათა შეჩერებას და ერთხანს გამოსდიოდა კიდეც, მაგრამ მერე გამოცდილმა თორთლაძემ ჭკუა იხმარა, ბურთი სწრაფად გაათამაშა და ამით მეტოქის დაცვაც დანაწევრდა. მიქაძემ შორი მანძილიდან ჩააგდო, რაც იმის ნიშანი იყო, რომ სტუ-ს უკანა ხაზი არაფრად აგდებდა თსუ-ს დაცვით ტაქტიკას და კვლავაც შორიდან შეეცდებოდა მეტოქის დაწიოკებას. ასეთ შემთხვევაში კი მიზანშეწონილი უფრო პერსონალური მეურვეობაა და როცა მინაშვილის გარღვევის შემდეგ ქორქიამ წუთშესვენება ითხოვა, ვიფიქრეთ, თსუ-ს მწვრთნელები ზონურ დაცვას მოხსნიან და პერსონალურზე გადააწყობენო.

რაკი ასე არ მოხდა და უნივერსიტეტელთა ლიდერმა გოჩა წოწელიამაც ვერაფრით დააღწია თავი ზვიად მიქაძის მარწუხებს, სტუ-ს უპირატესობა უფრო და უფრო თვალსაჩინო გახდა, რაც ანგარიშზეც აისახა. თსუ-ს ქაოსური შეტევების გაუვნებლების შემდეგ სტუ-სწრაფად გადადიოდა მოწინააღმდეგის ნახევარზე. ტექნიკოსებმა პირველი პასის ფაქტორიც სრულფასოვნად აამოქმედეს და მას შემდეგ, რაც სტუ-ს ცენტრმა ვახტანგ მინაშვილმა ზედიზედ რვა ქულა მიითვალა, თსუ მეტოქეს თხუთმეტი ქულით — 6:21 ჩამორჩა.

საერთოდაც, ახალგაზრდა მინაშვილი საუკეთესო იყო ამ შეხვედრაში. თავის ფარზე ხომ საიმედოდ თამაშობდა, შეტევაშიც ძალიან შედეგიანი იყო და საბოლოოდ 38 ქულასაც მოუყარა თავი. მას ვერაფრით აჰყვა ტემპში მეტოქე ბერუაშვილი, ამიტომ ქორქიამ არსიაშვილი ჩართო საქმეში, რომელმაც თანაგუნდელთა ზედიზედ ოთხი შეტევა დააგვირგვინა და ამით შედარებით გამოასწორა თსუ-ს მდგომარეობა.

ტაიმის შუაგულში მოწინააღმდეგის ბანაკში ვასილ ოთიურიძე გამოჩნდა. მას ქულების გროვებით თავი დიდად არ გამოუჩენია, მაგრამ პასები არიგა, თქვენი მოწონებული. ოთიურიძე უკანახაზელისთვის შესაშური სიზუსტით იძლეოდა პასებს, რის შედეგადაც ადრესატი ყოველთვის თავისუფალი რჩებოდა ფარქვეშ.

ამ დროისათვის გამოიკვეთა სიმაღლეში სტუ-ს უპირატესობაც. ქორქიამ ამ დეფიციტის გასაბათილებლად გამთამაშებლობა თსუ-ში ახლადაბრუნებულ ლევან მგალობლიშვილს მიანდო, მაგრამ არც ამან გაამართლა, რის შემდეგაც მგალობლიშვილმა ისევ მსროლელის პოზიციაზე გადაიწია, პირველი ნომრობა კი მშვილდაძეს დაევალა.

თორთლაძე რომ რიგიანი კალათბურთელია, ამას თქმა არ უნდა, მაგრამ კვირას კიდევ ერთი თვისება გამოამჟღავნა, რაც ინდივიდუალური თამაშის მიმდევარი თორთლაძისგან ერთგვარად მოულოდნელიც იყო. დათო ისეთი მონდომებით ილვწოდა გუნდის საერთო ინტერესებისთვის, როგორც არასდროს. ამით სტუ-ც ხეირობდა და თავადაც.

სწორედ თორთლაძის ზედიზედ ორმა შორეულმა სამიანმა დაუბევა სტუ-ს პირველად ოცქულიანი უპირატესობა, რაც ტაიმის დამთავრებამდე ოთხნახევარი წუთით ადრე მოხდა. ამის მერე მეტოქეებმა კიდევ რამდენიმე შეტევა გაცვალეს და ტაიმიც გაილია.

მეორე ნახევარში ტექნიკოსთა რიგებში მათი ძირითადი ცენტრი გოდერძი კორძაძე და კოტე ტუღუში გამოჩნდნენ. თამაში კვლავაც ნაცნობი სცენარით წარიმართა. საწყის ხუთ წუთს სტუ მუდმივად 18-20 ქულით ლიდერობდა, მაგრამ მერე ბოლოს და ბოლოს წოწელიამაც გამოაჩინა ბრჭყალები და როგორც ჩვევია, თანაგუნდელთ წინ გაუძღვა. სწორედ მისი ძალისხმევით წამოეწია თსუ შესამჩნევად მოდუნებულ სტუ-ს, მაგრამ მდევარმა ვერაფრით გადალახა ათქულიანი ზღვარი და დროულად გამოფხიზლებულ ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს კვლავ საგრძნობლად ჩამორჩა.

ერთხელაც გაიბრძოლეს უნივერსიტეტელებმა, შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კვლავაც ათ ქულამდე — 62:72 შეამცირეს სხვაობა, მაგრამ მატჩის ბედის სათავისოდ შემობრუნება ვეღარ მოახერხეს. უფრო სწორედ, სტუ-ს გამართულმა თამაშმა არ მისცა მათ მეტის გაკეთების საშუალება.

წინა ტურში შვიდგზის ჩემპიონ „ვითას“ 32 ქულით დამარცხებით შეგულიანებული „გორი“ კვირას ლევან მოსეშვილის სდასუ-ს შეეჭიდა. ბრძოლა არ შედგა. თავიდანვე იძალა სდასუ-მ, ნიკოლოზ ნოზაძის აქტიურობის შედეგად უმალ ათი ქულით ჩამოიტოვა მწვრთნელის, ზურაბ კარტოზიას გარეშე ნასტუმრები ქართლელები. მერე სდასუ თხუთმეტი ქულით გავიდა წინ, მოგვიანებით ოცდახუთითაც და „გორსაც“ ისღა დარჩენოდა, სტუდენტობას დანებებოდა.



სტუ — თსუ 105:86.
სტუ-ელი დავით თორთლაძე (ბურთით) და გიორგი მშვილდაძე

**საქართველოს ჩემპიონატი 7 ტური**

ვერის ბაღი. 13 ნოემბერი

**შევარდენი 62:86 ვითა**

I ტაიმი 25:42
**შევარდენი:** ორჯონიკიძე (13), მაჭავარიანი (16), კაზანჯიანი (18), ალავიძე (2), გიგაური (12); ცაგარეიშვილი (1), მესხი
**ვითა:** უსტიაშვილი (4), ტურაშვილი (17), ბაქრაძე, შანიძე (23), ახალკაცი (16); კოკოლიშვილი (3), ტ. ვაშაკიძე (7), გ. განიძე (15), პაპასკირი, ჭირაქაძე (1)
**მსაჯები:** როლანდ გელოვანი, მაკა კუპატაძე
**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

**საქართველოს ჩემპიონატი 7 ტური**

ვერის ბაღი. 13 ნოემბერი

**ასკ 86:83 სსუ**

I ტაიმი 42:34
**ასკ:** მარხვაშვილი (22), აკოლაშვილი (22), ღვინაშვილი (17), ლაცაბიძე, ნუცუბიძე (6); ჯანელიძე, ბერაძე, ბახტაძე (19)
**სსუ:** გ. ჟღენტი (2), ბ. ბერიშვილი (41), ლაცუზბაია (1), ქარუმიძე (10), დ. ვაშაკიძე (14); არველაძე (13), ჩოხელი, ფენდერავა (2), სორდია
**მსაჯები:** როლანდ ხომერიკი, დავით ანდრიაძე
**კომისარი:** მურმან ქურიძე

**როლანდ ლაბუჩიძე**

წინა ტურში „გორთან“ განადგურების (79:111) შემდეგ „ვითამ“ ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავა და სასტარტო ხუთეულში ახალგაზრდების ნაცვლად გამოცდილი ტურაშვილი, უსტიაშვილი და ბაქრაძე დააყენა. „შევარდენმა“ მხოლოდ პირველი ხუთი წუთის განმავლობაში გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა.

მეხუთე წუთზე გულივერ ახალკაცის მიერ აცილებული საჯარიმოს დამატებაზე ირაკლი შანიძემ ოსტატურად ითამაშა და 11:8 „ვითას“ სასარგებლოდ. ირაკლი ბაქრაძემ საიმედოდ ამოკეტა „შევარდენის“ ბომბარდირი თამაზ გიგაური, უსტიაშვილი უხვად ამარაგებდა პასებით ახალკაცსა და შანიძეს. ამჯერად მსროლელის პოზიციაზე მყოფი გუნდის კაპიტანი მამუკა ტურაშვილი კი, როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იდგა და მეტოქის დაცვას მოსვენებას არ აძლევდა. შედეგად მეათე წუთისთვის „ვითას“ უპირატესობამ ათ ქულას მიაღწია — 23:13. იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული „ვითა“ ერთი ხანობა მოეშვა და „შევარდენმა“ შეძლო ორწუთიანი მონაკვეთის 5:0 მოგება. მერე ჩემპიონმა წუთშესვენება ითხოვა და შანიძე კოკოლიშვილით შეცვალა. „შევარდენი“ ორი წუთის განმავლობაში თვრამეტ ქულაზე „გაიყინა“. მეთვრამეტე წუთზე ახალკაცმა ჩემპიონის მიერ უზადოდ გათამაშებული კომბინაცია ეფექტური ჩატენვით დაასრულა და გულშემატკივართა ოვაციებიც დაიმსახურა. „ვითამ“ ამ დროისთვის მოპოვებულ თერთმეტქულიან უპირატესობას პირველი ტაიმის დარჩენილ დროში ექვსიც დაუმატა და საბოლოო გამარჯვებაც თითქმის გაინაღდა.

შესვენების შემდეგ ჩემპიონის უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. მეათე წუთისთვის, როდესაც „შევარდენი“ 28 ქულით (37:65) ჩამორჩა მეტოქეს, „ვითამ“ გუნდის ლიდერები მოედნიდან გაიხმო და მათ ნაცვლად „გორთან“ „ნაომარ“ შემადგენლობას უხმო. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდებმა ამჯერადაც „ისახელეს თავი“ და ოთხწუთიანი მონაკვეთი 12 ქულის სხვაობით (4:16) დათმეს. გადაღლილმა „შევარდენმა“, რომელსაც ორი თამაშით დისკვალიფიცირებული შალვა გაგნიძე აკლდა, მეტის გაკეთება ვერ შეძლო. თავის მხრივ, არც მეტოქე აძლევდა ამის საშუალებას, რადგან ახალკაცი და შანიძე მალე გამოფხიზლდნენ, გიორგი გაგნიძემაც აუბა მხარი თანაგუნდელებს და მათ უფროსი კოლეგების მიერ დაწყებული საქმე ღირსეულად მიიყვანეს ბოლომდე.

მართალია, „შევარდენი“ დამარცხდა, მაგრამ იგი სამომავლოდ უფრო ანგარიშგასაწევი ძალა იქნება მეტოქეთათვის, რადგან სულ მალე გუნდს დაუბრუნდება გაგნიძე, ხოლო სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან ვალმოხდილი ბექა ნუცუბიძე და დავით აკოლაშვილი მე-8 ტურიდან „შევარდენი“-ს რიგებში ითამაშებენ.

ნუცუბიძემ და აკოლაშვილმა ღირსეულად ჩაატარეს თავიანთი ბოლო შეხვედრა ასკ-ს რიგებში და ლომის წილი დაიდეს იმ გამარჯვებაში, რომელიც არმიელებმა ძირითად კონკურენტ სსუ-სთან შეხვედრაში მოიპოვეს. ბუბა ბერიშვილის იმედად მყოფმა სსუ-მ დიდი ბრძოლა გაუმართა არმიელებს, რომლებიც კარგა ხნის უთამაშებელი ბახტაძით იყვნენ გაძლიერებულნი. ნუცუბიძესა და ბახტაძესთან ერთად მეტოქის საჯარიმოში ღვინაშვილი აქტიურობდა. უკანახაზელთაგან კი აკოლაშვილი და მარხვაშვილი ცდილობდნენ მეტოქის კალათში ბურთის მოთავსებას. ძირითადად მათი აქტიურობის წყალობით მე-5 წუთისთვის ასკ 8 ქულით დაწინაურდა — 17:9. ბუბა ბერიშვილი და მისი გუნდი კი სულაც არ აპირებდნენ ბედთან შეგუებას და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა გარდატეხა შეეტანა მატჩის მსვლელობაში. სსუ-მ პირველად მე-14 წუთზე გაათანაბრა. ბერიშვილმა ოსტატურად ითამაშა ფარქვეშ და ორ ქულასთან ერთად პლუს ერთი საჯარიმო სროლის შემდეგ ტაბლოზე საყაიმო ანგარიში დაფიქსირდა — 28:28. დაახლოებით ხუთი წუთი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ბოლო წუთებში კი კვლავ არმიელები გააქტიურდნენ და ტაიმიც თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს — 42:34.

მეორე ნახევარიც, პირველის მსგავსად, ასკ-ს უპირატესობით დაიწყო. არმიელები წინ იყვნენ, ხოლო სსუ ძირითადად მდევრის როლში იმყოფებოდა. სტუდენტები სამ ქულამდე კი ამცირებდნენ სხვაობას, მაგრამ მეტის გაკეთებას ვერა და ვერ ახერხებდნენ. მე-15 წუთზე საჯარიმო ხაზზე მყოფ არველაძეს შეეძლო, სამქულიანი სხვაობა მინიმუმამდე დაეყვანა, მაგრამ მხოლოდ ერთი საჯარიმო გამოიყენა. ამან სტუდენტებს ხელფეხი გაუხსნა, ბერიშვილმა ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მე-17 წუთისათვის სსუ კიდეც დაწინაურდა — 78:77.

განსაკუთრებით დაძაბული ბოლო წამები გამოდგა. მეორე ტაიმის დამთავრებამდე 53 წუთით ადრე ბუბა ბერიშვილმა ორი საჯარიმოთი კიდევ ერთხელ გაათანაბრა — 80:80. 6 წამის შემდეგ მეტოქის საჯარიმოში ოსტატურად ითამაშა აკოლაშვილმა და ორი პლუს ერთი საჯარიმო სროლით თანაგუნდელები კვლავ დააწინაურა — 83:80.

საპასუხო შეტევა კი სტუდენტებმა ბერიშვილის სამქულიანით დაასრულეს — 83:83. ძირითადი დროის დამთავრებამდე 10 წამით ადრე მათ ბახტაძე უმეთვალყურეოდ დარჩათ. ბერიშვილი მაინც მისწვდა მეტოქეს, მაგრამ ბახტაძემ ბურთიც ჩააგდო, პლუს ერთი საჯარიმოც გამოიყენა და სსუ-ს ლიდერ ბერიშვილს მეხუთე ჯარიმაც აჰკიდა. 10 წამი საკმარისი იყო მატჩის გადასარჩენად, მაგრამ ჟღენტის მიერ შესრულებულმა სამქულიანმა ფარსაც ვერ უწია ასკ-მ პირველი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო სსუ ზედიზედ შვიდი წაგებით მყარად დამკვიდრდა ბოლო ადგილზე. სსუ იმით თუ ინუგეშებს თავს, რომ მისმა ლიდერმა ბუბა ბერიშვილმა ყველაზე მეტი, 41 ქულა მოაგროვა მიმდინარე ჩემპიონატში.

# დინამო არავის დაინდო

რუსთავი. 14 ნოემბერი

**აზოტი 101:84 დინამო**

I ტაიმი 51:27
**აზოტი:** ქლენტი (2), ჯიმშელეიშვილი (7), გოგობერიშვილი (26), წიკლაური (18), ბაბიაშვილი (32); ჩაჩუა (10), დანელიანი (4), გოგოლაძე (2), კოჭლამაზაშვილი
**დინამო:** ნიკოლაძე (34), ორდენიძე (2), ახვლედიანი (2), ზერეკიძე (2), აბულაძე (15); ცხვედიანი (20), ენდელაძე (5), უჩუმბეგაშვილი (2), ყველაშვილი (2), მეგრელიშვილი
**მსაჯები:** როლანდ გელოვანი, ლაშა თოიძე
**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

**ირაკლი ფირაშვილი** რუსთავიდან

რუსთავის „აზოტმა“ „დინამოსთან“ შეხვედრამდე ზუსტად ერთი კვირის წინ შინაურ დარბაზში პირველი მარცხი განიცადა დებიუტანტ ბათუმის „ბასკოსთან“. ყველა ელოდა, რომ რუსთაველები ჯავრს „დინამოზე“ იყრიდნენ, მაგრამ არა — მასპინძლები მშვიდად დახვდნენ საქართველოს პირველ ჩემპიონს, რომელიც მეტალურგთა ქალაქს პირველად ეწვია. ამ სიმშვიდეს კი თვითრწმენა განაპირობებდა. ჩანდა, რომ რუსთაველები სრულიად იყვნენ დარწმუნებული თავიანთ გამარჯვებაში. ამაში არც მაშინ შეჰპარვიათ ეჭვი, როცა სტუმრებმა პირველი ბურთი ჩაუგდეს და პირველი ტაიმის პირველ ათწუთეულში ორიოდჯერ დაწინაურდნენ. მასპინძელთა თავდაჯერება ვერც იმან შეარყია, რომ მათ ცენტრს, მიხეილ ბერუაშვილს წუთითაც არ უთამაშია, უკანახაზელი ზაზა გაბისონია კი საერთოდ არ მოვიდა თამაშზე. სასტარტო ხუთეულში გაბისონიას ადგილი ჯიმშელეიშვილმა დაიკავა, ბერუაშვილის ნაცვლად ბაბიაშვილს წიკლაური შეუწყვილდა და ამ უკანასკნელმა, რომელიც ზემოაღნიშნულ დარბაზში ეზიარა საკალათბურთო ანბანს, გასული სეზონი კი „დინამოში“ გაატარა, თავის ყოფილ გუნდს დიდი საფიქრალი გაუჩინა. წიკლაურმა ამ სეზონში მისთვის ყველაზე მეტი — 18 ქულა მიითვალა, ბურთებიც მოხსნა, ყოფილ თანაგუნდელებს ოთხჯერ თუ ხუთჯერ დაუფარა კიდეც, მაგრამ დინამოელთა ფარს ძირითადად იგი კი არა, მაინც სხვები არბევდნენ.

როგორც უკვე ვთქვით, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს ორდენიძის სწრაფი გარღვევის შემდეგ, რაზეც „აზოტმა“ აუღელვებლად უპასუხა სამი ზუსტი შეტევით და 6:2 დაწინაურდა. „დინამო“ ფარ-ხმალს არ ყრიდა და ჯერ ნიკოლაძემ, მერე კი აბულაძემ 12:9 ჩამოიტოვეს რუსთაველები. მასპინძლებმა მოახერხეს სხვაობის გაქვითვა და მალე კვლავ სამი ქულით ჩამორჩნენ „დინამოს“ აბულაძის ზუსტი სროლის შემდეგ. თითქოს არაფერი მომხდარაო, „აზოტი“ იოლად ათანაბრებს, გოგობერიშვილს კი სამიანით წინ გაჰყავს თავისიანები — 22:18. კიდევ ერთ წუთში სხვაობა იზრდება — 26:18, რის შემდეგაც რუსთაველთაგან მხოლოდ ერთი კაცი, რამაზ გოგობერიშვილი ეთამაშება სტუმრებს, რომლებიც ცდილობენ, ხელი შეუშალონ რუსთაველთა ლიდერს, მაგრამ ამაოდ. რამაზის სამიანი და ანგარიში 29:18-ია. ამას კიდევ მისი ორი შორი სროლა მოჰყვება და სხვაობა ორ-სამ წუთში უკვე 4-დან 17 ქულას აღწევს. გოგობერიშვილი, ალბათ, კიდევ ჩაყრიდა სამიანებს, დინამოელთა დამრიგებელ ზაზა ცაგარეიშვილს წუთშესვენება რომ არ აეღო. თუმცა იგი ერთობ ნაგვიანევი გამოდგა და „აზოტის“ მიერ სტუმართა რბევას ხელი ვერ შეუშალა. გოგობერიშვილმა მერეც ჩააგდო სამქულიანი და თითქოს ეს არ ეყოფოდათ დინამოელებს, რომ ახალგაზრდა ჩაჩუამაც გამოილო ხელი და სამიანით რუსთაველებს 41-ე ქულა მოუტანა. ახლაღა მოვიდნენ გონს დინამოელები. ათამაშდა ნიკოლაძე, მაგრამ რაღა დროს — მატჩი უკვე წაგებული იყო. „დინამო“ არ გახლდათ ის გუნდი, ვიცე-ჩემპიონთან ამხელა სხვაობა გაებათილებინა.

მეორე ტაიმში სტუმრები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. გამოცდილმა ცხვედიანმა და ნიკოლაძემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს და ქულებიც ბლომად აგროვეს, მაგრამ მათთან მოთამაშე ზვიად ბაბიაშვილსა და ოთხ სათადარიგოს იმასღა გამორჩნენ, რომ სხვაობა შეამცირეს, ისიც მხოლოდ რამდენიმე ქულით. არც დინამოელთა ლიდერ ირაკლი ნიკოლაძეს დავივიწყებთ — მან ტრადიციას არ უღალატა და ოცდაათ ქულაზე მეტი მოაგროვა.

ბათუმი. 13 ნოემბერი

**ბასკო 107:81 მაკაბი**

I ტაიმი 50:36
**ბასკო:** აბრამიძე (18), დავითულიანი (27), ბერია (7), კვაჭაძე (6), გ. კილაძე, ა. კილაძე, კეშელავა (23), ბეჟანიშვილი (8), ვ. კილაძე (10), ჭეიშვილი (8)
**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (24), ბ. ნოზაძე (12), ლასარეიშვილი (4), მჭედლიშვილი (14), ფერიაშვილი (7), ფიცხელაური, კრიხელი, შერაზადაშვილი
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეფაშვილი
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 7 | 7 | 0 | 686:571 | 14 |
| აზოტი | 7 | 6 | 1 | 682:548 | 13 |
| სდასუ | 7 | 5 | 2 | 669:596 | 12 |
| ვითა | 7 | 5 | 2 | 578:541 | 12 |
| სტუ | 7 | 4 | 3 | 630:559 | 11 |
| თსუ | 7 | 4 | 3 | 633:598 | 11 |
| მაკაბი | 7 | 3 | 4 | 581:582 | 10 |
| დინამო | 7 | 3 | 4 | 543:561 | 10 |
| შევარდენი | 7 | 3 | 4 | 487:561 | 10 |
| გორი | 7 | 1 | 6 | 574:651 | 8 |
| ასკ | 7 | 1 | 6 | 520:668 | 8 |
| სსუ | 7 | 0 | 7 | 478:625 | 7 |

# მაისურაძემ ოპერაცია გაიკეთა

საქართველოს ნაკრებისა და ბათუმის „ბასკოს“ უკანახაზელი ირაკლი მაისურაძე ოპერაციას მაინც ვერ გადაურჩა. მესამე ტურში სტუ-სთან მიღებული ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ მკურნალობას აზრი არა აქვს, ქირურგიული ჩარევაა საჭიროო, უთქვამთ ექიმებს.

მაისურაძესაც რაღა დარჩენოდა, პარასკევს თბილისის ტრავმატოლოგიურ კლინიკას მიაკითხა და მენისკის ოპერაცია გაიკეთა.

„ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ტრავმა გართულებული არ იყო. კიდევ კარგი, ოპერაციის გაკეთება აღარ გადავდეთ“ — გვითხრა „ბასკოს“ ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ ემირიძემ.

ემირიძისგანვე შევიტყვეთ, რომ სამიოდ დღეში მაისურაძეს მუხლზე ნაკერებს მოხსნიან, რის შემდეგაც ირაკლის აღდგენითი ვარჯიშები და წყლის პროცედურები დაენიშნება.

დეკემბრის პირველი რიცხვებიდან მაისურაძე, ალბათ, სრულფასოვნად აიდგამს ფეხს, უყავარჯნოდ სიარულსაც შეძლებს და ნელ-ნელა ვარჯიშსაც შეუდგება, იმედიანადაა ემირიძე.

რეგულარული ჩემპიონატი

# ჰილმა პატერსონი აჯობა

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS ვაშინგტონიდან

ვაშინგტონი — მაიამი. ალონზო მურნინგმა (მარცხნივ) და დან მარლიმ (№9) ვაშინგტონელი მაიკლ სმიტი (ბურთით) მიწას არ ააცილეს

13 ნოემბერი

**დეტროიტი 107:99 სიეტლი**
დეტროიტი: ჰანტერი (17), სტეკჰაუზი (24), ჰილი (34), ლეიტნერი (3), მილზი (6 ქულა, 11 მოხსნა); ვილიამსი (13 ქულა, 11 მოხსნა), ვაიტი (6), ბიუჰლერი (2), კარი (2), ჯეკსონი
სიეტლი: პეიტონი (30 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა, 5 ჩაჭრა), ბერი (11), პატერსონი (16), ბეიკერი (12 ქულა, 10 მოხსნა), გრანტი (11); მაქსველი (7), ლუისი (6), დევისი (6), სტეფანია, მაკკოი, ფოსტერი

თავისი მეოთხე თამაში ითამაშა ვლადიმერ სტეფანიამ, თუმცა მხოლოდ ოთხი წუთი დაჰყო მოედანზე. სტეფანიამ მესამე მეოთხედის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გუნდის ძირითადი ცენტრის მოვალეობის შემსრულებელი ჰორას გრანტი შეცვალა და მშვენივრადაც ჩაერთო თამაშში. მართალია, ვოვას ქულა არ გაუკეთებია, მაგრამ ფარქვეშ კარგად იბრძოდა. ერთი გერი პეიტონის აცილებული ბურთი მოხსნა მეტოქის ფარზე და ერთიც ჩაჭრა მიითვალა. ბოლო, მეოთხე მეოთხედის დაწყებიდან ორი წუთის შემდეგ მოედანს კვლავ დაუბრუნდა დასვენებული გრანტი და ჩვენებურმა სკამზე გადაინაცვლა. ბუნებრივია, ჩვენთვის, მისი გულშემატკივართათვის, უკეთესი იქნებოდა, ქართველს მეტი ხანი დაეყო მოედანზე, მაგრამ ასეთ დაძაბულ მატჩში, სადაც ყველა წვრილმანს მნიშვნელობა აქვს, „სიეტლის“ მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა ახალგაზრდა სტეფანიას, ბებერი და უდიდესი გამოცდილების მქონე ჰორას გრანტი არჩია.

თამაში კი მართლაც დაძაბული იყო. სუპერსონიქსმა მშვენიერი სტარტი აიღო და ამ თამაშამდე ექვსიდან ხუთ შეხვედრაში გაიმარჯვა, „დეტროიტს“ კი პირიქით ჰქონდა მოგება-წაგებების შეფარდება. „პისტონზი“ საკმაოდ ძლიერი გუნდის სახელით სარგებლობს და ასეთი შედეგი მას დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაეთვლებან. „დეტროიტი“ შინ თამაშობდა და ეს მატჩიც რომ წაეგო, კლუბის ბოსები ალბათ სერიოზულად დაფიქრდებოდნენ ან მწვრთნელის შეცვლაზე ან შემადგენლობის გადახალისებაზე.

დეტროიტელებმა დასაწყისშივე მძლავრად შეუტიეს სტუმრებს, ესენიც მაგრად დაუდგნენ და დაძაბული საკალათბურთო ბრძოლაც გაჩაღდა. მშვენივრად ირჯებოდა მასპინძელთა ლიდერი გრანტ ჰილი. იგი იმ დღეს თამაშის იშტაზე იყო და მისი შეჩერება სიეტლელთა უმთავრეს ამოცანად იქცა. ვესტფოლმა ჰილის მეურვეობა რუბენ პატერსონს მიანდო. პატერსონი ურიგო მცველი არაა. თვითონ ამბობს, იმაზე ბევრად მაგარი ვარ, ვიდრე ხალხს ჰქონიაო და „სიეტლში“ გადასვლისას ყველას ყურები გამოუჭედა, სულ ფეხებზე მკიდია, გინდ პიპენი დამიყენეთ, გინდ კობი ბრაიანტი და გინდაც გრანტ ჰილი, არც ერთს ხელს არ გავანძრევინებო. იმდენი ილაპარაკა, სანამ სიეტლში ყველა არ დაარწმუნა თავის კოლოსალურ შესაძლებლობებში, მაგრამ რეალურად რისი შნოც აქვს, საქმეში ნათლად გამოჩნდა. ჰილი ათასჭირნახული მხედართმთავარივით მიუძღოდა თავის გუნდს, რომელიც მატჩშიც უფრო ხშირად წინ იყო, სტუმრებს კი ისევ და ისევ გერი პეიტონი მეთაურობდა და თითქოს ის და ჰილი ერთმანეთსაც კი ეჯიბრებოდნენ, მაგრამ ბოლოს ჰილმა აჯობა და მისმა გუნდმაც სეზონში მეორე გამარჯვება იზეიმა. ჰილმა ბოლო მეოთხედში ათი ქულა გაახერხა და ამ თორმეტწუთეულში მისმა მშვენიერმა თამაშმა კიდეც გადაწყვიტა მატჩის ბედი:

12 ნოემბერი

**ლეიკერსი 81:97 ჰიუსტონი**
ლეიკერსი: რაისი (11)
ჰიუსტონი: ფრენსისი (22)

**ვანკუვერი 93:103 გოლდენ სტეიტი**
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (21 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი)
გოლდენ სტეიტი: სტარქსი (22), მილზი (20)

**დენვერი 78:93 პორტლენდი**
დენვერი: მაკდაიესი (17)
პორტლენდი: ვოლესი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**მილუოკი 107:92 ფინიქსი**
მილუოკი: რობინსონი (27), ალენი (20), კასელი (19 ქულა, 14 პასი)
ფინიქსი: ჰარდევეი (19)

**საკრამენტო 105:92 იუტა**
საკრამენტო: ვებერი (20)
იუტა: მელოუნი (20)

**შარლოტი 96:92 ნიუ ჯერსი**
შარლოტი: ჯონსი (24), ვესლი (17 ქულა, 11 პასი)
ნიუ ჯერსი: მარბერი (31)

**ბოსტონი 80:74 ნიუ იორკი**
ბოსტონი: უოლკერი (22 ქულა, 10 მოხსნა)
ნიუ იორკი: ჯონსონი (16 ქულა, 12 მოხსნა)

**ვაშინგტონი 95:104 მაიამი**
ვაშინგტონი: მიურეი (15)
მაიამი: მურნინგი (25), მაშბურნი (22), ჰარდევეი (21 ქულა, 11 პასი)

**ფილადელფია 92:86 ჩიკაგო**
ფილადელფია: აივერსონი (35)
ჩიკაგო: ჰოკინსი (30)

ზედიზედ ხუთი წაგების შემდეგ, „ჰიუსტონ როკიტსმა“ ნავსი გატეხა და ახალ სეზონში პირველი გამარჯვებაც იზეიმა. მერე ვისთან, „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან,“ თანაც სტუმრად. გუნდებს თითო-თითო წამყვანი მოთამაშე აკლდათ — მასპინძლებს შაკილ ონილი, სტუმრებს — ჩარლზ ბარკლი. ორივე ერთი თამაშით იყო დისკვალიფიცირებული, რადგან ორი დღის წინ ამ გუნდების ჰიუსტონურ მატჩში გიგანტებმა ისე დაუზილეს გვერდები ერთმანეთს, რომ ამ უქმეებზე ლას ვეგასში ჰოლიფილ-ლუისის ბრძოლა მასთან მონაგონი იყო. გუნდები ამჯერად „ლეიკერსის“ მოედანზე შეხვდნენ და იქ ცხადად გამოჩნდა, თუ რამხელა ძალას წარმოადგენს ონილი. უმისოდ „ლეიკერსი“ ერთი რიგითი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. სამაგიეროდ, გაიბრწყინა სტუმართა ახალბედა სტივ ფრენსისმა, რომელმაც მასპინძლებს სიქა გააცალა და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თავისი პირველი გამარჯვებაც დააჭაშნიკა.

კარლ მელოუნის „იუტა ჯაზი“ კალიფორნიის ქალაქ საკრამენტოს ესტუმრა და უკან მარცხნაჭამი დაბრუნდა. „საკრამენტოს“ კარგად ახსოვდა, რომ პლეი ოფის პირველი წრიდან სწორედ „იუტამ“ გამოაგდო მაშინ, როცა „კინგზი“ ორჯერ იგებდა სერიას, საბოლოოდ კი 2:3 დათმო. ახლა „მეფეებმა“ ერთგვარი რევანში აიღეს იმ წაგების გამო. „ისინი უფრო ძლიერები იყვნენ მაშინ და დამსახურებულადაც მოგვიგეს, მაგრამ ახლა ჩვენ გაცილებით მოვუმატეთ და უფრო მეტსაც მივაღწევთ“ — თქვა მატჩის შემდეგ მასპინძელთა ლიდერმა კრის ვებერმა, რომელმაც მეტოქე კარლ მელოუნს იმ დღეს ტოლი არაფერში დაუდო.

13 ნოემბერი

**მინესოტა 111:100 ფინიქსი**
მინესოტა: ნესტეროვიჩი (23), ბრენდონი (21)
ფინიქსი: ჰარდევეი (21)

**ჩიკაგო 92:91 ბოსტონი**
ჩიკაგო: ჰოიბერგი (19)
ბოსტონი: უოლკერი (24), ანდერსონი (20)

**სან ანტონიო 95:79 შარლოტი**
სან ანტონიო: დანკანი (22 ქულა, 12 მოხსნა)
შარლოტი: ვესლი (13)

**პორტლენდი 131:95 ატლანტა**
პორტლენდი: სტუდემაიერი (20)
ატლანტა: ჰენდერსონი (22)

**გოლდენ სტეიტი 95:103 ჰიუსტონი**
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (27 ქულა, 13 მოხსნა)
ჰიუსტონი: ფრენსისი (27)

**ინდიანა 105:83 ვაშინგტონი**
ინდიანა: როუზი (16)
ვაშინგტონი: კინგი (20 ქულა, 16 მოხსნა)

**კლივლენდი 117:112 მილუოკი**
კლივლენდი: სურა (23)
მილუოკი: რობინსონი (32), კასელი (22), ალენი (22)

**დალასი 125:117 ორლანდო**
დალასი: ფინლი (28), სებალოსი (21 ქულა, 12 მოხსნა), პეკი (21 ქულა, 10 პასი)
ორლანდო: გეტლინგი (31), არმსტრონგი (29)

14 ნოემბერი

**ლეიკერსი 93:88 ატლანტა**
ლეიკერსი: ონილი (23 ქულა, 11 მოხსნა)
ატლანტა: რაიდერი (24)

**ვანკუვერი 109:89 კლიპერსი**
ვანკუვერი: დიკერსონი (23)
კლიპერსი: ოდომი (16 ქულა, 12 მოხსნა)

**საკრამენტო 126:116 დენვერი**
საკრამენტო: ვებერი (32 ქულა, 12 მოხსნა)
დენვერი: ვან ექსელი (26), ლაფრენცი (23 ქულა, 13 მოხსნა)

**ტორონტო 90:93 ფილადელფია**
ტორონტო: კარტერი (27 ქულა, 11 მოხსნა)
ფილადელფია: აივერსონი (30)

**ნიუ იორკი 88:94 მაიამი**
ნიუ იორკი: კემბი (22), ჰიუსტონი (20)
მაიამი: მურნინგი (25), ბრაუნი (21)

„ჩვენ ვთამაშობდით და თან თვალწინ გვედგა ბოლო სამი-ოთხი წლის შეხვედრები. ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და როდესაც „ნიუ იორკს“ ვხვდებით, ყოველთვის გამარჯვებისთვის ვიბრძვით“ — თქვა „ნიუ იორკ“ — „მაიამის“ მატჩის გმირმა ალონზო მურნინგმა. მაიამელებს „ნიუ იორკის“ ბოლმა აზრჩობთ, რომელიც მათ გულებში წლების განმავლობაში გროვდება. ეს გუნდები ერთმანეთს ბევრი რამის გამო ემტერებიან. სიძულვილის მეტი საბაბი სწორედ „მაიამის“ აქვს, რადგან ამ ბოლო ორ წელიწადში სწორედ „ნიუ იორკმა“ გამოაგდო იგი ორჯერ პლეი ოფის პირველივე ეტაპიდან.

**ივანე კობიაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისი. II დივიზიონი

16 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | უიგანი — ბორნმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 002 | მილუოლი — რედინგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 003 | კოლჩესტერი — ბრენტფორდი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### ინგლისი. III დივიზიონი

16 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 004 | სუონსი — ჩელტენემი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ავსტრია. გადადებული მატჩი

16 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 005 | ბრეგენცი — ლუსტენაუ | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი.

გადათამაშება (ნეიტრალურზე)

16 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 006 | ოქსფორდი — უიკომბი | 4,7 | 3,3 | 1,6 |

### საფრანგეთი. ლიგის თასი

16 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 007 | ლორიანი — კრეტეი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 008 | სოშო — აიაჩო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 009 | ნიცა — კანი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 010 | ლილი — რედ სტარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 011 | ბიუვო — ვალანსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 012 | ტულუზი — მარტიგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 013 | ნიორი — ლავალი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 014 | კაენი — ლე მანი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ჩეხეთის თასი. მერვედფინალი

16 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 015 | ჰ. კრალოვე — ვიკტორია | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### ევროპის ჩემპიონატი. პლეი ოფი. II წრე

17 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 501 | ინგლისი — შოტლანდია | (—-25,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 502 | დანია — ისრაელი | (—-100,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 503 | უკრაინა — სლოვენია | (1,35-2,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 504 | თურქეთი — ირლანდია | (1,3-2,8) | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდული).

მერვედფინალი. II წრე

16 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 505 | თურქეთი — პოლონეთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 506 | ესპანეთი — ნორვეგია | 1,25 | 4,4 | 8,0 |

17 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 507 | ბელგია — ჰოლანდია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 508 | ხორვატია — პორტუგალია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 509 | საბერძნეთი — ჩეხეთი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 510 | სლოვაკეთი — რუსეთი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 511 | იტალია — საფრანგეთი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### ამხანაგური მატჩები

17 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 512 | საბერძნეთი — ბულგარეთი ($17^{00}$) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 513 | ესპანეთი — არგენტინა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 514 | მაროკო — აშშ | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### კალათბურთი. NBA

16 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ვაშინგტონი — ფილადელფია | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 802 | მაიამი — პორტლენდი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 803 | ატლანტა — შარლოტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 804 | ტორონტო — დეტროიტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 805 | მილუოკი — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 806 | დალასი — ჰიუსტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 807 | სან ანტონიო — ინდიანა | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 808 | დენვერი — ნიუ იორკი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 809 | გოლდენ სტეიტი — ჩიკაგო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 810 | საკრამენტო — ვანკუვერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |

17 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 811 | ბოსტონი — კლივლენდი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 812 | ფილადელფია — მაიამი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 813 | ორლანდო — პორტლენდი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 814 | შარლოტი — დალასი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 815 | დეტროიტი — ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 816 | მინესოტა — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 817 | იუტა — ნიუ იორკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 818 | ფინიქსი — ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 819 | სიეტლი — გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

18 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 820 | ვაშინგტონი — ტორონტო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 821 | მილუოკი — სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 822 | ჰიუსტონი — საკრამენტო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 823 | დენვერი — ლეიკერსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 824 | ვანკუვერი — სიეტლი | 2,0 | 12,0 | 1,5 |

### კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტური

17 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 825 | პივოვარნა (სლოვენია) — ვილერბანი (საფრანგეთი) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 826 | ცსკა (რუსეთი) — პაოკ (საბერძნეთი) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 827 | ბარსელონა (ესპანეთი) — შოლე (საფრანგეთი) | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 828 | ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — ეფესი (თურქეთი) | 1,7 | 12,0 | 1,7 |

18 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 829 | ალბა (გერმანია) — რეალი (ესპანეთი) | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 830 | თოფაში (თურქეთი) — ჟალგირისი (ლიტვა) | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 831 | ფორტიტუდო (იტალია) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 832 | ციბონა (ხორვატია) — პო ორტეზი (საფრანგეთი) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 833 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ბენეტონი (იტალია) | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 834 | ოლიმპია (სლოვენია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 835 | მაკაბი (ისრაელი) — ვარეზე (იტალია) | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 836 | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ულქერი (თურქეთი) | 1,15 | 12,0 | 4,0 |

### ჰოკეი. NHL

16 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 837 | მონრეალი — სან ხოსე | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 838 | პიტსბურგი — ბუფალო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 839 | ფინიქსი — კალგარი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 840 | ლოს ანჯელესი — ჩიკაგო | 1,3 | 4,4 | 4,0 |

17 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 841 | ვაშინგტონი — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 842 | ტორონტო — სენტ ლუისი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 843 | ნიუ ჯერსი — ბოსტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 844 | კაროლინა — ოტავა | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 845 | ატლანტა — ტამპა ბეი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 846 | კოლორადო — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 847 | ვანკუვერი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 848 | ანაჰაიმი — კალგარი | 1,4 | 4,4 | 3,4 |

18 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 849 | ბოსტონი — რეინჯერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 850 | ოტავა — სან ხოსე | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 851 | ფილადელფია — დალასი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 852 | ტამპა ბეი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 853 | სენტ ლუისი — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 854 | ნეშვილი — მონრეალი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 855 | ლოს ანჯელესი — ფინიქსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

### ჰოკეი. ევროლიგა. V ტური

16 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 856 | სლოვანი (სლოვაკეთი) — ვშეტინი (ჩეხეთი) | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 857 | მეტალურგი (რუსეთი) — ფილახი (ავსტრია) | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| 858 | მანჰაიმი (გერმანია) — მოდო (შვედეთი) | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| 859 | ტურკუ (ფინეთი) — ვოლერენგა (ნორვეგია) | 1,2 | 4,4 | 5,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ავტორბოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა




მიხაელ შუმახერმა შუბლი ძალიან დაიფასა

# რა ღირს შუმის შუბლი?

## მიხაელ შუმახერს ავტოგიგანტები დასდევენ

„მერსედესმა" და BMW-მ მიხაელ შუმახერის „ფერარიდან" შესაძლო გაქცევის თაობაზე გაიგეს და დაფაცურდნენ. BMW სულ მალე რალფ შუმახერს თავისთან წაიყვანეს და ცხადია, არც მისი უფროსი ძმიკო გაუფუჭებს საქმეს. ეს ამბავი 2001 წლისთვისაა ჩაფიქრებული, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ შუმისათვის მეორე გერმანული ავტოგიგანტისგან შეთავაზებული ლუკმა უფრო მსუყედ გამოიყურება. „მერსედესმა" პილოტს „სამუდამო" კონრაქტი შესთავაზა, რაც კარიერის დასრულების შემდეგაც მის უზრუნველყოფაში გამოიხატება (პენსიები და სხვა). მოკლედ, მრბოლს არჩევანი აქვს: თუ მან ფორმულა 1-ის მომდევნო სეზონი არ მოიგო, საეჭვოა, ისედაც აღრენილ „ფერარიში" ვინმე მოეფეროს, ამიტომ სამშობლოში დაბრუნება და დაფიქრება მოუწევს — „მერსედესი" თუ BMW? მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგ, ამჟამად კი ჩვენი წერილის გმირი მცირე ხნით დასვენებასა და პარალელურად ერთი-ორი კაპიკის გაკეთებას ცდილობს. მისგან გერმანულ იურიდიულ ფირმა „დვაგთან" დადებულ კონტრაქტში შუმის შუბლის სამწლიან გაქირავებაზეა ლაპარაკი. ამ ხნის მანძილზე გერმანელის ყველა „ფერარისეულ" წითელ კეპს წინიდან ხსენებული ფირმის ლოგოტიპი დაამშვენებს, რისთვისაც პილოტს 7 მილიონ 780 ათას დოლარს გადაუხდიან.

# ფესვებთან დაბრუნება



რუბენს ბარიკელო ბრაზილიელი კია, მაგრამ „სარბიელის" მკითხველს იტალიური გვარები უეჭველად მრავალი გაუგია და უცდომლად მიუთითებს მის ნამდვილ წარმოშობაზე. სამშაბათს ბარიკელო წინაპართა საცხოვრისს დაუბრუნდა და თანაც, არა როგორც ერთი რიგითი ვინმე, არამედ „ფერარის" მეორე პილოტის რანგში. მან „ფერარიში" სხვადასხვა მიზეზთა გამო ბოლომდე ვერ გაფურჩქნილი ედი ირვინი შეცვალა. შოკირებული ვარო, ეს იყო პირველი, რაც ბარიკელომ იტალიაში განაცხადა (ალბათ სასიამოვნოდ შოკირებული იგულისხმა). ყოველთვის ვოცნებობდი კონკურენტუნარიანი მანქანით მერბოლაო, გააგრძელა მერე ბრაზილიელმა, და იმედი მაქვს იტალიაში მომეცემა ისე წამუშავების საშუალება, პირველივე წარუმატებლობაზე ტიფოზებმა და პრესამ რომ არ დამცხონო. საერთოდ, ეტყობა ეს ფაქტორი, მრბოლზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს, რადგან მედიასთან საუბრის დიდი წილი სწორედ მას უძღვნა და ბოლოს ასეთი რამეც თქვა: „იტალიაში ცხოვრებას არ ვაპირებ, მონტე-კარლოში უნდა დავრჩე, რადგან იქ ნორმალური, წყნარი ცხოვრების შესაძლებლობა მექნება. არ მსურს ვარსკვლავობა, ჩვეულებრივი კაცი მინდა ვიყო". ასეა, ზოგან სპორტსმენებს გულშემატკივრებიც აინტერესებთ...

**დავით გულუა**

მძლეოსნობა

# XX: ვინ იქნება მძლე-ოსანი?

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი პრიმო ნებიოლო მიწას მიაბარეს და ცოცხლად დარჩენილმა IAAF-ის ჩინოსნებმა საქმისთვისაც მოიცალეს: XX საუკუნის საუკეთესო მძლეოსანი კაცისა და ქალის გამოსავლენი გამოკითხვა წამოიწყეს. გამარჯვებულის ვინაობას მონტე კარლოში 20-21 ნოემბერს, IAAF-ის ტრადიციულ ელიტარულ მიღებაზე გამოვაცხადებთო, ამცნეს საზოგადოებას. თან იმ მძლეოსანთა გვარ-სახელებიც შეგვატყობინეს, რომელთაგან რჩეულთა რჩეული უნდა დასახელდეს. მაშ ასე, 11 კაცი და 11 ქალი:

| კაცები | ქალები |
|---|---|
| აბებე ბიკილა (ეთიოპია) | იოლანდა ბალაში (რუმინეთი) |
| სერგეი ბუბკა (უკრაინა) | ფანი ბლანკერს-კოენი (ჰოლანდია) |
| სებასტიან კოე (ბრიტანეთი) | მილდრედ „ბები" დიდრიკსენი (აშშ) |
| ჰერამ ელიოტი (ავსტრალია) | ჰაიკე დრექსლერი (გერმანია) |
| კარლ ლუისი (აშშ) | ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი (აშშ) |
| პიეტრო მენეა (იტალია) | სტეფკა კოსტადინოვა (ბულგარეთი) |
| ედ მოზესი (აშშ) | იარმილა კრატოხვილოვა (ჩეხეთი) |
| პაავო ნურმი (ფინეთი) | ვილმა რუდოლფი (აშშ) |
| ელ ორტერი (აშშ) | ირენა კრიშენშტეინ-შევინსკა (პოლონეთი) |
| ჯესი ოუენსი (აშშ) | |
| ემილ ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკია) | გრეტე ვაიტცი (ნორვეგია) |

# დაგვიანებული არდადეგები



ლინდსი დევენპორტი

ფილადელფია. აშშ. „ადვანტას ჩემპიონატი. დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 520 ათასი $

**მეოთხედფინალი:** **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ემი ფრეზერი (აშშ) 7:6 (7:3), 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — ჟული ალარი (5, საფრანგეთი) 4:6, 6:2, 6:1; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 6:1, 7:6 (9:7); **ნატალი ტოზია** (4, საფრანგეთი) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 7:6 (7:3), 6:4.

**ნახევარფინალი:** **ჰინგისი** — ტოზია 6:4, 6:2; **დევენპორტი** — უილიამსი 6:1, 6:2.

**ფინალი:** **დევენპორტი** — ჰინგისი 6:3, 6:4.

რამდენიმე კვირის წინ ლინდსი დევენპორტი მაჯის ტრავმის გამო იანვრამდე დასვენებას და სადმე თბილ ქვეყანაში გადაფრენას გეგმავდა. მწვრთნელ რობერტ ვანტ ჰოფს ხანგრძლივი ხვეწნა-მუდარა დასჭირდა, რათა შეგირდისთვის გადაწყვეტილება შეეცვლევინებინა.

„დიდი სურვილი მქონდა, სეზონის დარჩენილი ექვსი კვირა არაფერი მეკეთებინა, მაგრამ ვინ დაგანებებ. მაჯა ამ კვირაშიც მტკიოდა, თუმცა ისე არა, რომ არ მეთამაშა“.

საბოლოოდ ზედმეტი ოფლის ღვრა და ტკივილგამაყუჩებლების ყლაპვა ლინდსის სანანებელი ნამდვილად არ გაუხდა: ზედიზედ ორჯერ ფინალში დამარცხების შემდეგ მან როგორც იქნა, მოიგო ადვანტას პირველობა, გზად მთავარი კონკურენტებიც დაიფრინა და მსოფლიოს ჩემპიონატის წინ შესანიშნავ გუნებაზე დადგა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავად დევენპორტი ნახევარფინალში, თანამემამულე ვინუს უილიამსის წინაღმდეგ გამოიყურებოდა. შავკანიან ამერიკელს აქამდე ზედიზედ ორ პირად შეხვედრაში მოეგო ლინდსისთვის და კლასიფიკაციაში მისთვის მეორე ადგილის ჩამორთმევასაც უმიზნებდა, მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვა სცენარით წარიმართა.

დევენპორტი მთელი მატჩის მანძილზე შესანიშნავად აწოდებდა, სულ 9 ეისი დაუგროვდა და მეტოქეს მხოლოდ ექვსი ქულის მითვლა დაანება.თავის მხრივ მსოფლიოს მეორე ჩოგნის ზუსტი და ჯანიანი მიღებებით დაშინებულმა ვინუსმა 8 ორმაგი შეცდომა დაუშვა და მატჩი 52 წუთში წააგო.

„მისი მოწოდებები ძალიან ძლიერი და სტაბილური იყო, რაც ასეთ სწრაფ კორტზე საგრძნობ უპირატესობას განიჭებს. მე კი იმაზე გაცილებით ცუდად ვითამაშე, რასაც საკუთარი თავისგან ველოდი“ — აღნიშნა უფროსმა უილიამსმა, რომელიც მეტოქისთვის ტკბილ სიტყვას იშვიათად თუ იმეტებს-ხოლმე.

ფინალში დევენპორტმა არც მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი დაინდო. 19 წლის შვეიცარიელმა ამ მეტად თვალსასეირო მატჩში ყველანაირი ტაქტიკა მოსინჯა: ერთხანს მაღალი და ნელი ბურთებით გათამაშებების გაჭიანურება სცადა, ხან თავადაც მთელი ძალით ურტყამდა, ხან ბადესთან ეძიებდა ბედს, მაგრამ მეტოქის საათივით აწყობილ თამაშს ვერაფერი დააკლო.

დევენპორტი პირველი დარტყმისთანავე შეტევაზე გადადიოდა, კორტის კიდეებისკენ მიმართული მძლავრი ფორჰენდ — ბექჰენდებით ჰინგისს აქეთ-იქით დაარბენინებდა და მერე მეორე, დაუცველ მხარეს გაგზავნილი ბურთით იოლად ითვლიდა ქულებს, რასაც მარტინა უმწეო შეკივლებით ან ძირს დაგდებული ჩოგნით თუ პასუხობდა.

„რაღაც მცირე შანსები კი მქონდა, მაგრამ ლინდსი ყოველთვის აზერხებდა თავის დაძვრენას. საჭირო იყო, ჩემი სისწრაფე უკეთ გამომეყენებინა და იგი თავად მერბენინებინა, მაგრამ ამის თქმა მატჩის შემდეგ ყოველთვის იოლია — იქნებ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში შევხვდეთ იმ კვირაში და მაშინ მაინც ვიძიო შური“.

მარტინამ მეორე სეტში 4:5-ზე ერთი მატჩ-პოინტი იშვიათი ეისით გადაარჩინა, მერე ამას უნაკლო შემოკლებულიც მიაყოლა, მაგრამ ამით შეხვედრა მხოლოდ ორიოდ წუთით გააჭიანურა; დევენპორტმა სეზონის მეექვსე ტიტული და 80 ათასი დოლარი მიითვალა.

„შესანიშნავია მარტინას და ვინუსის დამარცხება და წელიწადის ასე ალმაფრენით დასრულება. გუშინ მაჯა გამისივდა (დევენპორტმა წყვილების ნახევარფინალში თამაშზე უარი თქვა), ამიტომ ორივე შეხვედრაში რისკზე წასვლა და ქულების შემოკლება მომიხდა. ამჯერად ყველაფერი გამომივიდა, მაგრამ მაინც ძალიან გამიხარდება, როდესაც სეზონის ბოლოს დასვენების შესაძლებლობა მომეცემა“.

მოსკოვი. რუსეთი. „კრემლის“ თასი. დარბაზი. ხალიჩა.
საპრიზო 1,05 მილიონი $

**მეოთხედფინალი:** **ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:3), 6:3; **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — ანდრეი მედვედევი (5, უკრაინა) 2:6, 6:3, 6:2; **ჯეფ ტარანგო** (აშშ) — მარკ როსე (7, შვეიცარია) 5:7, 7:6 (7:4), 6:4; **ბაირონ ბლექი** (ზიმბაბვე) — ფაბრის სანტორი (საფრანგეთი) 6:3, 6:4

**ნახევარფინალი:** **კაფელნიკოვი** — ესკუდე 6:7 (4:7), 7:6 (7:2), 6:3; **ბლექი** — ტარანგო 6:3, 6:2

**ფინალი:** **კაფელნიკოვი** — ბლექი 7:6 (7:4), 6:4.

ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება იქნება, რომ კრემლის მილიონიანი თასი მხოლოდ იმისთვისაა შექმნილი, ევგენი კაფელნიკოვმა მუდმივად გაბუტულ-გალიზიანებული თანამემამულეები დროებით მაინც შემოირიგოს და გაახაროს.

მიუხედავად, იმისა, რომ სოჭელი ჟენია რუსეთის ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე წარმატებული და ტიტულიანი მოთამაშეა, ადგილობრივი მასმედია თუ ქომაგები შესაძლებლობას არ უშვებენ, კბილი რომ არ გაჰკრან და წაგების შემთხვევაში ლანძღვა-სტვენით არ გააცილონ თავიანთი ჯილა კორტიდან.

25 წლის რუსსაც კარგად ესმის, ყველაზე დიდ მშობლიურ ტურნირზე წაგებას რაც შეიძლება მოჰყვეს და ჯვარზე გაკვრის შიშით მოსკოვში ორმაგად მონდომებული ასპარეზობს. სწორედ ამიტომ ჟენიამ, რომელიც სექტემბერს აქეთ მეოთხედფინალს ვერსად გასცილებოდა, ამჯერადაც თავი გაიგიჟა და „კრემლის თასზე“ ზედიზედ მესამედ იმარჯვა.

როგორც წესი, რუსეთის დედაქალაქში ტურნირზე მაინცდამაინც ძლიერი შემადგენლობა არ იყრის თავს და გამონაკლისი არც ამჯერად მომხდარა, თუმც გასული უქმეები მსოფლიოს მეორე ჩოგნისთვის იოლ გასეირნებად არ ქცეულა.

კაფელნიკოვს განსაკუთრებით ნახევარფინალში გაუჭირდა ნიჭიერ და ძვალტყავა ფრანგ ნიკოლა ესკუდესთან. აქ მას მეორე სეტში 3:4-ზე ბრეიკ-პოინტი რომ არ გადაერჩინა, მამაზეციერიც ველარაფერს უშველიდა, თუმცა საბოლოოდ გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

„ასეთი ქომაგების შემდეგ ტურნირი რომ არ მომეგო, დიდი ცოდვა დამედებოდა კისერზე“ — განაცხადა კაფელნიკოვმა, რომლის თამაშების დროსაც თითქმის ცარიელი სპორტკომპლექს „ოლიმპიურის“ ტრიბუნები 10-15 ათასი კაცით ივსებოდა.

ეს ტიტული რუსისთვის საიუბილეო, მეოცე გამოდგა კარიერაში, გარჯისთვის კი დამატებით 137 ათასი დოლარიც ერგო. დაჯილდოების ცერემონიალზე ერთი კურიოზი მოხდა: ჯერ ანდრეი მედვედევმა (წყვილების ფინალში ასპარეზობდა), მერე კი თავად კაფელნიკოვმაც საპატიო სტუმარს, რუსეთის პრემიერ-მინისტრ პუტინს ჩინი დააკლეს და ვიცე-პრემიერად მოიხსენიეს.

„მოგვიანებით ბოდიში მოვუხადე, მე მედვედევმა შემაცდინა. რა ვქნათ, ჩოგბურთელები პოლიტიკაში კარგად ვერ ვერკვევით“ — თავი იმართლა ჟენიამ.

სტოკჰოლმის ღია პირველობა. შვედეთი. დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 800 ათასი $

**მეოთხედფინალი:** **ტომას ენკვისტი** (1, შვედეთი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:2, 6:7 (6:8), 6:4; **მაგნუს ნორმანი** (6, შვედეთი) — ნიკოლას ლაპენტი (3, ეკვადორი) 6:1, 6:4; **მაგნუს გუსტაფსონი** (შვედეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 0:6, 7:5; **ჟან-მაიკლ გემბილი** (აშშ) — მარკ ფილიპუსისი (7, ავსტრალია) 4:6, 6:2, 7:5.

**ნახევარფინალი:** **ენკვისტი** — ნორმანი 6:3, 6:4; **გუსტაფსონი** — გემბილი 6:0, 2:6, 7:6 (7:4)

**ფინალი:** **ენკვისტი** — გუსტაფსონი 6:3, 6:4, 6:2.

მშობლიური ტურნირის მესამედ მოგებით ტომას ენკვისტი კლასიფიკაციაში კარიერაში საუკეთესო, მეოთხე ადგილზე ალზევდა.

**ავთანდილ სვანიძე**




ევგენი კაფელნიკოვი



# სელივანოვი: სტახანოველი ედმონტში

12 ნოემბერი

**დეტროიტი — პიტსბურგი 3:2**

1:1 0:0 1:1 1:0

0:1 იაგრი 14'42 (14); 1:1 ლაპოინტი 16'15 (3); 2:1 ლიდსტრიომი 48'07 (3); 2:2 ტიტოვი 58'14 (3); 3:2 ფიოდოროვი 60'36 (6)

დეტროიტელმა სერგეი ფიოდოროვმა (1+1) თვით იარომირ იაგრი დაჩრდილა და დამატებით დროში გატახული ულამაზესი გოლით თავის კლუბს პირველად მოაგებინა.

**სენტ ლუისი — ედმონტონი 2:2**

1:1 0:1 1:0 0:0

0:1 გერინი 13'37 (1); 1:1 ტარჯონი 18'59 (10); 1:2 სმიტი 31'29 (1); 2:2 მაკელპინი 54'48 (1)

**ნიუ ჯერსი — ატლანტა 5:1**

3:0 2:0 0:1

1:0 ელიაში 7'27 (1); 2:0 ლემიე 14'54 (6); 3:0 არნოტი 16'17 (3); 4:0 ნემჩინოვი 22'45 (1); 5:0 მორისონი 34'38 (1); 5:1 ბუბეკი 59'02 (4)

ნიუ ჯერსი ბოლო რვა მატჩში თავის არენაზე არ დამარცხებულა (+7=1-0), „ეშმაკთა“ რიგებში დაბრუნებული კლოდ ლემიე კი თავს ერთობ კარგად გრძნობს.

**ტამპა — ბუფალო 4:2**

1:1 2:1 1:0

0:1 აფინოგენოვი 0'45 (2); 1:1 მარტინსი 10'39 (3); 1:2 ბარნსი 22'29 (5); 2:2 სილინჯერი 25'42 (5); 3:2 კუბინა 38'27 (1); 4:2 ტაკერი 45'46 (3)

ტამპა წლეულს ავტორიტეტების რისხვად მოგვევლინა. ამჯერად მაიკ სილინჯერის ძალისხმევით, რომელმაც კარიერაში პირველად 4 (1+3) ქულა მიითვალა, „ელვებმა“ შარშანდელ ფინალისტს სძლიეს, რომელსაც მანამდე ზედიზედ ოთხი თამაში ჰქონდა მოგებული.

**ჩიკაგო — აილენდერსი 5:0**

4:0 1:0 0:0

1:0 მარჰა 2'00 (3); 2:0 ამონტე 4'35 (6); 3:0 ეჩინამი 7'17 (2); 4:0 კოტი 16'42 (3); 5:0 ამონტე 23'09 (7)

**ფინიქსი — ვანკუვერი 2:3**

0:0 1:3 1:0

0:1 ოკუანი 31'52 (2); 0:2 ნესლუნდი 32'23 (7); 0:3 შეფერი 33'35 (7); 1:3 ადამსი 36'40 (4); 2:3 ალატალო 49'45 (4)

13 ნოემბერი

**ფილადელფია — სან ხოსე 3:2**

2:1 1:1 0:0

1:0 ლანგკოუ 1'31 (3); 2:0 ლეკლერი 10'42 (11); 2:1 რიჩი 17'25 (4); 2:2 ფრიზენი 24'35 (10); 3:2 რენბერგი 35'37 (3)

ბოლო წლების ლიგის საუკეთესო მეგოლე ჯონ ლეკლერი ნელ-ნელა უახლოვდება ბომბარდირთა სიის სათავეს.

**მონრეალი — ატლანტა 4:2**

1:0 2:1 1:1

1:0 კორსონი 4'58 (1); 2:0 სავაჟი 32'32 (12); 2:1 უონდი 33'46 (2); 3:1 ტორნტონი 36'30 (1); 3:2 ტრემბლე 49'46 (2); 4:2 ჟოლტოკი 51'32 (2)

**აილენდერსი — სენტ ლუისი 3:5**

1:1 0:1 2:3

1:0 ი. იონსონი 3'48 (2); 1:1 რეირდენი 15'22 (1); 1:2 ბარტესკო 34'39 (2); 2:2 ი. იონსონი 40'52 (3); 2:3 დემიტრა 45'55 (7); 2:4 იეიკი 52'45 (2); 3:4 დრური 57'56 (2); 3:5 ისტვუდი 59'30 (5)

რა დრო დადგა! მსოფლიოს უძლიერესი ლიგის გუნდში სლოვაკური სამეული ლიდერობს. უკვე საკმაოდ ცნობილი პავოლ დემიტრა (1+3) შეხმატკბილებულად მოქმედებს თანამემამულე ლუბოშ ბარტესკოსა (1+1) და მიხაელ ჰანდზუსთან ერთად.

**ოტავა — ანაჰაიმი 4:2**

0:0 2:1 2:1

1:0 პოსა 20'32 (11); 1:1 კარია 24'02 (8); 2:1 ბონკი 25'35 (8); 2:2 ნილსენი 47'28 (1); 3:2 მაკიჩერნი 53'46 (5); 4:2 ბონკი 59'05 (9)

კიდევ ერთი ოთხქულიანი ნადავლის ავტორი ოტაველი რადეკ ბონკი (2+2) გახდა, რომელიც მარიან ჰოსასთან ერთად გუნდს ალექსეი იაშინის დანაკლისს არ აგრძნობინებს.

**ტორონტო — დეტროიტი 1:1**

0:1 0:0 1:0

0:1 შენაჰანი 8'30 (6); 1:1 ხრისტიჩი 46'07 (5)

12 წლის წინ ბრენდან შენაჰანმა ნჰლ-ში პირველი ქულა მაშინ გააკეთა, როცა პეტ ვერბიკს ასისტენტობა გაუწია. გავიდა დრო და სულ ახლახან კვლავ ერთ გუნდში აღმოჩნდნენ. ვეტერანებმა როლები გაცვალეს. პარტნიორის დახმარებით შენაჰანმა კარიერაში 420-ე გოლი გაიტანა.

**ვაშინგტონი — ნიუ ჯერსი 4:2**

1:0 1:2 2:0

1:0 ოუტსი 11'17 (2); 1:1 არნოტი 25'31 (4); 1:2 მაკეი 29'53 (5); 2:2 მირონოვი 31'22 (1); 3:2 კლი 42'48 (2); 4:2 ბლეკი 59'58 (1)

**კაროლინა — ტამპა 4:2**

3:1 0:1 1:0

1:0 ონეილი 1'25 (5); 2:0 ჰილი 3'14 (2); 3:0 კოვალენკო 6'22 (4); 3:1 გულა 9'49 (2); 3:2 სილინჯერი 93'01 (6); 4:2 რობერტსი 59'13 (3)

**ბუფალო — ფლორიდა 1:3**

0:0 0:3 1:0

0:1 დვორჟაკი 20'5. (2); 0:2 დვორჟაკი 21'34 (3); 0:3 ბურე 36'10 (7); 1:3 ბრაუნი 56'21 (7)

გამოჯანმრთელებულ პაველ ბურეზე უკეთესი ამ მატჩში მხოლოდ მისი თანაკლუბელი ონდჟეკ დვორჟაკი იყო. გარდა ორი გოლისა, ჩეხმა „რუსულ რაკეტასაც“ გაატანინა უმცირესობაში.

**რეინჯერსი — ბოსტონი 2:5**

0:3 0:0 2:2

0:1 ჟირარი 11'04 (1); 0:2 აქსელსონი 13'39 (2); 0:3 სამსონოვი 17'09 (5); 0:4 კარტერი 48'09 (4); 1:4 ჰლავაჩი 53'52 (1); 1:5 კარტერი 56'43 (5); 2:5 შნაიდერი 59'59 (1)

შაბათს კიდევ ერთი გმირი ბოსტონელი შავკანიანი ფორვარდი ენსონ კარტერი (2+2) გახდა.

**პიტსბურგი — ნეშვილი 6:2**

2:0 3:2 1:0

1:0 ფერენსი 1'28 (1); 2:0 კოვალიოვი 16'51 (6); 3:0 ლანგი 21'09 (8); 3:1 ბუგნერი 23'12 (1); 4:1 ლანგი 28'45 (9); 4:2 ლეგვანდი 37'18 (4); 5:2 ვერენკა 37'41 (5); 6:2 მორანი 42'07 (2)

ცხადია, უქმეების გამორჩეულთ არც იაგრი ჩამორჩა (1+4 2 თამაშში), თუმცა სხვებისგან განსხვავებით, ჩეხი სუპერფორვარდი ყველა მატჩში ასე ირჯება (ზედიზედ 15-ქულიანი მატჩი); ამიტომაც ბომბარდირთა დავაში 33(14+19) ქულით ბადალი არ ჰყავს.

**კალგარი — კოლორადო 2:5**

1:1 0:2 1:2

0:1 რიდი 6'52 (1); 1:1 ბურე 8'48 (12); 1:2 ჰეიდუკი 27'18 (12); 1:3 დინგმანი 30'58 (3); 2:3 ჰაუსლი 44'12 (4); 2:4 დრური 49'48 (3); 2:5 დინგმანი 54'11 (4).

14 ნოემბერი

**ჩიკაგო — ედმონტონი 3:6**

1:3 2:2 0:1

1:0 ამონტე 1'50 (8); 1:1 სელივანოვი 8'13 (11); 3:2 ნიინიმაა 18'55 (3); 1:3 მარჩანტი 19'30 (2); 1:4 სელივანოვი 21'22 (12); 1:5 სელივანოვი 23'37 (13); 2:5 ნიულანდერი 24'26 (2); 3:5 ეჩინამი 32'29 (3); 3:6 სელივანოვი 47'37 (14)

უქმეების მთავარი მოვლენა ედმონტონელი ალექსანდრ სელივანოვის საუცხოო ასპარეზობა იყო. მის კარიერაში საუკეთესო თამაშის ხარჯზე (რუსმა პოკერს ერთი პასიც დაამატა), ედმონტონმა ექვსმატჩიანი უხეირო სერია შეწყვიტა.

**ფინიქსი — ლოს ანჯელესი 2:3**

0:1 0:1 2:1

0:1 რ. ბლეიკი 10'33 (8); 0:2 კ. ჯონსონი 35'53 (2); 1:2 ადამსი 49'21 (5); 1:3 პალფი 50'07 (9); 2:3 ტოკეტი 53'13 (4)

**სამველ ღარიბიანი**

ვყიდი
„ფიშერის“ უხმარ თხილამურებს
☎ 69 19 39

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ევერესტი უფრო მაღალი ყოფილა

აი, ევერესტი — დედამიწის უმაღლესი წერტილი. მისი სიმაღლე 8848 მეტრია. თუმცა, უკეთესი იქნებოდა გვეთქვა, რომ 8848 მეტრი იყო. უახლესმა კოსმოსურმა გამოთვლებმა დაადასტურა, რომ სამყარო ორი მეტრით მაღალია, ანუ ევერესტის სიმაღლე 8850 მეტრია.



# ვეტერანთა დღე

სამხრეთულ ქულაქ ტამპაში იქაურ მობურთალთა გუნდი „ბუკანიერზი“ „კანზას სიტი ჩიფზსა“ ხვდება. ბურთაობის ეროვნული ლიგის ტრფიალთ იქაური „რაიმონდ ჯეიმს სტადიუმი“ გაუჭედიათ. ლუიზიანის ბარკსაიდის სამხედრო-საავიაციო ბაზიდან აფრენილა B-52 თვითმფრინავი და სტადიონის თავზე ილეთებს ატარებს. ბურთაობის მოყვარულთ ახსოვთ — 14 ნოემბერი ამერიკელ· ვეტერანთა დღეა და ჯარი თავის მოხუცებს მიაგებს პატივს.

# საქველმოქმედო ამბავში

ტაივანში გრძელდება „ჯონი უოკერ კლასიკზის“ საქველმოქმედო-საგოლფო შეჯიბრი. ბევრ განთქმულ ყვანჯოსანს შორის ორი ყველაზე მაგარი ამერიკელი ამოვირჩიოთ, ტაიგერ ვუდსი (მარჯვნივ) და ჯიმ ფარიკი. ამოვირჩიოთ და გადავუღოთ სურათი. ახლა ვუდსი მსოფლიოში პირველია.







# მოდი, გავმაზოთ

განთქმული გერმანელი შოუმენი ტომას გოტშალკი (მარჯვნივ) თავის სტიქიაშია. გადაცემაში, „მოდი, გავმაზოთ“, ფორმულა 1-ის პილოტი ჰანც ჰარალდ ფრენცენი მეუღლე ტანიასთან ერთად მიუწვევია და აბითურებს. „მოდი, გავმაზოთ“ ყველაზე პოპულარული შოუა გერმანიაში და შაბათ საღამოს მთელი ხალხი მას უყურებს. შაბათ დილით კი ფრენცენი „ბურდას“ საგამომცემლო ჯგუფს დაუჯილდოებია თავისი პრიზით, შვლის ნუკრ ბემბის ქანდაკით, როგორც გამორჩეული მამაკაცი.

# პრეზიდენტი თამაშით ისვენებს

განა ხშირად ისვენებს პრეზიდენტი? აი, დღეს უკვე სტამბოლშია. მაგრამ რახან ნოემბერს თბილი დღეები გამოერია, ორიოდ საათის მოპარვა შესაძლებელია. ბილ კლინტონის დასვენება გოლფია. ისა და მისი პარტნიორი ნედ პაუელი (მარცხნივ) მინდვრისკენ მიიჩქარიან ფორ სტრიმზის გოლფ კლუბში, მერელენლის შტატის ქალაქ ბილსვილში რომ გაუშენებიათ.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
**ქართული ფეხბურთის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქტორი** სოლომონ გულისაშვილი
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** ზურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli